

F 244
1978

ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՇՈՒՄՈՅՑ

ՆԱԿԻՄՈՒՄ

ՆԱԿԻՄՈՒՄ



ԺԾՈՐՈՆ - 1978



ბ რ ძ ე ნ ე ბ ა 743—II

სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 166-ე და 167-ე მუხლების შესაბამისად

და ი ნ ი შ ნ ო ს :

იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე საქართველოს სსრ პროკურორად ხუთი წლის ვადით და დამტკიცდეს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი
იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი
რ. ა. რუდენკო

29.XII.78 წ.
ქ. მოსკოვი.

ამხ. ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე დაიბადა 1938 წელს, სკკპ წევრია 1963 წლიდან. 1963 წელს დაამთავრა საქავშირო ოპრიდიული ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, 1960-1965 წლებში მუშაობდა მილიციის რაიონული განყოფილების ოპერაწმენებულად, გამომძიებლად, შემდეგ კრასნოდარის სამხარეთ საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს საგამომძებო განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1965 წელს სამუშაოდ გადადის საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში. ეკავა ახალქალაქის სარაიონთაშორისო პროკურატურის გამომძიებლის, ბოგდანოვკის რაიონის პროკურორის, საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანამშენის თანამდებობანი. 1973 წელს დაინიშნა ქალაქ ქუთაისის პროკურორად, ხოლო 1976 წელს დააწინაურეს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.

1978 წელს ამხ. ა. მ. ბარაბაძე გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, მუშაობდა ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ.

არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიონის ბიუროს წევრად, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრად და სახალხო დემოკრატთა საქალაქო საბჭოს დემოკრატად, არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.



საქართველო საქართველო

N 6

ნომერი
დამაგარი
1928 წელი

შუიანი გამოცემის 1928 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

გაეჩაღოთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ	3
ბანკოტარებაშვილი სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია	
ბ. შვანია — სსრ კავშირის კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები	8
დ. სუხიტაშვილი — სამოქალაქო სამართალწარმოების სახეების ზოგიერთი თავისებურებანი	19
ო. გველესიანი — რესპუბლიკის სასამართლოებში მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრაქტიკის შესახებ	30
ბანკოტარებაშვილის სრულყოფისათვის	
ა. ხოჭოლავა, ო. კაციტაძე — მოქმედი საბინაო კანონმდებლობის ირგვლივ	36
მ. უგრეხელიძე — ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის	47
ო. გამყრელიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი და საკანონმდებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი	58
საზოგადოებრივი მართლის დღისათვის	
შ. ეორგოძე — ხალხის საიმედო გუშაგი	67
ქართული ლიტერატურის ქვეყნის 1500 წლისთავისათვის	
გ. ნადარეიშვილი — საქორწინო სამართალი V საუკუნის საქართველოში იაკობ ცურავის „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით	71
ოფიციალური მასალა	77
ინფორმაცია	34
გ. ხარატიშვილის ხსოვნას	94

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარტვილის საბ. საქ. სსრ

СОДЕРЖАНИЕ

Развернуть борьбу против негативных явлений	3
<u>КОНСТИТУЦИЯ РАЗВИТОГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА</u>	
Г. Жвания — Конституция СССР и основные принципы международного права	8
Д. Сухиташвили — Некоторые особенности видов гражданского судопроизводства	19
О. Гвелесиани — О судебной практике республики по применению краткосрочного лишения свободы	30
<u>К СОВЕРШЕНСТВОВАНИЮ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА</u>	
А. Хочолава, О. Кацитадзе — Некоторые предложения по изменению действующего жилищного законодательства	36
М. Угрехелидзе — Значение степени вины для индивидуализации наказания	47
О. Гамкрелидзе — Уголовный кодекс Грузинской ССР и некоторые вопросы законодательной техники	58
<u>КО ДНЮ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ</u>	
Ш. Горгодзе — Надежный страж народа	67
<u>К 1500-ЛЕТИЮ ПАМЯТНИКА ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ</u>	
Г. Надарейшвили — Брачное право в Грузии в V веке по произведению Якова Цуртавели «Мученичество Шушаника»	71
Официальный материал	77
Информация	84
Памяти Г. Харатишвили	94



**სარედაქციო
კოლეგია:**

- თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე,
 გ. ინწვირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
 გ. ფვანია, გ. ტუფშელიძე, ვ. ჭვანთაია,
 ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მ მდივანი) თ. წერეთელი,
 ა. ხოჭოლავა, ხ. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კლემენტოვის კრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაცა ასაწყობად 28. XI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. I. 79 წ.,
 ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბახი 8,87
 შეკვ. № 3196 ტირაჟი 20050 უფ 07672

ბავაჩალოთ ბრძოლა ნაგავიური მოვლენების წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ კიდევ ერთი კარგი ტრადიცია დაამკვიდრა. ყოველი წლის მიწურულს იმართება ხოლმე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მიღწეულ შედეგებს, განსაზღვრავს მომავლის ძირითად მიმართულებებს, სახავს ახალ ამოცანებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმიც ეკონომიკაში საქმის საერთო მდგომარეობის, ხუთწლედის სამი წლის შედეგების და მისი მეოთხე წლის გეგმების განხილვას მიეძღვნა. პლენუმზე ითქვა, რომ „მეათე ხუთწლედის განვილი პერიოდში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახლხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის, პარტიის მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად ახალი დიდი წარმატებანია მიღწეული სკკპ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განხორციელებაში. გაიზარდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, განმტკიცდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. როგორც მატერიალური ისე სოციალური თვალსაზრისით უფრო მდიდარი გახდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება“¹.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის, მშრომელთა თითოეული კოლექტივისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. თავის მკაფიო და ღრმამინაარსიან გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს დაუსახა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის. მათი წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პარტიისა და ხალხის ძალების მობილიზაციას, სამეურნეო და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებს. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა საქმიანობის გაუმჯობესებას. „ჩვენ ძლიერი, კვალიფიციური პროპაგანდისტული აპარატი გვაქვს. — აღნიშნა პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — მაგრამ სამწუხაროდ, ამ აპარატს ყოველთვის ვერ ვიყენებთ ეფექტიანად. იგრძნობა პრინციპული, მნიშვნელოვანი გამოსვლების ნაკლებობა, რომლებიც სამეურნეო და სოციალური ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს შეეხება. წშირად საგაზეთო მასალებს, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებს აკლია დამაჯერებლობა და სერიოზული განზოგადოებანი, ისინი გადატვირთულია ზოგადი ფრაზებით, რომლებიც არაფერს მატებენ არც გონებას და არც გულს... იდეოლოგიური ფრონტის

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილება, გაზეთი „კომუნისტი“ 1978 წ. 28 ნოემბერი.

მუშაკთა მოვალეობაა აამაღლონ მუშაობის ხარისხი, ეფექტიანობა, სრულყოფილი ფორმები და მეთოდები“².

ამ სახელმძღვანელო მითითებიდან, ისევე როგორც პრესის და მასობრივი ინფორმაციის ყველა სხვა ორგანომ, სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ჩვენმა ყურნალმაც, რომელიც მოვალეა გარდაქმნას თავის საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებების შესაბამისად, გამოაქვეყნოს პრინციპული, განმაზოგადებელი მასალები ჩვენი სოციალური ცხოვრების სადღეისო პრობლემებზე, ღრმად და დასაბუთებულად გააანალიზოს სამართალდამცველი ორგანოების მუშაობა, განუმარტოს თავის მკითხველებს ის ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ხალხს ნოემბრის პლენუმმა დაუსახა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები, ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ამ პლენუმზე საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია და შთააგონებს მათ თავდადებულ შრომას პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განსახორციელებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ჩვენი რესპუბლიკისათვის, საქართველოს კომპარტიისათვის, ყველა მშრომელისათვის. პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ელუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. რესპუბლიკის წარმომადგენლობა პოლიტიბიუროში დიდი პატივია საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, ყოველივე იმის მაღალი შეფასებაა, რაც ბოლო ექვსი-შვიდი წელია გაკეთდა და ახლაც კეთდება რესპუბლიკაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ნეგატიური პროცესების დასაძლევად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დასამკვიდრებლად.

ეს დიდი ნდობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გვავალებს. „ყველამ ერთად, ახალი ძალით უნდა გავშალოთ ბრძოლა მუშაობის ლენინური სტილის, რესპუბლიკაში ნამდვილი საქმიანი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის, ყოველნაირად დავძლიოთ ფორმალიზმის ელემენტები ჩვენი საქმიანობის ყველა რგოლში, აღკვეთოთ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა ელემენტები, მაამებლობის ელემენტები“³.

ეს მთლიანად და სავსებით შეეხება რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს, მის ყველა რგოლს, თითოეულ მუშაკს, რომლებმაც უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად, უფრო ქმედითად და გაბედულად იბრძოლონ არსებულ ნაკლოვანებათა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, თანამიმდევრულად დაიცვან საბჭოთა კანონები, ყოველმხრივ განამტკიცონ მართლწესრიგი და სოციალისტური კანონიერება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ „წელს რამდენადმე დაქვეითდა, შესუსტდა ბევრი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ჩვენ მიერ დაწყებული ბრძოლა... ჯერ კიდევ ვხვდებით სოციალისტური კანონიერების დარღვევის, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების, მომხვეჭელობის, ყოფა-ცხოვრებაში უღირსი საქციელის ფაქტებს ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი მუშაკის მხრივ“⁴.

² ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, გაზეთი „კომუნისტი“ 1978 წლის 28 ნოემბერი.

³ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1978 წლის 19 დეკემბერს, გაზეთი „კომუნისტი“, 1978 წ., 21 დეკემბერი.

⁴ იქვე.

დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა საერთოდ, განსაკუთრებით კი პროდუქციის ხარისხის, სახალხო მეურნეობაში წამატებების, თვალისახვევის და კანონის სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ. ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ზოგიერთი სამინისტროს და უწყების სისტემაში უხეშად ირღვევა სახელმწიფო დისციპლინა. მარტო ამისათვის 1973 წლის 9 თვეში სახელმწიფო არბიტრაჟმა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გადაახდევინა 9 მილიონი მანეთი, მათ შორის საჯარიმო სანქციის სახით 2,5 მილიონი მანეთი. ხშირად ამ ჯარიმებს საწარმოები იხდიან უხარისხო პროდუქციის მიწოდების გამო. განა ჩვენს შემოფოთებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ „1976-1977 წლებში 248-ჯერ იყო გამოყენებული ეკონომიკური სანქციები წუნის მკეთებელ საწარმოთა წინააღმდეგ, რომლებმაც ცხრა მილიონი მანეთის წუნიანი პროდუქცია გამოუშვეს“.

დღემდე არ არის აღმოფხვრილი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიპარტიული მოქმედება, როცა ზემდგომ ორგანოებს დამახინჯებულ მონაცემებს წარუდგენენ ხოლმე გეგმების შესრულების თაობაზე. 1978 წლის პირველ ნახევარში მარტო სამშენებლო ორგანიზაციებში გამოვლინდა რამდენიმე მილიონი მანეთის წამატების ფაქტები. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ წამატებები საშიში დანაშაულია იმის გამოც, რომ მათ, ჩვეულებრივ თან სდევს პრემიების უკანონოდ გაცემა, მასალათა და ნაკეთობათა ჩამოწერა და საბოლოო ანგარიშით სოციალისტური საკუთრების დატაცება.

რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, რომლებიც შეეხება შრომითი დავის საქმეებს. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში ადმინისტრაციის რეციტივით გათავისუფლებულია რამდენიმე ათასი კაცი. სასამართლოების მიერ განხილული სარჩელებიდან სამუშაოზე აღდგენილია დათხოვნილ პირთა თითქმის 60 პროცენტი. მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტში (უფროსი — ს. ჩოჩუა) 44 მუშაკი გათავისუფლეს ადგილკომთან შეუთანხმებლად, მათ შორის ორა შვებულებში ყოფნის დროს. შრომის კანონმდებლობის ასეთი უხეში დარღვევა ყოველ შემთხვევაში უნდა მიიღონ, რათა აღკვეთონ მუშაკის უკანონოდ დათხოვნა სამსახურიდან, დაიცვან მშრომელთა კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლება.

განსაკუთრებით დიდი როლი აკისრია პროკურატურის ორგანოებს სახელმწიფო ქონების დაცვაში. მათ უნდა გაააქტიურონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, მთლიანად აღმოფხვრან დატაცებისადმი წაყრუებინა და უკონტროლობის ფაქტები, უზრუნველყონ სახელმწიფო სათვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ბრძოლა სოციალიზმისათვის ისეთი უცხო ანტიპოდის წინააღმდეგ, როგორც არის მექრთამეობა. ამ უმძიმეს დანაშაულთან ბრძოლა ბოლო ხანს, სამწუხაროდ, შესუსტდა.

კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს გამოძიებისა და მოკვლევისადმი საპროკურორო ზედამხედველობის დონე, მთლიანად აღმოფხვრას სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლო აღძვრის და არაობიექტური გამოძიების ფაქტები.

5 ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1978 წლის 19 ნოემბერს. გაზეთი „კომუნისტი“ 1978 წ. 21 დეკემბერი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჯერ კიდევ იშვიათი არ არის მოქალაქეთა უკანონოდ დაკავების შემთხვევები. ამას ბოლო უნდა მოელოს.

სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი საშიშ დამნაშავეთა მიმართ ღმობიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევები. ბევრ სასამართლოში არ იცავენ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა და კანონიერ ძალაში შესული განაჩენების აღსრულების ვადებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პროცესის მომზადებას. კანონით დადგენილი პროცესუალური ვადის უხეში დარღვევით იქნა განხილული ქ. თბილისის I მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე — თ. ბურდულაძე) ვ. ნემსიწვერიძის ხულიგნობის საქმე, რომელიც თითქმის ექვს თვეს გაჭიანურდა, ამასთან საქმის განხილვა რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გადაიდო. ხშირად საქმეთა განხილვის გადადება გამოწვეულია ადვოკატის გამოუცხადებლობის გამოც.

სახალხო სასამართლოებში ყოველთვის არ სრულდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე და 372-ე მუხლების მოთხოვნა, რომ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე აცნობონ იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი სისრულეში მოყვანა ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — დ. ხუბავეცი) განაჩენის ასლი დანიშნულებისამებრ გადააგზავნა კანონიერ ძალაში მისი შესვლის თითქმის 5 თვის შემდეგ. უფრო მეტიც, გორის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე — ზ. შერგელაშვილი) 1978 წლის 10 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ თ. თინიკაშვილის მიმართ, საერთოდ არ გადაუგზავნია დანიშნულებისამებრ.

ამჟამად ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა. ამ საქმეში ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა მუდმივი კავშირი საზოგადოებრიობასთან. მხოლოდ მათზე დაყრდნობით არის შესაძლებელი დროულად გამოვავლინოთ კანონის დარღვევა, აღვკვეთოთ დანაშაული, მისი ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, ცხოვრებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ დანაშაული და სხვა სამართალდარღვევა ხშირად ხდება იქ, სადაც ცუდად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, არ არის შექმნილი შეურიგებლობის ატმოსფერო მოშვებულობის, უდისციპლინობის, სოციალისტური ცხოვრების საერთო წესების დარღვევის, ლოთობის, მომხვეჭელობის, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ამასთან სათანადო შეფასება არ ეძლევა მეშჩანურ ფსიქოლოგიას, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები დამნაშავეობის პროფილაქტიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმიეულებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებს და პოსტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივებს. და ეს მაშინ, როდესაც მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობის 60 პროცენტს შეადგენენ ის პირები, რომლებიც დასაქმებული არიან მშრომელთა კოლექტივებში.

აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს იმ პირთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას, რომლებიც არსად არ მუშაობენ და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. მათი რაოდენობა რესპუბლიკაში რამდენიმე ათასს აღწევს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათი საგრძნობი ნაწილი პოტენციური დამნაშავეა. ამას მოწმობს თუნდაც ის,


რომ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში დიდია იმ პირების წილი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში არსად არ მუშაობენ.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სიტყვა უნდა თქვან სწავლულმა იურისტებმაც. სამწუხაროდ, აქაც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სამართლებრივი კვლევის ფრონტის შემდგომ გაფართოებასა და გაუმჯობესებას, პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერთა დაწინაურებასა და აღზრდას. ასევე დიდი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ადმინისტრაციულ ორგანოებში მომუშავე სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე მუშაკებსაც. დღეისათვის რესპუბლიკის იუსტიციის დაწესებულებებში, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში — 30-დე ასეთი პირი მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ სათანადო უკუგებას ისინი ჯერ კიდევ ვერ იძლევიან. სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოსთა კავშირის განმტკიცება ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგების განხილვას მიეძღვნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ უკმაყოფილობა გამოთქვა იმის გამო, რომ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და სასტიკად გააკრიტიკა ადმინისტრაციული ორგანოები.

ჩვენ მოვალენი ვართ უაღრესად სერიოზული, უაღრესად პრინციპული დანაკვანები გამოვიტანოთ ამ სამართლიანი კრიტიკიდან, ვაგაჩალოთ ნამდვილად დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, სოციალისტური საზოგადოების ყოველგვარი ანტიპოდების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სრულ ნდობას უცხადებს ადმინისტრაციულ ორგანოებს, ყოველდღიურ დახმარებას უწევს მათ მუშაობაში. ეს ბევრ რამეს გვაძლავს. ცნობილი საბჭოთა მწერლის გამონათქვამის პერფერაზირება რომ მოვახდინოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიამ ყველა უფლება მოგვანიჭა და წავგართვა მხოლოდ ერთი — ცუდად მუშაობის უფლება. მაშ ვავაათეცოთ და გავასკეცოთ ჩვენი ენერგია, რათა ვიყოთ თანამედროვე დიდი ამოცანების დონეზე, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანს შევუქმნათ ნორმალური მუშაობისა და ნაყოფიერი დასვენების ყველა პირობა.



ბეგია
ბეგია
ბეგია

საქართველოს სოციალისტური საზოგადოებრივ კონსტიტუციას

სსრ კავშირის კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

პროგ ბ. შვანია

წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, და პროგრესი, რომელსაც ამ ხნის მანძილზე მიაღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ, კულტურამ, მეცნიერებამ, ცხადყოფს ახალი კონსტიტუციის, როგორც განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირითადი რეგულატორის, უდიდეს ცხოველმყოფელ ძალას. ამ ძალას ცხადყოფს აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც განუზრვლად ხორციელდება კონსტიტუციის მეოთხე თავში დადგენილი მიზნებისა და საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად.

თავისთავად ის ფაქტი, რომ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი შეიცავს სპეციალურ თავს საგარეო პოლიტიკის შესახებ, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის პრინციპული სიახლეა საერთოდ კონსტიტუციური კანონმდებლობის ისტორიაში. ამ შემთხვევაში ეს სიახლე სავსებით კანონზომიერია და ერთ-ერთი გამოვლინებაა განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება-გაღრმავების პროცესისა, რომლის სამართლებრივი ბაზისი ამჟამად არის უკვე სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია. ხსენებული ფაქტი ფრიალ მნიშვნელოვანია სამართლის თეორიის თვალსაზრისითაც: იგი კატეგორიულად ადასტურებს ერთადერთ სწორ, მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას ეროვნული (შინასახელმწიფოებრივი) სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკის შესახებ და ადგის არ ტოვებს არა მარტო ბუჩუყუაზიული თეორიებისათვის (დუალისტური თეორია, საერთაშორისო სამართლის პრიმატის თეორია), არამედ საბოლოოდ აქარწყლებს ამ საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა ვულგარული ინტერპრეტაციის ცდებს (ა. ვინისკის თვალსაზრისი საერთაშორისო სამართლის მეორადობის შესახებ ეროვნულ სამართალთან მიმართებაში).

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოთხე თავში უპირველეს ყოვლისა განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის არსი — ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის განუზრვლავი გატარება, დღენიდავ ზრუნვა ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. იმავე 28-ე მუხლში ჩამოყალიბებულია აგრეთვე საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზნები: სსრ კავშირში კომუნისმის აშენებისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო პირობების უზრუნველყოფა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, მხარდაჭერა ხალხთა ბრძოლისა ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.



სისათვის, აგრესიული ომების აღკვეთა, საყოველთაო და სრული განაირაღებების მიღწევა და სხვადასხვა სოციალური წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თეორიული საფუძველია სწორედ სხვადასხვა სოციალური წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფცია, რომელიც გამომდინარეობს ლენინის მოძღვრებიდან სოციალისტური რევოლუციის შესახებ და ასახავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თანამედროვე ეპოქის ობიექტურ კანონზომიერებას.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მთელი ისტორია — ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრული ბრძოლა ამ ობიექტური კანონზომიერების რეალიზაციისათვის, შეუწელებელი მეცადინეობა, რათა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმათა სისტემად ქცეულიყო. საბჭოთა სახელმწიფომ თავის პირველსავე საგარეო-პოლიტიკურ აქტში — 1917 წლის 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დეკრეტში ზავის შესახებ კატეგორიულად დაგმო მსოფლიო იმპერიალისტური ომი, როგორც უმიძიესი საერთაშორისო დანაშაული, მოითხოვა დემოკრატიული, სამართლიანი ზავის დაუყოვნებლივ დადება უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, საერთაშორისო სამართლის პრინციპებად დასახა ერების თანასწორობა, მათი თვითგამორკვევის უფლება და ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის კანონიერება, ამხილა და უარყო საიდუმლო დიპლომატია.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი აისახა ვ. ი. ლენინის დასკვნითს სიტყვაში ამ დეკრეტის მიღებასთან დაკავშირებით, სახელდობრ მის განცხადებაში იმის თაობაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფო უარყოფს ძარცვისა და ძალადობის ყველა პუნქტს, მაგრამ გულითადად მიიღებს კეთილმეზობლური პირობებისა და ეკონომიკური შეთანხმების პუნქტებს. მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმულა უშუალოდ იყო ხაზგასმული ვ. ვ. ჩიჩერინის 1918 წლის 18 სექტემბრის ნოტაში, რომელიც გერმანიას აუწყებდა საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე სურვილს დაეცვა კეთილმეზობლური ურთიერთობა და მშვიდობიანი თანაარსებობა.

მსოფლიო იმპერიალიზმმა საერთაშორისო მშვიდობისა და სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საბჭოთა პოლიტიკას უპასუხა შეიარაღებული ინტერვენციით, ეკონომიკური ბლოკადით და დიპლომატიური იზოლაციის პოლიტიკით, მაგრამ ამოდ; მშვიდობიანი თანაარსებობის კანონზომიერება სულ უფრო იჩენდა თავს და საბჭოთა მთავრობა კვლავ და კვლავ იღწვოდა მისი უფრო სრული რეალიზაციისათვის. ამას ცხადყოფს, მაგალითად, ვ. ი. ლენინის ინტერვიუ 1922 წლის 27 ოქტომბერს ინგლისური გაზეთების „ობსერვერისა“ და „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტისათვის; საბჭოთა მთავრობას სავესებით შესაძლებლად მიაჩნია და თავის მიზნადაც ისახავს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთთან და ინგლისთან.

მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობის საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარების ძნელ გზაზე პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური გარდატეხა მოხდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა შეიქმნა მძლავრი ანტიიმიტლერული კოალიცია, რომლის მთავარ ძალად იმთავითვე იქცა საბჭოთა კავშირი; როცა სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ერთობლივი გადაწყვეტილებები მიიღეს ომში გასამარჯვებლად და ომის შემდგომი საერთაშორისო პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტი-

სათვის; როცა მათი თაოსნობით დაარსდა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის უნივერსალური ორგანიზაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის წესდების ძირითადი დებულებანი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპზეა დაფუძნებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უაღრესად გაფართოვდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის რეალიზაციის სფერო — სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს მხარს უჭერენ მიუმხრობელი სახელმწიფოები, რომლებიც ამჟამად არსებულ სუვერენულ სახელმწიფოთა უმრავლესობას შეადგენენ, ამ პრინციპის რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორებია კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა და მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობა. ამგვარად, ისტორიის ლოგიკამ ორგანულად დაუკავშირა სოციალიზმის იდეალს ისეთი ზოგადსაკაცობრიო უმაღლესი ფასეულობანი, როგორიც არის საერთაშორისო მშვიდობა, ხალხთა უშიშროება, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სოციალური პროგრესი.

გასაგებია, რომ მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკური ბანაკი, იმპერიალიზმის რეაქციული ძალები სოციალიზმის შიშით ებრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რაც თავისთავად იმ ჭეშმარიტებას ადასტურებს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, უსათუოდ გულისხმობს იდეოლოგიურ ბრძოლას სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფციას რეაქციული იდეოლოგია იბრძვის უპირველეს ყოვლისა იმის ფუჭი მტკიცებით, თითქოს საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მას მხოლოდ ახლა იყენებდნენ ტაქტიკური მიზნით, დემაგოგიურად, და თითქოს იგი შეუთავსებელი იყოს პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპთან.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა მთელი სამოცი წლის მანძილზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცხადყოფს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის არა ამჟამინდელ ტაქტიკურ ხასიათს, არამედ აბსოლუტურ სტაბილურობას ამ პოლიტიკის გენერალური ხაზის განსაზღვრაში. რაც შეეხება პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპს, იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მშვიდობიან თანაარსებობას, პირიქით, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიზნდევით იგი სავსებით მართლზომიერია; მართლზომიერია, სახელდობრ, საერთაშორისო მხარდაჭერა სოციალისტური ქვეყნისათვის, რომელიც კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში იგერიებს იმპერიალისტურ ინტერვენციას — საერთაშორისო სამართლით აკრძალულ მოქმედებას, სულ ერთია, როგორ ხორციელდება ეს მხარდაჭერა — სხვადასხვა სახელმწიფოს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების აქტიური სოლიდარობით ასეთ ქვეყანასთან, თუ აგრეთვე სოციალისტური სახელმწიფოების ერთობლივი აქციებით სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად. პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპთან არაფერი აქვს საერთო „მემარცხენეთა“ ავანტიურისტულ დოქტრინას ერთი ქვეყნიდან მეორეში სოციალისტური რევოლუციის ექსპორტის ან თუნდაც მისთვის ვარდან ბიძგის მიცემის შესახებ, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის მკაცრად ემობდა.

საერთაშორისო სამართლის თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში

ანტიკომუნისტური იდეოლოგიები (კუნცი, ვიშერი, ასბეკი, სმიტი, ლაიბნიცი, კორდტი) მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის უარსაყოფად მიმართავენ ყალბ პოსტულირებას იმისა, რომ, რაკი არ არსებობს ორი სისტემის მსოფლმხედველობრივი ერთიანობა, ამიტომ გამორიცხული უნდა იყოს საყოველთაო საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიო მართლწესრიგის, როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის რეალიზაციის, შესაძლებლობა. სხვები (კელზენი, ფიტცმორისი, კუადრი, კლარკი, სონი) ამ „პრობლემის“ გადაჭრას ცდილობდნენ და ცდილობენ მსოფლიოს ერთიანი მთავრობის აუცილებლობის დასაბუთებით.

70-იანი წლების დამდეგიდან საბჭოთა კავშირის თაოსნობით დაწყებულმა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესმა ახალი ძალით დაადასტურა მშვიდობიანი თანაარსებობის კანონზომიერება. ამის მაუწყებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, როგორც არის, მაგალითად, სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წელს დადებული ხელშეკრულება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების თაობაზე, სსრ კავშირისა და საფრანგეთის 1971 წლის შეთანხმება თანამშრომლობის პრინციპებზე, 1972—1973 წლებში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმებანი, განსაკუთრებით 1972 წლის შეთანხმება ორი ქვეყნის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ 1975 წელს მიღებული დასკვნითი აქტი და სხვა.

ამგვარად, სხვადასხვა სოციალური წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად იქცა და განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სხვა მრავალი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, სსრ კავშირის კონსტიტუცია არა მარტო აღიარებს, არამედ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზნად აცხადებს მის თანამიმდევრულ განხორციელებას.

ამ მიზანთან ერთად სსრ კავშირის კონსტიტუცია ასახელებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სხვა მიზნებსაც, რომლებიც ასევე ემთხვევა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. ეს არის ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა, აგრესიული ომების აღკვეთა, საყოველთაო და სრული განიარაღება.

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროიდან მისი წესდებით, შემდეგ კი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტებით საყოველთაო საერთაშორისო სამართალი კრძალავს ძალისა და ძალით დამუქრების გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებში, აგრესიული ომი კვალიფიცირებულია უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად, ხოლო ხალხთა ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა — მართლზომიერ მოვლენად, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ.

რაც შეხება განიარაღებას, უკვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშივეა აღიარებული, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობა მოიცავს განიარაღე-

ბის განმსაზღვრელი პრინციპების შემუშავებას (მ. 11). სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან განიარაღება საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის აბსოლუტური მატერიალური გარანტიაა. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს, ხელმძღვანელობდა რა ლენინური დებულებით, რომ „განიარაღება სოციალიზმის იდეალია“, თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ყოველვის მიაჩნდა საყოველთაო განიარაღების უნივერსალური შეთანხმების მიღწევა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე (პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც საბჭოთა სახელმწიფო მონაწილეობდა) დააყენა განიარაღების საკითხი. მას შემდეგ სსრ კავშირი კვლავ და კვლავ გვევლინება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტის მთავარ ინიციატორად, რასაც უკვე მოჰყვა დიდმნიშვნელოვანი უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებები ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვისა და მისი გაუფრთხილებლობის შესახებ, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1978 წლის სპეციალური სესიის გადაწყვეტილებანი, მათ შორის — გადაწყვეტილება განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის შესახებ.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი შეიცავს აგრეთვე დებულებას იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირში ომის პროპაგანდა აკრძალულია. ეს დებულება ასახავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ნორმას, რომელსაც საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ საბჭოთა კავშირის წინადადებით 1946 წელს მიღებული რეზოლუცია და კონსტიტუცია ჩვენს ქვეყანაში, ხსენებული რეზოლუციის შესაბამისად, ჯერ კიდევ 1951 წელს მიღებული კანონისა „მშვიდობის დაცვის შესახებ“, რომელიც საბჭოთა სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაშიც შევიდა.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება-დადასტურება განსაკუთრებით მკაფიოა კონსტიტუციის 29-ე მუხლში, სადაც ჩამოთვლილია პრინციპები, რომელთა დაცვას ემყარება სსრ კავშირის ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. საკმარისია ითქვას, რომ ეს ათი პრინციპი ზუსტად ემთხვევა საერთაშორისო სამართლის ათ ძირითად პრინციპს, რომლებიც ფიქსირებულია ამ ბოლო დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტში, სახელდობრ, ვეროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე (ჰელსინკის თათბირი) 35 სახელმწიფოს მიერ 1975 წლის 1 აგვისტოს ხელმოწერილ „საბოლოო აქტში“.

ეს დამთხვევა, შეიძლება ითქვას, იგივეობა, ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს „საბოლოო აქტსა“ და ჩვენი კონსტიტუციის 29-ე მუხლს შორის ცალმხრივი მიზეზ-შედევობრივი კავშირი იყოს. ხსენებული ათი პრინციპი ყოველთვის საფუძვლად ედო საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან და, რაც მთავარია, ზოგიერთი მათგანი სწორედ საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე პოზიციის, თანამიმდევრული პრაქტიკისა და შეუწელებელი მეცადინეობის მეოხებით დამკვიდრდა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებად.

გასაგებია, რომ კონსტიტუციის 29-ე მუხლი უპირველეს ყოვლისა ასახელებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს. ისტორიულად მისი წარმოშობა უკავშირდება ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის ჩახახვა-განვითარებას, მაგრამ თუ იგი ფორმალურად მაინც ხორციელდებოდა

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ამ უკანასკნელთა ურთიერთობა სუსტად განვითარებულ, ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყნებთან საფეხებით უგულვებელყოფდა აღნიშნულ პრინციპს, რაც განსაკუთრებით იჩენდა თავს არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებსა და სხვადასხვა ინტერვენციაში. საბჭოთა სახელმწიფო, პირიქით, თავიდანვე მტკიცედ დადგა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის უპირობო პატივისცემის პოზიციაზე, მათ შორის რაიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური, სამხედრო, მოსახლეობის რაოდენობის თუ სხვა განსხვავების მიუხედავად. ეს პოზიცია დეკლარირებული იყო ოქტომბრის დეკრეტებში, დადასტურდა 1921 წელს თურქეთთან, ირანთან და ავღანეთთან დადებულ ხელშეკრულებებში და განუხრელად ხორციელდება დღემდე.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი შემდეგ ასახელებს ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებაზე ორმხრივი უარის თქმის პრინციპს. იგი პირველად გამოითქვა 1928 წლის პარიზის გენერალურ პაქტში (იგივე ბრიან-კელინის პაქტი), რომელსაც საბჭოთა კავშირი დაუყოვნებლივ შეუერთდა და რომელიც მან ექვს მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური ოქმით ვადაზე ადრე აამოქმედა. საერთაშორისო სამართალში ეს პრინციპი საბოლოოდ დამკვიდრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით („გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებენ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ...“). მისი შემდგომი დეტალიზაცია მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ. აგრესიის განსაზღვრებაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა 1974 წელს, და ჰელსინკის თათბირის „საბოლოო აქტში“. რაც მთავარია, იგი ორგანულად გამომდინარეობს მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფციიდან, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაზღვრავს საბჭოთა საგარეო პოლიტიკას.

მიუხედავად ამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის სრული სიცხადისა, რაც უთუოდ გამორიცხავს ყოველგვარ ალტერნატიულ ინტერპრეტაციას, საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ბურჟუაზიული სპეციალისტი (მაგალითად, მაკდუგალი) კვლავაც ცდილობს იმპერიალისტური ინტერვენციების გასამართლებლად დაასაბუთოს „თავდაცვითი“ შეიარაღებული რეპრესალიების დასაშვებობა, მათი შეთავსებადობა ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენების აკრძალვის პრინციპთან. ასეთი ინტერვენციების, უფრო მეტიც, ე. წ. ლოკალური აგრესიული ომების იმპერიალისტური პრაქტიკა და მათი „თეორიული“ გამართლების ცდები განსაკუთრებით აქტუალურს ხდის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ დაიდოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებლობის თაობაზე. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ XXXII სესიაზე შექმნა სპეციალური კომიტეტი ასეთი ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრინციპთა შორის კონსტიტუცია იხსენიებს აგრეთვე საზღვრების ურღვევობის პრინციპსა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. ეს ორი საერთაშორისო-სამართლებრივი საწყისი არსებითად ერთ მთლიანობას ქმნის, მაგრამ პირველი მათგანის ცალკე გამოყოფა, ისევე როგორც ეს საბჭოთა ინიციატივით ჰელსინკის თათბირის „სა-



ბოლოო აქტში“ მოხდა, ნაკარნახევია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების სპეციფიკით და კერძოდ მიმართულია არსებული სახელმწიფო საზღვრების არამართლობიერი გადასინჯვის ცდების წინააღმდეგ. ამგვარ ცდას წარმოადგენდა ამ ცოტა ხნის წინათ სომალის შეიარაღებული კონფლიქტი ეთიოპიასთან, კამუჩიისა და ჩინეთის პროვოკაციული აქციები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამგვარი რევიზიის პროგრამას აყენებენ დასავლეთ გერმანელი რევანსისტები და ჩინელი ჰეგემონისტები...

საზღვრების ურღვევობის პრინციპისაგან განსხვავებით სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს უთუოდ ის ნიუანსიც აქვს, რომ ამ უკანასკნელის დარღვევად უნდა ჩაითვალოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის მოქმედება, რაც ხდება უცხოური სამხედრო ბაზების არსებობისას, ანდა ისეთ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობა შეზღუდულია სხვა სახელმწიფოს მიერ აღრე „მოპოვებული“ სხვადასხვა უფლებით (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მართვა-გამგეობა პანამის არხის ზონაში).

კონსტიტუციის 29-ე მუხლში აღნიშნულია საერთაშორისო დაცვის მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპიც, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს ძალისა და ძალით დამუქრების გამოყენების აკრძალვიდან და ამდენად ყოველთვის იყო ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის, მას თანამიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს საბჭოთა დიპლომატია. ამ პრინციპის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მას მიეძღვნა მთელი თავი (თავი VI, მ. მ. 33—38). ასევე ფრიალ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, რომლის მოხსენიება კონსტიტუციის ამავე მუხლში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ამ პრინციპის განუხრელი დაცვის დადასტურებაა, იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომლებიც სისტემატურად არღვევენ მას. ასეთი მართლსაწინააღმდეგო პრაქტიკა შეიძლება იმის მაგალითიც იყოს, თუ როგორ უკუაგდებს ბურჟუაზია იმპერიალიზმის ეპოქაში მის მიერვე შექმნილ კანონიერებას: შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი წარმოიშვა როგორც საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პრინციპი ფეოდალური რეაქციისაგან, მონარქიულ-ფეოდალური სახელმწიფოების ინტერვენციებისაგან თავდასაცავად, მაგრამ ბურჟუაზია ყოველთვის იოლად არღვევდა მას სუსტ პარტნიორებთან ურთიერთობაში, დღეს კი იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები და ზოგჯერ მათი მთავრობებიც უხეშად უგულვებელყოფენ ამ პრინციპს, როცა ადამიანის უფლებათა ქომაგობის საბაბით ცდილობენ ჩაერიონ სოციალისტური ქვეყნების შინაგან საქმეებში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი, რომელიც ასევე დასახელებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში როგორც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ერთ-ერთი საფუძველი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუპირისპირდეს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. პირველი მათგანი საერთაშორისო სამართალში დამკვიდრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რომლის პირველ მუხლში ჩაწერილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა-

ში და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისებასა და განვითარებაში ყველასთვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

წესდების ეს დებულება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თაოსნობით მიღებული დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები (1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1966 წლის ორი საერთაშორისო პაქტი ადამიანის უფლებების შესახებ და სხვ.) ცხადყოფს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ სფეროში სახელმწიფოთათანამშრომლობის მარგანიზებელი ცენტრია, რომ ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა, რაც სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას განეკუთვნება, და რომ სახელმწიფოთა თანამშრომლობა ამ სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განვითარებას და ადამიანის სამართლებრივი სტატუსის პროგრესს, ხელს უწყობს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფას. იმპერიალისტური რეაქციის ზემოქმედებით აღმოცენდა კი, პირიქით, ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობას, მიმართულია საერთაშორისო დაძაბულობის პროცესის შესაფერხებლად, არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ყალბ ქომაგთა როლში გამოდიან სწორედ იმ ქვეყნების გავლენიანი წრეები, სადაც ადამიანის უფლება-თავისუფლებანი არც რეალურად და არც იურიდიულად არ არის დაცული. ამასთან დაკავშირებით მრავლის მეტყველია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა კარგა ხანია მოახდინა ადამიანის უფლებათა ორივე საერთაშორისო პაქტის რატიფიკაცია, მაშინ როცა კაპიტალისტური ქვეყნების დიდი უმრავლესობა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც, ამ პაქტების რატიფიკაციისაგან თავს იკავებს, ე. ი. უარს ამბობს იკისროს საერთაშორისო ვალდებულებანი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არა მარტო სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორუფლებიანობას ემყარება, არამედ აღიარებს ხალხების თანასწორუფლებიანობასაც, მათს უფლებას განავონ თავიანთი ბედი. ამ პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი სიახლის დამკვიდრება საერთაშორისო სამართალში, რა თქმა უნდა, განაპირობა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთმა ძირეულმა კანონზომიერებამ — კაპიტალიზმის კოლონიური სისტემის კრახმა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად, რაზეც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნულმა პოლიტიკამ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მეცადინეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად გამოაცხადა ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე (წესდების მ. 1, პ. 2) და შემდეგ, 1960 წელს, მიიღო ისტორიული აქტი — დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელშიც ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი განვითარებულ იქნა და ჩამოყალიბდა კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების განსაზღვრულ სისტემად. მათი იმპლემენტაციის ღონისძიებებიც საბჭოთა კავშირის თაოსნობით ხორციელდება. ამას მოწმობს

თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXII სესიაზე მიღებული დეკლარაცია დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და განმტკიცების შესახებ, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა ხალხთა თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფა. ბუნებრივია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 29-ე მუხლში აღსახა საერთაშორისო სამართლისა და საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ურთიერთშესაბამისობა ამ სფეროშიც: ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლება იმ პრინციპთა შორის არის დასახელებული, რომელთა დაცვის საფუძველს ემყარება სსრ კავშირის ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან.

შემდეგ პრინციპად კონსტიტუციის 29-ე მუხლი ასახელებს თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის. ამ პრინციპის საერთაშორისო-სამართლებრივი ბუნება თავისთავად ცხადია, რადგან საერთაშორისო სამართალი სამართლის ის სისტემაა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას უწინარეს ყოვლისა სწორედ სახელმწიფოთა შორის, იურიდიული საფუძველია მათი თანამშრომლობისა. ამის შედეგად შექმნილი საერთაშორისო მართლწესრიგი ერთადერთი ალტერნატივაა კონფრონტაციისა და დაძაბულობისა, რომელიც ომის საფრთხეს ქმნის.

სხვადასხვა სოციალური წესწყობილების მშვიდობიანი თანაარსებობის ისტორიული კანონზომიერება ემყარება სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობის ობიექტურ აუცილებლობას ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო დანაწილების გამო, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა კი, როგორც ბაზისი, განაპირობებს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და სხვა მრავალგვარი თანამშრომლობის საჭიროებას. ამიტომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფცია ომის არარსებობას კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ, ამ კონცეფციის კრიტიკოსთა ცრუ მტკიცების წინააღმდეგ, აუცილებლად მოიცავს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მოთხოვნას და მისთვის მზადყოფნას. თავისთავად ცხადია, რომ ეს უნდა ხორციელდებოდეს სუვერენული თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და სხვა ზემოაღნიშნული ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების დაცვით, ესე იგი ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე.

დასასრულ, კონსტიტუციის 29-ე მუხლში აღნიშნულია იმ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპი, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან და სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

ეს კონსტიტუციური დებულება კვლავ ადასტურებს და განაზოგადებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მთელ 60-წლიან პრაქტიკას — საბჭოთა სახელმწიფოს მიერ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის განუხრეკლ დაცვას და მის ერთგულებას ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისადმი, ცხადყოფს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციას, რომ *pacta sunt servanda* („ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს“) საერთაშორისო მართლწესრიგის უპირველესი პირობაა. ეს პოზიცია ასახულია საბჭოთა კავშირის შინასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაშიც. მაგალითად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საფუძველების 129-ე მუხლი შეიცავს შემდეგ დებულებას: თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია სხვანაირი

წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

* * *

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოთხე თავში „საგარეო პოლიტიკა“ მოცემული აგრეთვე სოციალიზმის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის არსი — მეგობრობისა და თანამშრომლობის, ამხანაგური ურთიერთდახმარების განვითარება-განმტკიცება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში აქტიური მონაწილეობა, — მაგრამ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ამ მხარის დახასიათება სცდება წინამდებარე წერილის თემას, რომელიც შემოფარგლულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის (საყოველთაო საერთაშორისო სამართლის) ურთიერთდამოკიდებულების საკითხით (საყოველთაო საერთაშორისო სამართალს, რა თქმა უნდა, არაფრით არ ეწინააღმდეგება, მაგრამ არც მის ჩარჩოებში ეტყვა ახალი, სოციალისტური ტიპის საერთაშორისო სამართალი, რომელიც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის პროცესში ჩაისახა და ვითარდება).

საერთაშორისო სამართლის პრინციპებს უშუალოდ უკავშირდება აგრეთვე ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი სხვა მუხლი. სახელდობრ, 33-ე მუხლის თანახმად, „საზვარვარეთ მყოფი სსრ კავშირის მოქალაქეები სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით“. ეს დებულება საგვსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითს ნორმას, რომელიც დადასტურებულია ვენის 1963 წლის კონვენციითაც საკონსულო კავშირურთიერთობის შესახებ.

საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით ყოველი სახელმწიფოს კანონმდებლობისათვის სანიმუშოა კონსტიტუციის 37-ე მუხლი, რომელიც სსრ კავშირში მყოფი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის იმის უფლებას, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი კუთვნილი პირადი, ქონებრივი, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად. სწორედ ასეთ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა 1966 წლის პაქტები. რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ უფლება-თავისუფლებათა მატერიალურ შინაარსს, მისი უფართოესი მოცულობა და ჭეშმარიტად დემოკრატიული ხასიათი, დადგენილი ამავე კონსტიტუციის მეორე კარით, საერთოდ წარმოუდგენელია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი მიეძღვნა თავშესაფრის უფლებას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენს და ციალისტური ტიპის საერთაშორისო სამართალი, რომელიც სოციალიზმის მსოფლანმტკიცებულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტებითაც (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1967 წლის დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ). იგი თავიდანვე იქცა საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპად და ახლა ფორმულირებულია მაქსიმალური სისრულით: სსრ კავშირი თავშესაფრის უფლებას აძლევს უცხოელებს, რომ-

ლებსაც დევნიან მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

გასაგებია, რომ თუ ფართო მასშტაბით მივუდგებით, საერთაშორისო სამართალს უნდა დავუკავშიროთ კონსტიტუციის მეორე კარი „სახელმწიფო და პიროვნება“ მთლიანად, რადგან იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპის, შეიძლება ითქვას, იდეალურ განხორციელებას. მაგრამ ამ წერილს არა აქვს ასეთი მასშტაბის პრეტენზია და ამიტომ დავჯერდები მხოლოდ ერთ, უკანასკნელ მითითებას ხსენებული კარის ბოლო, 69-ე მუხლზე, რომელშიც ფიქსირებულია საბჭოთა მოქალაქის ინტერნაციონალური მოვალეობა — ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ამ დებულებაში ასახული სულისკვეთება არის სწორედ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მთავარი იდეა, მიზანი და დანიშნულება.

საერთაშორისო სამართლის უმთავრესი პრინციპების გამოცხადება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილად იმ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც განაპირობებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ისტორიულ, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

სამოქალაქო სამართალწარმოების სხვაობის ზოგიერთი თავისებურებანი

დ. სუნიტაშვილი

სასამართლო ორგანოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის წესი დადგენილია სამოქალაქო სამართალწარმოების კანონმდებლობით. როგორც ცნობილია, სამოქალაქო საქმეების წრე მეტად მრავალფეროვანია.¹ ამით არის გამოწვეული საპროცესო თავისებურებანიც. მატერიალურ სამართალს — ამბობდა კ. მარქსი — აქვს მისთვის ჩვეული აუცილებელი საპროცესო ფორმა... სასამართლო პროცესი და მატერიალური სამართალი ისე მჭიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც მაგალითად, მცენარის ფორმა მცენარესთან და საქონლის ფორმა — მის სისხლთან და ხორცთან².

მართლაც სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართალი მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების — „შინაარსისა და ფორმის“ შემცველი ურთიერთობებია და მის შესაბამისად სამოქალაქო სამართლის საქმეთა სიმრავლე და მრავალგვარობა განაპირობებს მათი განხილვის საპროცესო თავისებურებებს, რადგან „არ არის და არ შეიძლება იყოს უფორმო შინაარსი და შინაარსის არმქონე ფორმა. ფორმა და შინაარსი ერთიანობაში მყოფი დაპირისპირებულობებია, რადაც ერთის სხვადასხვა პოლუსებია. ეს განუყრელი ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ გარკვეული შინაარსი „იმოსება“, „გარკვეულ ფორმაში“³.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო საქმეების მატერიალურ-სამართლებრივმა ბუნებამ, როგორც შინაარსმა, საერთო წესით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს მათი ფორმა — სასამართლო განხილვის წესი. მართლაც, შრომის, საოჯახო და საკოლმეურნეო სამართლის საქმეების განხილვისათვის დაწესებულია ისეთი თავისებურებანი, როგორიც არის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების აღსრულების ვადები, ქვემდებარეობისა და განსჯადობის თავისებურებანი და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რამდენადაც ეს თავისებურებანი გამოწვეულია სამართლის ერთიდაიგივე დარგის ან ერთნაირი ბუნების მქონე სხვადასხვა დარგის მატერიალური სამართლის საქმეებიდან, ეს თავისებურებანი არ განაპირობებენ სამართალწარმოების ცალკეული სახეების არსებობის აუცილებლობას. სამართალწარმოების ცალკეული სახეების არსებობა გამოწვეულია იმ კატეგორიის საქმეებით, რომლებიც თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებით პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასეთ საქმეებს კანონმდებელმა მიაკუთვნა: 1) სასარჩელო წარმოების საქმეები, 2) ადმინისტრაციულ-სამართლებ-

¹ იხ. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხ.

² См. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. I, стр. 158.

³ იხ. „მარქსისტულ ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები“, თბილისი — 1974, გვ. 149.

რივი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი საქმეები და 3) განსაკუთრებული წარმოების საქმეები.

სასამართლო ორგანოების მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეთა შორის დიდი უმრავლესობა მოდის სასარჩელო წარმოების საქმეებზე, ამიტომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც ძირითადად აგებულია სამართალწარმოების ამ სახეზე. სასარჩელო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს სამოქალაქო, საქორწინო და საოჯახო, შრომის, საკოლმეურნეო და მიწათსარგებლობის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. იმისათვის რომ სასამართლომ სარჩელი მიიღოს წარმოებაში და განიხილოს, საჭიროა მოსარჩელემ შეიტანოს სარჩელი. ამისათვის კი მას უნდა ჰქონდეს სასამართლოსათვის მიმართვის „წანამძღვრები“ და დაიცვას სარჩელის შეტანისათვის კანონით გათვალისწინებული „წესები“.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სარჩელი არის პირის მოთხოვნა, მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლებების დასაცავად. სასარჩელო განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამ ელემენტს — სასარჩელო მოთხოვნის საგანს, სარჩელის საფუძველსა და შინაარსს.

ჩვეულებრივ, სარჩელის საგანი განპირობებულია მატერიალური სამართლის ნორმის დისპოზიციით. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის პიპოთეზაში აღნიშნული გარემოების დადგომისას მყიდველს ექმნება უფლება, მოსთხოვოს გამყიდველს არაჯეროვანი ხარისხის ნივთის გამოცვლა, შეკეთება და სხვ. პირის ასეთი მოთხოვნის მატერიალური უფლება წარმოადგენს სწორედ სარჩელის საგანს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სარჩელის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო მოსარჩლის უფლება, არამედ — მოსარჩლის ვალდებულებაც. პროფესორი მ. ა. გურვიჩი აღნიშნავს: «Предметом иска может быть не только право истца, но и его обязанность: например обязанность уплачивать квартирную плату в определенном размере, если истец просит суд признать такую обязанность»⁴. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი. თვით აღნიშნული მაგალითის ანალიზით დამჭირავებელს მართლაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით, რათა დაეკისროს ქირის გადახდა უფრო ნაკლები ოდენობით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ალიარებით სარჩელთან და სასამართლომ ვალდებულება კი არ უნდა დაეკისროს მოსარჩელს, არამედ უნდა აღიაროს მისი უფლება ქირის შემცირებული ოდენობით გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძველად მიჩნეულია ის გარემოებანი, რომლებზეც მოსარჩლე ამყარებს თავის მოთხოვნას და კანონმდებელი ამ გარემოებებს, როგორც იურიდიულ ფაქტებს, უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას. ცხოვრებისეული გარემოებანი თავისთავად არ წარმოადგენენ იურიდიულ ფაქტებს და ამდენად არც სარჩელის საფუძველს. იმისათვის რომ ცხოვრებისეულ გარემოებებს მიენიჭოთ ასეთი მნიშვნელობა, საჭიროა, რომ კანონი მას უკავშირებდეს სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას. მაგალითად, მოქალაქის გარდაცვალებას თავისთავად არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე იურიდიული შედეგი, მაგრამ კანონი გარდაცვალებას უკავშირებს სამკვიდროს გახსნას და ამით მას ანიჭებს იურიდიული ფაქტის

⁴ См. «Советский гражданский процесс», М., 1975, стр. 102.

მნიშვნელობას. ამდენად, სარჩელის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ სა-
მართლის ნორმაში და კერძოდ ჰიპოთეზაში მითითებული გარემოება.

სარჩელის მე-3 ელემენტია მისი შინაარსი. სარჩელის შინაარსით მოსარჩე-
ვლე მიუთითებს სარჩელის სახეს, ე. ი. რა სახით უნდა მოხდეს სასამართლოში
უფლების დაცვა. ამიტომ სარჩელის სახეების მოკლედ გარჩევასთან ერთად
განვიხილავთ სარჩელის მესამე ელემენტსაც. სარჩელის სახეებად დაყოფისა-
თვის არსებობს ორგვარი კლასიფიკაცია — სარჩელის სახეები, რომლებსაც
საფუძველად უდევთ მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნები, და სარჩელის
სახეები, რომლებსაც საფუძველად უდევთ საპროცესო-სამართლებრივი ნიშ-
ნები. სარჩელის შინაარსი განპირობებულია საპროცესო სამართლებრივი ნი-
შნებით, ამიტომ ჩვენც მათ შესახებ გისაუბრებთ.

სარჩელი საპროცესო-სამართლებრივი ნიშნების მიხედვით იყოფა სამ სა-
ხედ; ა) მისჯითი სარჩელი, ბ) აღიარებითი სარჩელი და გ) სარჩელი სამართ-
ლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ.

ა) ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების ან არაჯეროვნად შესრულე-
ბის შემთხვევაში, მოსარჩელეს (კრედიტორს) წარმოეშობა უფლება მოსთხო-
ვოს მოპასუხეს სასამართლო წესით იძულებით შეასრულოს გარკვეული
მოქმედება, ან თავი შეიკავოს ასეთი მოქმედებისაგან. ამ მოთხოვნას
ეწოდება მისჯითი სარჩელი. მოსარჩელე ამგვარი სარჩელით მიმართავს მაშინ,
როდესაც მოპასუხე სადავოდ ხდის მის ვალდებულებას და არ ასრულებს მას
ნებაყოფლობით. სასამართლო, განიხილავს რა სარჩელს, გამოარკვევს ნამდ-
ვილად არსებობს თუ არა მხარეთა შორის სადავო სამართალურთიერთობა და
მისი დადგენისას ვალდებულებას წარმართავს აღსასრულებლად.

ამრიგად, მისჯითი სარჩელისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო უფლე-
ბრივი დავის სასამართლო წესით გადაწყვეტა და ვალდებულების იძულები-
თი აღსრულება.

ბ) მოქალაქეები, წარმოება-დაწყებულებანი, ორგანიზაციები თავიანთი
მოთხოვნილებებისა და საქმიანობის განსახორციელებლად ერთმანეთს შორის
დებენ სხვადასხვა გარიგებას და ამყარებენ გარკვეულ ურთიერთობას, თუმცა
მათთვის ხშირად გაურკვეველია ამ ურთიერთობის იურიდიული შედეგი, რის
გამოც უფრო მოგვიანებით ამ ურთიერთობის დამყარებიდან თავს იჩენს ხოლმე
უფლებრივი დავა, რომლის გადაწყვეტა წარმოებს სასამართლოს მიერ იმის
აღიარებით, არსებობს თუ არა და რა მოცულობით მხარეთა შორის სადავო
სამართალურთიერთობა.

უკანასკნელ ხანს აღიარებითი სარჩელების რაოდენობა გაიზარდა საბი-
ნაო-სამშენებლო კოოპერატივებსა და აღებული სახლის ყოფილ მესაკუთრე-
ებს (ან მათ მდგმურებს) შორის დადებული ე. წ. „საგარანტიო ხელშეკრულე-
ბის“ კანონიერებაზე წამოჭრილი დავის ხარჯზე. აღნიშნულ საქმეებს საპრო-
ცესო თვალსაზრისით სასამართლოები ძირითადად სწორად წარმართავენ, თუ
მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ზოგჯერ „საგარანტიო ხელშეკრულების“
უცვლელად დატოვებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს აკისრებენ ვა-
ლდებულებას მოქალაქის ბინის ფართობით დაკმაყოფილების შესახებ. ასეთი
მოქმედება არ არის სწორი, რადგან აღიარებითი სარჩელის განხილვისას უფ-

ლების დაცვა ისე ხდება, რომ მხარეს არ ეკისრება რაიმე მოქმედების შესრულება, აღსრულება კი ხდება უშუალოდ გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბ) როგორც თვით ტერმინი მეტყველებს — „სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ“ ეწოდება ისეთ სარჩელს, რომელიც მიმართულია მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისა ან შეცვლისაკენ. ცნობილია, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166-ე და 233-ე მუხლების თანახმად მხარეთა შორის ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივი უარი (ვალდებულების შეწყვეტა) და ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება. თუმცა აქვე კანონმდებელი შენიშნავს, სამართალურთიერთობის ცალმხრივი შეწყვეტა და შეცვლა არ დაიშვება კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდაო (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166-ე მუხ). რამდენადაც სამართალურთიერთობის ასეთი შეწყვეტა ან შეცვლა საშიშროებას უქმნის მეორე მხარის უფლებებს, კანონმდებელი სამართალურთიერთობის ამ წესით შეწყვეტას ან შეცვლას უქვემდებარებს სასამართლო კონტროლს. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324-328 მუხლების თანახმად დამქირავებლის თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს გამქირავებლის მოთხოვნით, მაგრამ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის მარტოოდენ გამქირავებლის ნების გამოძღვანება არ კმარა, საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილებაც.

პირველი ორი სახის სარჩელისაგან მესამე სახის სარჩელის არსებითი განსხვავება ის არის, რომ მისჯითი და აღიარებითი სარჩელის განხილვისას სასამართლოს არავითარი ცვლილებები არ შეაქვს მხარეთა შორის არსებულ სამართალურთიერთობაში და იგი ისეთივე რჩება გადაწყვეტილების შემდეგ, როგორც იყო სარჩელის აღძვრამდე, რაც შეეხება სარჩელს სამართალურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ, მისი მიზანია, სასამართლომ შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მხარეთა ურთიერთობაში.

ამრიგად, სარჩელის არსის მოკლე განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოში სარჩელის განხილვისათვის საჭიროა მოსარჩელემ სასამართლოში შეიტანოს სასარჩელო განცხადება ფორმისა და შინაარსის დაცვით; საქმეში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ მხარეები — მოსარჩელე და მოპასუხე — და მათ შორის უნდა არსებობდეს სამოქალაქო უფლებრივი დავა. ჩვენ არ შეგვხვებოთ სასარჩელო წარმოების დანარჩენ საკითხებს, როგორც არის, მაგალითად, საქმის მომზადება სასამართლო განხილვისათვის; სამოქალაქო საქმის გარჩევა სასამართლოში; მტკიცებულებანი; საქმის გასაჩივრება (გაპროტესტება) საკასაციო ინსტანციაში და სხვა, რადგან ჩვენი მიზანია ძირითადად ვაჩვენოთ განსხვავება წარმოების სახეებს შორის, სასარჩელო წარმოების აღნიშნული საკითხები კი, როგორც შემდგომ დავინახავთ, საერთოა ყველა სახის წარმოებისათვის.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებს სასამართლო განხილავს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით, მაგრამ ამ საქმეთა მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება განაპირობებს იმ სპეციფიკურობას, რომელიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის XXII — XXIV თავებით.

⁵ აღიარებითი სარჩელის შესახებ იხ. «Советская юстиция», 1977 г. № 19, стр. 9.

თავისთავად ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირის) მონაწილეობა სამართალურთიერთობაში და მათ მიერ საკითხის გადაწყვეტა არ წარმოშობს სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავას. ადმინისტრაციული ორგანოები მონაწილეობენ სხვადასხვა სამართალურთიერთობაში (სამოქალაქო, შრომის, მიწის და სხვ.) და მინიჭებულა აქვთ უფლება გადაწყვიტონ ამ სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი საკითხები, ხოლო დავის შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით. ამიტომ სამართლიანად აღნიშნავს დ. ჩეჩოტი, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივია დავა, თუ დავის შემცველი იურიდიული საკითხი მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალს⁶.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი სამართლოს ქვემდებარე საქმეებია: ა) საჩივრები ამომრჩეველთა სიებში უსწორობის შესახებ; ბ) საჩივრები ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე; გ) მოქალაქეებისაგან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისა და თვითდაბეგვრის ნარჩენების გადახდევინების შესახებ (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 238 მუხლი).

ამომრჩეველთა სიებში ისეთი შეცდომების დაშვება, როგორც არის სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების უხეში ხელყოფაა. ამ უფლებების დაცვის მიზნით ყოველ მოქალაქეს შეუძლია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიტანოს საჩივარი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაზე სახალხო სასამართლოში საარჩევნო უბნის სამყოფელი ადგილის მიხედვით. სასამართლოში საქმის აღძვრა შეიძლება არა ამომრჩეველთა სიებში დაშვებულ ყველა შეცდომაზე, არამედ მხოლოდ იმ შეცდომებზე რომელთა შესახებაც უშუალოდ კანონშია. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე საკავშირო უმაღლესმა საბჭომ 1978 წლის 6 ივლისს მიიღო „კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომლის 22-ე მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს სახალხო სასამართლოში ამომრჩეველთა სიებში შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სახელის და სხვა მონაცემების უზუსტობანი.

ამომრჩეველთა სიებში შეცდომების გასაჩივრება სასამართლოში დასაშვებია, თუ იგი კანონით არის გათვალისწინებული, ამიტომ სახალხო მოსამართლეთა არჩევისათვის ამომრჩეველთა სიებში დაშვებული უზუსტობა არ გასაჩივრდება სახალხო სასამართლოში, რადგან ეს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დებულებით არ არის გათვალისწინებული. ასეთი უზუსტობა გასაჩივრდება ადმინისტრაციული წესით შესაბამისი საბჭოს აღმასკომში.

სახალხო სასამართლოში ასეთ საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურება იმით გამოიხატება, რომ სასამართლო საჩივარს მიიღებს მას შემდეგ, როდესაც აღმასკომი განიხილავს მომჩივნის განცხადებას და არ დააკმაყოფილებს მის თხოვნას. თუ საჩივარი სასამართლოში შეტანილია აღმასკომში განცხადების შეტანამდე, მოსამართლე საჩივარს გადაუგზავნის შესაბამის აღმასკომს და აცნობებს ამის შესახებ მომჩივანს. სასამართლოში საჩივრის შეტანა შეუძლია ყოველ მოქალაქეს, რომელიც არ ეთანხმება მისი განცხადების გამო

⁶ См. Д. М. Чечот, «Неисковые производство», Юрид. лит. — 1973, стр. 10.



აღმასკომის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. განსჯადობის თვალსაზრისით მოქალაქე საჩივარს შეიტანს საარჩევნო უბნის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლოში საქმე განიხილება სამი დღის ვადაში პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 22-ე მუხლით გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე განიხილება საპროცესო კოდექსის XXIII თავის შესაბამისად. ამ თავის 244-ე მუხლი შეიცავს ხარვეზს. აქ ნათქვამია, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს იმ ადმინისტრაციულ ორგანოების ან თანამდებობების პირთა მოქმედებაზე, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება „ადმინისტრაციული წესით გადაახდევინონ მოქალაქეებს გადასახადები“. გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება „გადასახადებში“. მიუღებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს „მოქალაქეთაგან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების გადახდა“, რადგან ასეთის გადაუხდელობის გასაჩივრება გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 24-ე თავით. ამასთან მომდევნო 245-ე მუხლში დიფერენცირებულია „გადასახადების“ ცნება „ჯარიმად“ და „გადასახდელად“, რაც არ არის ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილი. ვფიქრობთ, საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლში საჭიროა შევიტანოთ ცვლილებები — ამოვიღოთ ბოლო წინადადება „ადმინისტრაციული წესით გადაახდევინონ მოქალაქეებს გადასახდელი“ და მის ნაცვლად დავმატოს — „მოქალაქეების მიმართ გამოიყენონ ადმინისტრაციული სასჯელები“. ასეთი რედაქციით საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი უფრო სრულყოფილად გამოხატავს თავის მნიშვნელობას და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილ იმ საქმეთა წრეს, რომელიც განიხილება საპროცესო კოდექსის 23-ე თავით. ამასთან რუსეთის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებშიც ნახმარი ტერმინი «Взыскания» გავებულია როგორც „ადმინისტრაციული სასჯელი“ და არა როგორც „გადასახდელი“⁷. ჩვენც ამ გაგებით განვიხილავთ მას.

ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და თანამდებობების პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ მოქალაქის ან თანამდებობის პირის მიმართ ადმინისტრაციული სასჯელები — ჯარიმა, ქონების კონფისკაცია, გაფრთხილება, გარკვეული უფლების ჩამორთმევა და სპეციალურ ნორმატიულ აქტში გათვალისწინებული სხვა სასჯელები. მოქალაქეს ან თანამდებობის პირს უფლება აქვს, გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული დადგენილება მის მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია:

1) „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით. რომლითაც ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ მოქალაქეს, აგრეთვე თანამდებობის პირს, უფლება აქვს დადგენილება დაჯარიმების შესახებ გასაჩივროს სასამართლოში, თუ კანონით სხვა რამ არ

⁷ См. Д. М. Чечот, «Неисковые производство», Москва — 1973, стр. 39.

არის გათვალისწინებული. (აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 19 აპრილს მიიღო შესაბამისი ბრძანებულება).

სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად კონტრაბანდისათვის დაჯარიმებაზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ან მთავარ საბაჟო სამმართველოში, ან სახალხო სასამართლოში. ამავდროულად მუხლის მე-4 ნაწილით, თუ საჩივარი განიხილა მთავარმა საბაჟო სამმართველომ, მისი დადგენილება საბოლოოა და სახალხო სასამართლოს განხილვას არ ექვემდებარება; ასეთივე პრინციპით გასაჩივრდება ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოში საპაერო კოდექსის 141 და 144 მუხლებით მოძრაობის უსაფრთხოების, ქონების დაცვის, სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევებისათვის მიღებული დადგენილება დაჯარიმების შესახებ; და მესამე შემთხვევა, როდესაც არ დაიშვება დაჯარიმების შესახებ დადგენილების გასაჩივრება სახალხო სასამართლოში, არის წვრილმანი ხელიგნობისათვის სახალხო მოსამართლისა და მილიციის ორგანოს უფროსის მიერ გამოტანილი დადგენილება დაჯარიმების შესახებ⁸.

2) ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე სახალხო სასამართლოში საჩივრის შეტანის მე-2 შემთხვევაა სახელმწიფო საავტომობილი ინსპექციის განყოფილების და რაიონული (ქალაქის) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ გამოტანილი დადგენილება ორიდან სამ წლამდე სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ⁹.

ადმინისტრაციული სასჯელების სასამართლოში გასაჩივრების ჩვენს მიერ ჩამოთვლილი შემთხვევები არ არის ამომწურავი. შეიძლება სასამართლოს ექვემდებარებოდეს სხვა დადგენილებებიც ადმინისტრაციული სასჯელის შესახებ, თუკი ასეთი უშუალოდ ნორმატიულ აქტშია მითითებული.

სსრ კავშირის მოქალაქეებისაგან გადასახადების აკრეფა არის მშრომელთა პირადი შემოსავლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სავალდებულო გადასახადის დაკისრება მკაცრად განსაზღვრული ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა შემოსავლის დაბეგვის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული თანხის ხვედრითი წონა თანდათან მცირდება — იზრდება დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი, უქმდება გადასახადები, მაგალითად, ერთპიროვნული მეურნეობისათვის ცხენის გადასახადი და სხვ. დღეისათვის მოქალაქეთა საგადასახადო სისტემა მოიცავს სახელმწიფოსა და ადგილობრივ გადასახადს. მათი გარკვეული ნაწილის აკრეფა ხდება წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ბუღალტერიის მიერ, ხოლო დიდი უმრავლესობის დაბეგვრა ხდება საფინანსო განყოფილებებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გამოსაღების გადახდა უშუალოდ მოქალაქის მიერ ხდება. პირველ შემთხვევაში იშვიათია გადასახადიდან ნარჩენების არსებობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, რამდენადაც მო-

⁸ „ხელიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების მე-2 და მე-3 პუნქტი.

⁹ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „გზებზე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში წესებისა და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“, მე-16 პუნქტი.

ქალაქეს აქვს ამის საშუალება, სხვადასხვა მიზეზების გამო არ იხდის მთლიანად. ასეთ პირობებში საფინანსო განყოფილებას ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს განცხადებით მენარჩენის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით ნარჩენის იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ. ასეთივე უფლება წარმოეშობა საფინანსო განყოფილებას სავალდებულო დაზღვევის მენარჩენის მიმართ.

ასეთი საქმეების განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს ისეთი საკითხები, რომლებზეც არ შეუძლია არსებითად გამოიტანოს გადაწყვეტილება. მაგალითად საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი, რომლის თანახმად სასამართლოს ევალება შეამოწმოს მოქალაქისათვის გადასახადის დაკისრების კანონიერება და მისი ოდენობის სიზუსტე. მაშინ როდესაც აღნიშნულ საკითხებზე წამოტვირთულ დავას გადაწყვეტს ადმინისტრაციული ორგანო — „კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შესახებ“, მუხლი—25-26; „კანონი მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“, მუხლი 38-39 და სხვ. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გადასახადი სწორად არ არის დაკისრებული ან გამოანგარიშებული, განჩინებით შეაჩერებს საქმის წარმოებას და მასალებს შესამოწმებლად გადაუგზავნის ვადამხდევინებელ ორგანოს. ამის შემდეგ საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის დაკისრების კანონიერება და განაგარიშება დადასტურებული იქნება ვადამხდევინებლის ზემდგომი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.

ამგვარად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის პირველი დიდი განმასხვავებელი ნიშანი სასარჩელო საქმეებისაგან გამოიხატება მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებით. თუ სასარჩელო საქმეები წარმოშობილია სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან და განიხილება სამოქალაქო უფლებრივი დავა, მეორე შემთხვევაში გინიხილება ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობიდან აღმოცენებული უფლებრივი დავა. ამ თავისებურების გამო, სასარჩელო წარმოების საქმის აღძვრისათვის პირს სასამართლოში შეაქვს „სასარჩელო განცხადება“ და საქმეში მონაწილე მთავარი პირები იწოდებიან მხარეებად — მოსარჩელედ და მოპასუხედ, და იურიდიულად თანაბარ პირობებში იმყოფებიან. ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე სასამართლოში შეიტანება საჩივარი ან განცხადება, ხოლო საქმეში მონაწილე პირები — ერთის მხრივ, მომჩივანი ან განმცხადებელი და მეორე მხრივ ადმინისტრაციული ორგანო ან თანამდებობის პირი ვარკვეულ დაქვემდებარებაში იმყოფებიან ურთიერთშორის და ვფიქრობთ სწორედ ამ მიზეზით სასამართლოს დაკისრებული აქვს ამ ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე ვაკონტროლებელი ფუნქცია. ამ ორ წარმოებას შორის არსებულ განსხვავებებთან ერთად არსებობს საერთოც. მაგალითად, ორივე სახის წარმოებისთვის დამახასიათებელია მატერიალურ-უფლებრივი დავა — სამოქალაქო და ადმინისტრაციული (გამონაკლისს წარმოადგენს საქმეები გადასახადების ნარჩენების გადახდევინების შესახებ, რომლის დროსაც შეიძლება არ არსებობდეს უფლებრივი დავა). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძირითადი პრინციპები, ქონებრივი და არაქონებრივი დავა და სხვ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში კანონმდებელი „სამოქალაქო უფლებებთან“ ერთად მოიხსენიებს „კანონით დაცულ ინტერესებს.“ დღეისათვის მთელ სამეცნიერო ლიტერატურაში და პრაქტიკაშიც მიჩნეულია, რომ „კანონით დაცული ინტერე-



სების“ დაცვა ძირითადად ხდება განსაკუთრებული წარმოების წესით, მაგრამ ვფიქრობთ, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი თვით „კანონით დაცული ინტერესების“ არსი და მისი დამოკიდებულება „სამოქალაქო უფლებებთან“. ს. ნ. ბრატუსი აღნიშნავს, რომ უფლება, ეყრდნობა რა ინტერესს, თავისთავად ინტერესს არ წარმოადგენს, თუმცა მისი არსებობა დამოკიდებულია ინტერესის სოციალურ ხასიათზეო.¹⁰ ასევე დ. ჩეჩოტი ინტერესს განმარტავს როგორც უფლების წანამძღვარსა და მიზანს¹¹, მაგრამ ასეთი განმარტება, როგორც ჩანს, მას არ აკმაყოფილებს და მოითხოვს „კანონით დაცული ინტერესების“ საკანონმდებლო აქტებიდან ამოღებას ან მის სათანადო შესწავლას¹².

„კანონით დაცული ინტერესების“ განხილვა ჩვენი მიზანი არ არის, (მისი შესწავლა სამართლის ზოგადი თეორიის საგანია), განსაკუთრებული წარმოებისთვის კი მისი ცოდნა იმდენად არის საჭირო, რამდენადაც იგი უნდა განვსხვავოთ სამოქალაქო (ადმინისტრაციული) უფლებსაგან. განსაკუთრებული წარმოების საქმეები სამოქალაქო სამართლის სხვა საქმეებისაგან განსხვავდება მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებით. პირველი ორი წარმოებისაგან განსხვავებით აქ სასამართლო განიხილავს არა უფლებრივ დავას, არამედ მისი საქმიანობა ამოიწურება „კანონით დაცული ინტერესების“ დაცვით, ე.ი. იმ გარემოებების გამოვლენით და დადგენით — კონსტატაციით, — რომლებსაც კანონმდებელი უკავშირებს იურიდიულ შედეგს. ამიტომ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დაინტერესებული პირის ინტერესები ატარებდეს მხოლოდ საპროცესო ხასიათს. ინტერესის დაცვა — იურიდიული ფაქტის დადგენა — მას ესაჭიროება შემდგომში მისგან წარმოშობილი მატერიალური უფლების განხორციელებისათვის, თუმცა ასეთი უფლების დაცვა განსაკუთრებული სამართალწარმოებისას არ დაიშვება (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 255 მუხ.).

სამოქალაქო უფლებრივი დავის არარსებობის გამო ხშირად განსაკუთრებულ წარმოებას დავის გარეშე წარმოებას უწოდებენ, რაც არ არის სწორი. განსაკუთრებული წარმოებისთვის უცხოა დავა სამოქალაქო უფლებებზე და არა საერთოდ დავა. იურიდიული ფაქტის დადგენისას სასამართლოში წარმოებს დავა იურიდიული ფაქტის — ხდომილების, მოქმედებისა და მდგომარეობის — ირგვლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ინტერესის დაცვა განხორციელდებოდა ადმინისტრაციული წესით. მაგალითად, მამობის დადგენა მამის ორგანოში მშობლების ნებაყოფლობითი განცხადებით; სანოტარო კანტორაში დოკუმენტის ასლის დამოწმებით და სხვ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლში ჩამოთვლილ განსაკუთრებული წარმოების საქმეებიდან უნდა გამოვყოთ საქმეები „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა უსწორობის დადგენის შესახებ“ და „საჩივარი ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელ ორგანოს მოქმედებაზე“. ამ საქმეების განხილვისას იურიდიული ფაქტების კონსტატაცია კი არ ხდება, არამედ წარმოებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლების დაცვა. მაგალითად, საქართველოს სსრ სა-

¹⁰ См. Братусь С. Н. «Субъекты гражданского права», М., 1950, стр. 20—21.

¹¹ Чечот Д. М. «Субъективное право и формы его защиты», стр. 35.

¹² იქვე, 38-43.

ქორწინო და საოჯახო კოდექსის 160-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია ხდება მმაჩის ორგანოებში. სააქტო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის შესახებ ძირითადი დებულების პირველი პუნქტის თანახმად დაშვებული უზუსტობის გასწორება და ცვლილებების შეტანა დაინტერესებულ პირებს შორის დავის არარსებობის შემთხვევაში წარმოებს თვით მმაჩის ორგანოების მიერ, ხოლო განმცხადებელსა და მმაჩის ორგანოს შორის წამოჭრილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა და ზემოაღნიშნული დებულების მე-10 პუნქტის თანახმად მოქალაქეს შეუძლია ადმინისტრაციის მოქმედება გასაჩივროს სასამართლოში. ასეთივე ხასიათი აქვს „საჩივარს ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს მოქმედებაზე“. ამიტომ, რამდენადაც სამართალწარმოების სახეებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათ მატერიალურ-სამართლებრივ ბუნებაში მდგომარეობს, მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საქმეები უნდა მიეკუთვნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეთა წრეს.

განსაკუთრებული წარმოების საპროცესო თავისებურებებიდან უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო განსაკუთრებული წარმოების საქმეებს განიხილავს საპროცესო კოდექსის საერთო წესებით იმ თავისებურებების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია საპროცესო კოდექსის 26-ე — 32-ე თავებით. ამ საქმეებისთვის განსაკუთრებით სპეციფიკურია საქმეში მონაწილე პირთა შემადგენლობა. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, აქ არ მონაწილეობენ მხარეები და მესამე პირები. პირს, რომელიც აღძრავს განსაკუთრებული წესით სამოქალაქო საქმეს, ეწოდება განმცხადებელი. საქმეში მონაწილეობს ასევე ე. წ. დაინტერესებული პირი. განმცხადებელი და დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქე, ასევე სოციალისტური ორგანიზაცია. საქმეში მონაწილე პირთა ასეთი დაყოფა არ არის შემთხვევითი. იგი განპირობებულია საქმეში მონაწილე პირთა უფლებებით და კანონით დაცული ინტერესებით. მიუხედავად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა, სახალხო სასამართლოები თითქმის ყველა განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე განმცხადებელს უწოდებენ მოსარჩელეს, ხოლო დაინტერესებულ პირს — მოპასუხეს ან მესამე პირს. ამიტომ ხშირად გაუგებრობას იწვევს წარმოების რა სახესთან გვაქვს საქმე და საქმეში მონაწილე პირს რა უფლება-მოვალეობანი აქვს.

განსაკუთრებული წარმოების გარკვეული წრის საქმეების აღძვრის ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ განმცხადებელმა განცხადებაში უნდა მიუთითოს მიზანი, თუ რისთვის სჭირდება იურიდიული ფაქტის დადგენა. განსაკუთრებული წარმოების ყველა საქმისათვის კანონმდებელი ინდივიდუალურად წყვეტს განსჯადობის საკითხს. მოცემულ საქმეთა წარმოებისთვის უცხოა მხარეთა შეთანხმება (მხარეთა არარსებობის გამო); სარჩელის ცნობა, სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა და სხვა (თვით სარჩელის არარსებობის გამო).

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 58-ე მუხლმა და საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის 56-ე მუხლმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში იმის თაობაზე, თუ რა წესით უნდა მოხდეს თანამდებობის პირის მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში. ძირითადად გამოთქმულია ორი აზრი: 1) კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა მუხლებმა სასამართლო ორგანოებს დაუქვემდებარა თანამდებობის პირის ყოველგვარი უკანონო მოქმედების გა-

საჩივრება და 2) სასამართლო სისტემაში საჭიროა ახალი რგოლის შექმნა, რომელიც განიხილავს საჩივრებს თანამდებობის პირების მოქმედებაზე.

ასეთი მოსაზრებები კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლებიდან არ გამომდინარეობს. მათში მხოლოდ აისახა უკვე არსებული სამართალწარმოების წესი თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების გამო სამოქალაქო საქმეების განხილვისა, რაც გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობით.

კონსტიტუციის კომენტარებულ მუხლებში ნათქვამია: „თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბღალავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში“ (ხაზგასმა ჩვენია — დ. ს.). ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს თანამდებობის პირთა მოქმედების გამო წარმოშობილი დავები, რომლებიც აღმოცენდება ადმინისტრაციულ-სამართალურიეროობიდან. კონსტიტუციაში აღნიშნული „კანონით დადგენილი წესი“ კი ნიშნავს, რომ თანამდებობის პირის არა ყოველგვარი მოქმედება გასაჩივრდება სასამართლოში, არამედ ისეთი, რომელიც უშუალოდ გათვალისწინებულია კანონით. ასეთი წესი კი დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 244 მუხლით.

ასევე უარყოფილი უნდა იყოს შეხედულება სასამართლო სისტემაში ახალი რგოლის ჩამოყალიბების შესახებ. თვით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 151-ე მუხლით გათვალისწინებულია ისეთი სასამართლო სისტემა, როგორსაც ითვალისწინებდა ძველი კონსტიტუცია და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლების 1-ლი მუხლი. უფრო მეტიც, თანამდებობის პირის ყოველგვარი მოქმედების გამო საჩივრის სასამართლოსადმი დაქვემდებარება და ამ დავების განსახილველად სასამართლო სისტემაში ახალი რგოლის შექმნა ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავდა ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

რესპუბლიკის სასამართლოებში მოქალაქეობის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრაქტიკის შესახებ

მ. გველსინანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა ბოლო წლების პრაქტიკის განზოგადება მოწმობს, რომ რესპუბლიკის სასამართლოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მართლმსაჯულების განხორციელება, თუმცა მისი დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს.

სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკმაოდ გავრცელებულად და ტიპურად კვლავ რჩება დამნაშავეისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს დაშვებული შეცდომები. ბევრი სასამართლო სასჯელის დანიშვნისას არ ასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების მოთხოვნებს, არ იცავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რის გამოც სისხლისსამართლებრივი სასჯელი ყოველთვის არ არის გონივრული, მიზანშეწონილი და მაქსიმალურად არ უწყობს ხელს მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1972 წლის 31 ივლისის დადგენილებაში — „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების პრაქტიკაში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებათა შესახებ“ განმარტა, რომ სასამართლოებმა მკაცრი სასჯელი უნდა შეუფარდონ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს. ამასთან ერთად იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი არ არის, და ვინც შეიძლება გამოსწორდეს საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, უნდა გამოყენებულ იქნეს სასჯელის ზომა, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ამავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ ცალკეული სასამართლოები მოკლევადიან სასჯელებს უფარდებენ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული.

სასჯელის განსაზღვრის საკითხში სინათლე შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის დადგენილებამ — „სასამართლოს განაჩენების შესახებ“, რომელმაც ზაზი გაუსვა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მკაცრად დაცვის აუცილებლობას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრისას განაჩენში აუცილებელია აღინიშნოს, თუ დანაშაულის, აგრეთვე დამნაშავე პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის რომელი კონკრეტული გარემოებები გათვალისწინა სასამართლომ სასჯელის ღონისძიების შერჩევის დროს. სასჯელის განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლენუმის დადგენილების მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, უკეთეს სისხლის სამართ-

თლის კანონის სანქცია ითვალისწინებს არამარტო თავისუფლების აღკვეთას, არამედ უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობასაც, განაჩენში უნდა დასაბუთდეს მოტივები, რომელთა გამო სასამართლომ გადაწყვიტა გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად, დანაშაულის სიმძიმისა და ბოროტმოქმედი პიროვნების შესახებ მონაცემების შესაბამისად საზღვრავენ სასჯელებს, ამასთან ერთად არის შემთხვევები, როცა სასამართლოები დამნაშავეებს უფარდებენ აშკარად მკაცრ სასჯელებს (უფრო იშვიათად, მაგრამ არის პირიქითაც), რის გამოც ზემდგომ სასამართლო ინსტანციებს შესწორება შეაქვთ განაჩენებში. სწამ კონკრეტული მაგალითების მოყვანას შევუდგებოდეთ გავცნოთ ზოგიერთ ციფრობრივ მონაცემებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორია დასჯითი პრაქტიკა (განსაკუთრებით მოკლევადიანი სასჯელების გამოყენების მხრივ) რესპუბლიკაში.

დასჯითი პრაქტიკის 1977 წლის ძირითადი მაჩვენებლები თითქმის ანალოგიურია წინა უახლოესი წლების მონაცემებისა. თავისუფლების აღკვეთამისჯილთა რიცხვი 1977 წელს 0,8 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე წინა წელს.

თავისუფლების აღკვეთის ვადების დიფერენცირებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები უპირატესად იყენებენ მცირე ვადიან თავისუფლების აღკვეთას. ერთ წლამდე ჩათვლით მისჯილთა ხვედრითი წონა ძალზედ დიდია, იგი შეადგენს 20,7 პროცენტს, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოებში, სადაც მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია მსჯავრდებულთა 30,5 პროცენტის მიმართ, აჭარის ასსრ სასამართლოებში (27,6 პროცენტი) და ქ. თბილისის სასამართლოებში (24,3 პროცენტი). სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ყველა ხერხით დატაცებისათვის (გარდა წვრილმანისა) 1977 წელს თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს მსჯავრდებულთა 49,6 პროცენტს, რაც 3,9 პროცენტით მეტია საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებზე (45,7 პროცენტი). ამასთან საქართველოში ეს სასჯელი 1 წლამდე ვადით გამოყენებულია მსჯავრდებულთა 8,4 პროცენტის მიმართ, რაც შესაბამის საკავშირო მაჩვენებელზე 2,7 პროცენტით მეტია. განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო სასამართლოებს (18,2 პროცენტი), ქ. თბილისის სახალხო სასამართლოებს (9,7 პროცენტი).

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში არ არის ჩადენილი (სსკ 94 მუხლის I ნაწილით), სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი გზით დაუფლების ყველაზე გავრცელებული ხერხია. ამ მუხლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 წლამდე.

1977 წელს თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 15,8 პროცენტს, აქედან ერთი წელი და ნაკლები ვადით 26,1 პროცენტს (საკავშირო მაჩვენებელი შესაბამისად 11,2 და 17,5 პროცენტია). უფრო ცუდი მაჩვენებელი აქვთ ამ მხრივ ქ. თბილისის სახალხო სასამართლოებს. თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს ამ კატეგორიის საქმეებზე

მსჯავრდებულთა 11,9 პროცენტს, მათ შორის 1 წლამდე ჩათვლით — 60 პროცენტს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის (ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ) სანქციით ვათვალისწინებულთა თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე ვადით. ფაქტიურად კი 1977 წელს სასჯელის ეს სახე გამოყენებულია მსჯავრდებულთა 40 პროცენტის მიმართ. ამასთან თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ჩათვლით მიესაჯა მსჯავრდებულთა 6,1 პროცენტს.

როგორც სტატისტიკური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, უკანასკნელ წლებში იზრდება მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვის გამო მსჯავრდებულ პირთა რიცხვი. დასჯითი პრაქტიკა კი შემდეგ სურათს იძლევა:

მოქალაქეთა გაქურდვისათვის (სსკ 150 მუხლი) მსჯავრდებულთა 76,8 პროცენტს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის 1 წლამდე ჩათვლით 19,9 პროცენტს.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოკლე ვადით, მათ შორის ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა ხვედრითი წონა თითქმის ყველა დანაშაულის მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკათა მნიშვნელოვანი უმრავლესობის ასეთივე მაჩვენებელი.

ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ სასამართლოთა ერთი ნაწილი დასჯითი პრაქტიკის მაჩვენებლებში თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა რიცხვს ხელოვნურად აღიდეგს ამ სახის სასჯელის მცირე ვადით შეფარდების ხარჯზე. ეს არ არის საქმისადმი სახელმწიფოებრივი და კანონიერი მიდგომა.

მოუხედავად იმისა, რომ დიდია იმ მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც სასჯელი პირობით ჩაეთვალათ ან შეეფარდათ გამასწორებელი სამუშაოები (1977 წელს გამასწორებელი სამუშაოები შეეფარდა მსჯავრდებულთა 19,5 პროცენტს, პირობით ჩაეთვალა სასჯელი 10,7 პროცენტს) სასამართლოები თითქმის არ იყენებენ მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას. ამ მხრივ საქართველოს სასამართლო ორგანოები ჩამორჩებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, გარდა აზერბაიჯანისა.

1977 წელს მშრომელთა კოლექტივებს შემდგომი აღზრდა-გამოსწორებისათვის გადაეცათ ყველა მსჯავრდებულის (რომელთაც გამასწორებელი სამუშაოები შეეფარდათ და პირობითად ჩაეთვალათ სასჯელი, მათ შორის არასრულწლოვნებსაც) 5,2 პროცენტი შესაბამისად საკავშირო მაჩვენებელი შეადგენს 20,8 პროცენტს.

იმის გამო, რომ სახალხო სასამართლოები უშვებენ შეცდომებს სასჯელის განსაზღვრის ნაწილში (განსაკუთრებით ალტერნატიული სასჯელების დანიშვნისას) რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონა აქვს საკასაციო წესით საქმეთა განხილვისას სასჯელის ზომაში ცვლილებების შეტანას კვალიფიკაციის შეუცვლელად.

მოვიტანთ ზოგიერთ კონკრეტულ მაგალითს:

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოს. ო. მამესწარაშვილი) 1978 წლის 9 იანვრის განაჩენით თ. ცაბაძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, გამოიყენა 25¹ მუხლი და მიამაგრა იგი სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სამუშაოდ. თ. ცაბაძეს მსჯავრდი დაედო იმაში, რომ

მოიპარა 80 მანეთის ვაშლი, რაც ამოღებულ იქნა და ჩაბარდა საბჭოთა მეურნეობას. თ. ცაბაძე პირველად იყო სამართალში მიცემული, გულწრფელად აღიარა დანაშაული, სამუშაო აღვილიდან კარგად ხასიათდებოდა, კმაყოფაზე ჰყავდა ავადმყოფი დედა, ორი არასრულწლოვანი შვილი და ფეხმძიმე მეუღლე.

უმალღესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 95¹ მუხლის საფუძველზე ეს სასჯელი მითვისებული ქონების სამმაგი ღირებულების ჯარიმის გადახდით შეუტევალა. განაჩენში დასაბუთებული არ იყო, თუ რამ გამოიწვია თ. ცაბაძისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების აუცილებლობა, მაშინ, როდესაც სსკ 94 მუხლის I ნაწილის სანქცია ალტერნატივულია.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს (მოს. ს. მალაქელიძე) 1977 წლის 1 აპრილის განაჩენით ვ. გურუშიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 114-ე მუხლით და მიესჯა 1 წლის თავისუფლების აღკვეთა. ვ. გურუშიძემ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მდგომარეობაში სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა მოქ. ს. კობალაძეს. სახალხო სასამართლომ სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს არ გაითვალისწინა, რომ ვ. გურუშიძემ დანაშაული ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების პირობებში, რომ ის 85 წლისაა, სხვა დროს სამართალში არ ყოფილა, სამამულო ომის მონაწილეა კოლეგიამ გურუშიძეს შეფარდებული სასჯელი სსკ 46 მუხლის საფუძველზე პირობითად ჩაუთვალა.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 18 იანვრის განაჩენით (მოს. ი. კოკლამაზაშვილი) ე. ვარსემაშვილი დამნაშავედ ცნო სსკ 24 მუხლის II ნაწილით და შეუფარდა ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც 25¹ მუხლის საფუძველზე შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეუტევალა.

ე. ვარსემაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ დაარღვია გზებზე მოძრაობის წესები, მანქანა დააჯახა ცხენის ურემს, რის შედეგადაც მოქ. ზ. გავაშვილმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი მისთვის თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და რატომ არ შეიძლებოდა მის მიმართ გამოყენებინა 241 მუხლის II ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი. ე. ვარსემაშვილი გასამართლების დროს მექანიზაციის სამმართველოში მუშაობდა და კოლექტივი უშამდგომლობდა გადაეცათ იგი შემდგომი აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

კოლეგიამ ე. ვარსემაშვილს შეფარდებული სასჯელი ერთი წლის გამასწორებელი სამუშაოებით შეუტევალა.

ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოს. ო. გაბეჩავა) 1977 წლის 10 მარტის განაჩენით გ. მალულარია დამნაშავედ ცნო სსკ 169 მუხლის I ნაწილით და მას 8 თვის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გ. მალულარიამ მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 68 კაპიკი. განაჩენში არ იყო დასაბუთებული, თუ რა აუცილებლობით იყო გაპირობებული მისთვის მოკლევადიანი პატიმრობის განსაზღვრა, თუმცა 169 მუხლის I ნაწილის სანქცია ალტერნატივულია და იგი ითვალისწინებს უფრო მსუბუქი სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას. კოლეგიამ მას შეუტევალა შეფარდებული სასჯელი.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1978 წლის 30 მარტის განა-

ჩენით მ. ჯავახიშვილს მსჯავრი დადო იმისათვის, რომ იგი, მუშაობდა რა სოფ. თოხლიაურის სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველად, ორ მომხმარებელს სხვადასხვა პროდუქტებში 7 მანეთისა და 45 კაპიკის ნაცვლად გადაასწავინა 8 მანეთი და 20 კაპიკი, ე. ი. მიითვისა 78 კაპიკი.

სახალხო სასამართლომ ჯავახიშვილი ცნო დამნაშავედ სსკ 169 მუხლის I ნაწილით და მას 6 თვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ამასთან გამოიყენა სსკ 46 მუხლი და შეფარდებული სასჯელი ჩაუთვალა პირობითად ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მ. ჯავახიშვილი პირველად იყო სამართალში მიცემული, ხასიათდებოდა დადებითად, კმაყოფიან ჰყავდა სამი მცირეწლოვანი შვილი. ასეთ პირობებში გაუგებარია, საერთოდ, თავიდან რატომ განუსაზღვრა მას თავისუფლების აღკვეთა.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 4 ივლისის განაჩენით გ. ქევხიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 81-ე მუხლის I ნაწილით და 134-ე მუხლის I ნაწილით და ერთობლივად მიესაჯა 1 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ვ. ქევხიშვილს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ 1977 წლის 5 აპრილს ცოლად შერთვის მიზნით მოიტაცა თელავის რაიონის სოფ. აკურაში მცხოვრები ნ. ე. გარდა ამისა მან თავი აარიდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევას. კოლეგიამ გ. ქევხიშვილს შეფარდებული სასჯელი სსკ 46 მუხლის საფუძველზე პირობითად ჩაუთვალა 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

სასჯელის პირობითად ჩათვლას კოლეგიამ საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ გ. ქევხიშვილი პირველად იყო მიცემული სამართალში, ხასიათდებოდა ძალზედ კარგად, დაზარალებული ნ. ე. იმ დროისათვის ცხოვრობდა მსჯავრდებულის ოჯახში და ფაქტიურად მისი მეუღლე იყო. გ. ქევხიშვილი გულწრფელად ინანიებდა დანაშაულს.

ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 22 ნოემბრის განაჩენით (მოს. გ. ოსეთაშვილი) ზ. ბეჟანიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის 0,12 ჰექტ. მიწის ფართობის მიტაცებისა და ამ ნაკვეთზე უნაბართოდ სახლის აშენებისათვის. ზ. ბეჟანიშვილს სსკ 180 მუხლით მიესაჯა 1 წლის თავისუფლების აღკვეთა, მიტაცებული 0,12 ჰექტ. მიწის ნაკვეთის ჩამორთმევეთა და ამ ნაკვეთზე აგებული საცხოვრებელი სახლის აღებით.

კოლეგიამ განაჩენი შეასწორა იმ მხრივ, რომ ზ. ბეჟანიშვილს შეფარდებული სასჯელი — 1 წლის თავისუფლების აღკვეთა შეუტყვალა 1 წლის გამასწორებელი მუშაობით. ზ. ბეჟანიშვილი პირველად იყო სამართალში მიცემული, ხასიათდებოდა დადებითად, ამასთან განაჩენში არ იყო დასაბუთებული, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისთვის თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა თუმცა ამ მუხლის სანქცია ალტერნატიულია.

ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოს. ო. ვაბეჩავა) ვ. სარჯველაძეს ცრუ ჩვენების მიცემისათვის სსკ 197 მუხლის I ნაწილით მიუსაჯა 6 თვის თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიამ ვ. სარჯველაძეს შეფარდებული სასჯელი შეუტყვალა ერთი წლის

გამასწორებელი სამუშაოებით. კოლეგიამ სასჯელის ნაწილში განაჩენის შეცვლას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ხასიათდებოდა დადებითად, სხვა დროს სამართალში არ ყოფილა, კმაყოფაზე ჰყავდა ღრმად მოხუცი დედა, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი.

იმავე სასამართლომ 1977 წლის 29 დეკემბრის განაჩენით თ. ჩხიკვაძე დამნაშავედ ცნო სსკ 108 მუხლით და მიუსაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა თ. ჩხიკვაძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მას 1977 წლის 6 ოქტომბერს სოფ. ჩაისუბანში ნასყამს საკუთარ სახლში გაუფრთხილებლობის გამო შემოაკვდა დედა ე. ჩხიკვაძე.

კოლეგიამ თ. ჩხიკვაძეს შეფარდებული სასჯელი შეუცვალა ერთი წლის გამასწორებელი მუშაობით. სასჯელის შეცვლას კოლეგიამ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ თ. ჩხიკვაძემ გაუფრთხილებლობით მოჰკლა საკუთარი დედა, ამის შედეგად იგი დიდხანს ავადმყოფობდა, მიძიმედ განიცდიდა ჩადენილ დანაშაულს, კმაყოფაზე ჰყავდა ავადმყოფი მამა და ინვალიდი ცოლი, რომელსაც ამპუტირებული აქვს მარჯვენა ხელი და მომხდარი შემთხვევის გამო, ნერვიულობის ნიადაგზე შეუწყდა ორსულობა. სამუშაო ადგილიდან მსჯავრდებული ხასიათდებოდა დადებითად.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ (მოს. დ. კალანდაძე) 1977 წლის 27 მაისის განაჩენით გ. შოთაშვილს, რომელიც ადრეც იყო ნასამართლვე, სსკ 150-ე მუხლის II ნაწილით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით შეუმცირა 1 წლით და მოსახდელად დაუტოვა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

რესპუბლიკაში უკანასკნელ პერიოდში (1976-77 წლებში) მოკლევადიანი საპატიმრო სასჯელების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ სწორ დასჯით პოლიტიკას. აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ სასამართლო ორგანოებმა.



მოქალაქე საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ

ა. სოლოვას,

მ. კაციტაძე

იურიდიულ ლიტერატურაში მრავალი წინადადებაა წამოყენებული სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — საზოგადოებრივი ინტერესების სრულყოფის შესახებ. ვინაიდან ყველა მოსაზრების განხილვა ერთ სტატიაში შეუძლებელია. შევეცდებით მხოლოდ აზრთა ძირითად მიმართულებებს.

საზოგადოებრივი ინტერესების ახალ წინადადებათა შინაარსის გადმოცემასთან ერთად ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის სიძნელებები, რომლებიც ხელს უშლიან სამოქალაქო სამართლის ამ დარგის ფუნქციონირებას უფრო მაღალ დონეზე.

არის წინადადებები: პირადი საკუთრების და კოოპერაციულ სახლებში მცხოვრები ბინის დამკვირვებლები ჩაითვალოს ბინით დაკმაყოფილების საჭიროების მქონე პირებად. მიუხედავად დაკავებული ფართობისა და აიყვანოს ბინის მიღების აღრიცხვაზე. ამავე კატეგორიის პირებს მიეკუთვნონ. აგრეთვე კომუნალურ ბინებში (არა იზოლირებულში) მცხოვრები ომის ინვალიდები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ზოგიერთი სხვა მოქალაქე დაკავებული საცხოვრებელი ფართობის მიუხედავად. აღრიცხვაზე აყვანილი პირებიდან ბინები პირველ რიგში მიეცეთ ომის ინვალიდებს, სამამულო ომის მონაწილეებს, საბჭოთა კავშირის გმირებს, ზოგიერთი ორდენით დაჯილდოებულებს, სპეციალურ სიებში მოხსენიებულ მძიმე ფორმის ავადმყოფებს, ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 16 წლამდე სამი ან მეტი შვილი და ტყუპი ბავშვები, I და II ჯგუფის ინვალიდებს, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისათვის შრომისუნარდაკარგულ პირებსა და წარმოებაში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, ბინები პერსონალურად შეიძლება მიეცეთ, მუღმივი ან უფასო სარგებლობისათვის, დამსახურებულ მოღვაწეებს და სხვ.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ბინით დაკმაყოფილების ფართობი არ იყოს 10 კვადრატულ მეტრზე ნაკლები თითოეულ სულზე. ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული შვიდი თვის შემდეგ ორსულობა სპეციალურ სიაში ჩამოთვლილ ავადმყოფებს მიეცეთ დამატებითი ფართობი. სხვა პირებს დამატებითი ფართობი მიეცეთ ბინაში (სახლში) განთავსდებულ ფართობის ზარჯზე მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებიან ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფი იქვე მცხოვრები პირები.

* იბეჭდება განხილვის წესით.

ბინით სარგებლობის საკითხის ირგვლივ არსებობს შემდეგი წინადადებები: ზედმეტი ფართობის სარგებლობისათვის დამქირავებელმა ბინის ქირა გადაიხადოს სამმაგი ოდენობით, ხოლო, თუ ზედმეტი ფართობი აქვს, იზოლირებული ოთახის სახით, მაშინ ბინის ქირა ამ ფართობისათვის გადაიხადოს შეიღმაგად, თუ ბინის დამქირავებელმა არ დააკმაყოფილა დამქირავებლის მოთხოვნა სხვა ბინაში გადაყვანის შესახებ, დამქირავებელი ზედმეტი ფართობისათვის ბინის ქირას გადაიხადოს ერთმაგად, ხოლო ზედმეტი ფართობისათვის, რომელიც იზოლირებული ოთახის სახით აღმოჩნდება, — სამმაგად.

სახლის დავეგმარების ან გადაკეთებასთან დაკავშირებული კაპიტალური რემონტის დროს, ბინის დამქირავებელი დროებით გადაყვანილ უნდა იქნეს სხვა ბინაში. თუ რემონტის შედეგად ბინა უქმდება, მცირდება ან დიდდება ნორმებთან შედარებით, დამქირავებელს უნდა მიეცეს მისი მოთხოვნით სხვა კეთილმოწყობილი ბინა. კაპიტალური რემონტის პროექტი უნდა შეუთანხმდეს დამქირავებელს.

აღრიცხვის გარეშე ბინა მიეცეს დამქირავებელს, რომლის ბინა უნდა გადაკეთდეს არასაცხოვრებელი მიზნისათვის. ამასთან ბინის გამოყენება საწარმოო მიზნებით დაუშვებელია. ასეთი წინადადების მიღება გააუმჯობესებს ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ბინიდან გამოსახლებას სათანადო აღმასკომის გადაწყვეტილებით, გამოსახლების საფუძვლის მიუთითებლად.

სამაგიერო ბინა მიეცეთ სამსახურებრივი სადგომის დამქირავებელს, თუ მას ბინა მიღებული აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა ბინის მიმცემ ორგანიზაციასთან. არ დაიშვას სამსახურებრივი ბინიდან გამოსახლება: ომის ინვალიდებისა, ერთ წელზე მეტი დროით სამამულო ომში მონაწილეების, ან სამამულო ომში დაპრილების; პარტიზანების და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების; შრომის ვეტერანების; მოხუცებულობით პენსიონერების და პერსონალური პენსიონერების; ბავშვობიდან ინვალიდების; გარდაცვალებული მუშაკის ოჯახის წევრების, შრომის ინვალიდების.

ამ წინადადებათა სიახლე ის არის, რომ გაზრდილია წრე პირებისა, რომელთა გამოსახლება სამაგიერო ბინის მიუცემლად შეუძლებელია (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის მეორე ნაწილში დასახელებულ მოქალაქეებთან შედარებით). თავისთავად ცხადია, რომ ამის განხორციელება შეიძლება სასამართლო და არა ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული წინადადება ამავე დროს გულისხმობს, რომ არ დაიშვება საუწყებო ბინიდან გამოსახლება შრომითი ურთიერთობის მოსპობის შემთხვევაში, ე. ი. უარყოფილი უნდა იქნეს ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლით ვათვალისწინებული მკაცრი ღონისძიება ბინის ყოფილი დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების საკითხში, რაც ფაქტიურად, ოჯახის წევრების წრიულ პასუხისმგებლობლბობას გულისხმობს მათი ბრალის გარეშე. შრომის დისციპლინის დარღვევა, დანაშაულის ჩადენა ან მუშაკის მიერ თავის განცხადებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც ამჟამად იწვევს დამქირავებლის გასახლებას სამაგიერო ბინის მიუცემლად, შერჩენილი უნდა იყოს მხოლოდ საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მუშაკთა მიმართ.



სახლის ალებასთან დაკავშირებით მობინადრეთა გამოსახლებისას, წამოყენებულია წინადადება, სახლის მესაკუთრისათვის სახლის გადატანის შესახებ, თუ არის ამისი ტექნიკური შესაძლებლობა და თუ ამას თვით სახლის მესაკუთრე მოითხოვს. სახლის გადატანა გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე დასაშვებად არის მიჩნეული იმის მიუხედავად, ნებადართულია მოცემულ ადგილას ინდივიდუალური ბინათმშენებლობა თუ არა.

ამავე დროს სწორი შეხედულება არის გამოთქმული ოჯახის განმარტების საკითხში. ოჯახი გაგებულია უფრო ფართოდ, ვიდრე ეს განმარტებულია ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296 მუხლი). ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლეები, შობილები, ბავშვები, დამქირავებლის ოჯახის წევრების ბავშვები, დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირები. მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ აღიარონ ოჯახის წევრებად სხვა მოქალაქეებიც, თუ ისინი შესახლებული არიან ბინაში დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების თანხმობით და აქვთ საერთო მეურნეობა დამქირავებელთან ან მისი ოჯახის წევრებთან.

წამოყენებულია წინადადება დამატებითი ფართობის მოსარგებლედ პირადად წრის შეზღუდვის შესახებ. ამ წრეში თითქოს აღარ უნდა შედიოდნენ კბილის ექიმები და ექიმები საერთოდ, პასუხსაგებ თანამდებობაზე მომუშავე პირები, მასწავლებლები, ადვოკატები, საწარმოების ინჟინრები, სპეციალისტები და სხვა. ორდერის ბათილად აღიარება დასაშვებად იქნას მიჩნეული იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია ბინების მიცემის რიგი, იმ პრავალრიცხვანი კატეგორიის პირებისათვის, რომელთაც ბინები ეძლევათ პირველ რიგში. იმავე შედეგს უნდა იწვევდეს ბინაზე ორდერის გაცემის წესის დარღვევა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში წევრად შესვლისათვის საჭიროდ თვლიან სპეციალურ აღრიცხვის დაწესებას, რაც ბინის მიღების საერთო აღრიცხვის იდენტური არ არის. კოოპერატივში შესვლისათვის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს დადგენილ საცხოვრებელ ნორმაზე ნაკლები ფართობი, ან კეთილმოუწყობელი ბინა ან ბინა უნდა ესაჭიროებოდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან სხვა საპატოო მიზეზის გამო. სახლის პირად მესაკუთრეებსაც შეუძლიათ კოოპერატივის წევრობა სახლის გასხვისების პირობით. მესაკუთრის ოჯახის წევრებს კი შეუძლიათ კოოპერატივის წევრობა საერთო საფუძველზე. გამოთქმულია აზრი, რომ კოოპერატივის დამფუძნებელი მოქალაქე კოოპერატივის წევრი გახდეს აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილების მიღების დღიდან, სხვა პირები კი საერთო კრების დადგენილებით. კოოპერატივის წევრ მუშაობის ბინა მიეცეს პაისა და ოჯახის სულადობის შესაბამისად, ისეთი ვარაუდით, რომ თითო ოთახი მოდიოდეს ოჯახის წევრზე და ერთი დამატებითი ოთახი ჰქონდეს სარგებლობაში მთელ ოჯახს. ოთახების დამაგრება ოჯახის წევრებზე (გაყოფა) დასაშვებად ჩაითვალოს მხოლოდ განქორწინებულ მეუღლეთა და მუშაობის მემკვიდრეთა შორის. კოოპერატიულ ბინაზე ორდერის მიუცემლობა ან კოოპერატიულ ბინაში შესახლების ყოველგვარი დაბრკოლების შექმნა გასაჩივრ-

დეს სასარჩელო წესით. კოოპერატივის წევრს ბინა შეუნარჩუნდება მასში არცხოვრების ვადისა და მიზეზების მიუხედავად, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. ფიქრობენ, რომ მოქალაქეს აქვს უფლება ერთდროულად ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი და აგარაკი.

ამასთანავე მოითხოვენ რომ გაიზარდოს სასამართლოს კომპეტენცია გასაჩივრებელი ადმინისტრაციული აქტების განხილვის ნაწილში. სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს: ბინის მიღების აღრიცხვასთან დაკავშირებული არამართლზომიერი აქტები; ორდერის გაცემაზე უარის თქმა; კოოპერატივის წევრად მიღებაზე უარის თქმა აღმასკომის მიერ; პირადი მესაკუთრის სახლის აღებისა და თვითნებური ნაგებობის დანგრევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება; ასაღები სახლის და ნაგებობის შეფასება.

თი ასეთია მოკლედ კომპლექსი იმ წინადადებებისა, რომლებიც გამოთქმულია სხვადასხვა დროს ჩვენს პრესაში ან სპეციალურად მოწვეულ თათბირებზე.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა წინადადება არ არის ერთფასოვანი და სრულყოფილი, მაგრამ ერთი კი ნათელია, რომ ეს წინადადებები ცხოვრებისეულია და პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში გამოთქმული იდეების რეალიზაციის საქმისათვის.

მიუხედავად ამისა ზედმეტი არ იქნება გამოთქვათ ზოგიერთი შენიშვნა აღნიშნულ წინადადებათა შესახებ.

საერთოდ არ არის დაყენებული საკითხი იმაზე, თუ რა თანაფარდობაშია ბინაში ჩაწერა ბინაში ცხოვრების ფაქტთან. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთი განმარტებით, ბინაში ჩაუწერლობა არ უკარგავს ოჯახის წევრს ფართობზე უფლებას¹.

მაგრამ, განსხვავება „ჩაწერილ“ და „ჩაუწერავ“ ოჯახის წევრთა შორის იმდენად დამკვიდრებულია, რომ ერთიდაიგივე ვითარებაში ეს გარემოება სხვადასხვაგვარად ფასდება. ბინის გაცვლის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ბინაში ჩაწერილ პირს². ბინის მიღების აღრიცხვაზე აპყავთ ბინაში ჩაწერილი პირები³. ასაღებ სახლებში მცხოვრები დამქირავებლებიდან, ბინით დაკმაყოფილების სიაში შეჰყავთ მხოლოდ ბინაში ჩაწერილი პირები (კომუნალური ორგანოების პრაქტიკა), და ბოლოს, ბინაში სხვა პირის ჩასახლებისათვის საჭიროა ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297 მუხლი).

ამრიგად, ზემოთ მითითებულ შემთხვევებში ოჯახის წევრობის დასამტკიც-

¹ См. Бюллетень Верховного суда СССР, 1971 г., № 6, стр. 22; Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1971 г., № 11, стр. 2.

² იხ. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1975 წლის 2 ივლისს დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი.

³ იხ. დებულება თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების შესახებ, მუხ. 11, 24.

ცებლად ბინაში ცხოვრების ფაქტის უდავობის გარდა საჭიროა რაღაც წერილობითი დოკუმენტი.

წერილობითი საბუთის, ამ შემთხვევაში ჩაწერის საჭიროება იმდენად დიდმნიშვნელოვანი მომენტიცაა, რომ მისი თეორიული უარყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ბინაში გაწერა დაწესებულება კონტროლის და მოსახლეობის აღრიცხვის ინტერესებიდან გამომდინარე. ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას და საბინაო უფლებებს კი, ძალზე შორეული დამოკიდებულება აქვს საბინაო დავთარში გაწერასთან და მოქალაქეების აღრიცხვის საქმესთან.

ვერა და ვერ მოინახა სინქრონული საშუალება მათი სრულყოფილად შეთანწყობისათვის, რათა დაძლეულ იქნეს სამართლებრივი ფორმით შენიღბული თვითნებობის პრაქტიკა ამ სფეროში.

ფეიქრობთ, რომ მეტისმეტად შეზღუდულია ზოგიერთ წინადადებაში დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მქონე პირთა წრე. ამ წრეში არ არიან შეტანილი მთელი რიგი პროფესიის წარმომადგენლები: ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, კბილის ექიმები, ადვოკატები და სხვა, რომელნიც ღირსნი არიან ჰქონდეთ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი.

ქირავნობის ხელშეკრულების და ორდერის გაუქმების საკითხში გამოთქმულ წინადადებას ლიბერალური ხაზი აქვს აღებული. როგორც აღვნიშნეთ, ქირავნობის ხელშეკრულების და ორდერის გაუქმება დასაშვებად არის მიზნეული, თუ დარღვეულია ბინის მიცემის რიგი იმ მრავალრიცხოვან პრივილეგიურ უფლების მქონე პირებისათვის, რომელთაც ბინა პირველ რიგში ან დაჩქარებული წესით ეძლევათ და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ორდერის გაცემის წესი ან თუ ორდერის გაცემის დროს არ იქნა დაცული რომელიმე სამსახურებრივი ან ფორმალური პირობა.

გარდა იმისა, რომ ორდერი ზედმეტად არის ფეტიშირებული, სრულიად არ არის გათვალისწინებული ბინის ან ორდერის მიმღების კეთილსინდისიერება. თანამედროვე განვითარებული სამართლისათვის ამ მომენტის უგულვებელყოფა გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ამ წინადადების ავტორები არაფერს ამბობენ იმ სავალალო მდგომარეობაზე, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულებას წინ არ უსწრებს ორდერის გაცემა სათანადო აღმასკომის განჯრაბ ან უნებლიე ბრალით. სარჩელის ხანდაზმულობის გამოანგარიშება ორდერის გაცემის დღიდან უკიდურესი უსამართლობა იქნებოდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება ფაქტიურად არსებობს მხარეთა მიერ გამოხატული სხვა მონაცემების მიხედვით.

ჩვენს ლიტერატურაში სათანადოდ არ არის განმარტებული ასაღების სახლის ცნება, რასაც გარკვეული უარყოფითი შედეგი სდევს.

ასაღებ სახლად ითვლება გენერალური გეგმით გათვალისწინებული, რეკონსტრუქციის ზონაში მოხვედრილი სახლი (25 წელზე გაანგარიშებით), მაგრამ უფრო კონკრეტულად, ასაღებ სახლად ითვლება გენერალურ გეგმაზე დაფუძნებული მიკრორაიონის დეტალური დაგეგმარებით გათვალისწინებული მშენებლობა გაანგარიშებული 3-5 წლით, რასაც უნდა მოყვეს დეტალური

დაგეგმარებით გათვალისწინებული სახლის აღება და რაც ხდება სათანადო აღმასკომის წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით.

ეს წესი დაცული უნდა იქნეს ქალაქის განაშენიანებაში წესრიგის დაცვის მიზნით. დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული სახლის აღება მარტოოდენ გენერალური გეგმის საფუძველზე, თუ ეს არ არის გათვალისწინებული დეტალური დაგეგმარებით და წლიური გეგმებით, ვინაიდან ეს შეიძლება ნიღბავდეს მიწის ნაკვეთის ნებისმიერ გამოყოფას⁴. თავისთავად ცხადია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში აღმასკომს უნდა მიეცეს უფლება აიღოს ესა თუ ის სახლი დეტალური დაგეგმარების და წლიური გეგმების გარეშე (ეს სათანადოდ უნდა იქნეს გამოქვეყნებული, როგორც ამას ითვალისწინებდა წინათ მოქმედი რსფსრ-ის მიწის კოდექსი), მაგრამ ამ შემთხვევაში ასაღებ სახლში მცხოვრები მობინადრის ინტერესები სამაგიერო ბინის მიცემის საკითხში უნდა მოწესრიგდეს მხარეთა შეთანხმებით, როგორც ამას ითვალისწინებდა რსფსრ-ის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 1 აგვისტოს დადგენილება, შემდეგი ცვლილებებით, განსაზღვრავდა ორგანიზაციებისათვის მშენებლობის საწარმოებლად უდავოდ მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ (მე-11 მუხლის შენიშვნა)⁵. ეს დადგენილება შეთვისებული იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიერ.

ჩვენი აზრით, მიუღებელია წინადადება, იმის შესახებ, რომ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლის საკუთრებასთან ერთად შეუძლია ასეთივე უფლება ჰქონდეს მარტოოდენ აგარაკზე, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლთან შედარებით ეს წინადადება ზღუდავს საბჭოთა მოქალაქის უფლებებს.

საკურორტო ადგილები და ზონები განსაკუთრებული ადგილებია, რომლებიც ჩამოთვლილია საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების სპეციალურ ნუსხაში. ამ ადგილებში დაუშვებელია ინდივიდუალური მშენებლობა. ხალხი კი დასასვენებელ და სამკურნალო ადგილებად თვლის სოფელსაც. თუნდაც ისინი საკურორტო ადგილებს არ განეკუთვნოდნენ. ამ ადგილებში სახლის მშენებლობა ან რეკონსტრუქცია საერთო წესით ხდება. შეზღუდულია მხოლოდ მიწის ნაკვეთის ოდენობა სოფლად არა მცხოვრები პირებისათვის, ამ უკანასკნელთ სარგებლობაში უნდა დარჩეს არა ნაკლებ იმ მინიმუმისა, რომელიც დადგენილია ქალაქებში სახლის მესაკუთრებისათვის ე. ი. არა ნაკლებ 300 კვ. მეტრისა.

აღნიშნულ წინადადებათა სათანადო დონეზე დამუშავებამდე საჭიროა გადაწყდეს რამდენიმე სპეციფიკური პრობლემა, რათა მომზადდეს პირობები საბინაო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

⁴ მაგალითად, შრომის ქუჩა № 16 მდებარე სახლი, თბილისის აღმასკომის 1966 წლის 22 ივნისის № 331 გადაწყვეტილებით საბროქტო ინსტიტუტს — «Груззяжелектропром-проект» გამოეყო იმ პირობით, რომ მობინადრეებს დამაკუთრებლის ვარდა ინსტიტუტი გადასცემდა აღმასკომს ახლადშენებული ბინების 20 პროცენტს.

⁵ См. «Жилищные законы», М., 1957 г., стр. 89.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის და პლენუმის დადგენილებათა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის და პლენუმის დადგენილებათა თანაფარდობა.

როცა ვლადიკავკასიაში ამ პრობლემის სირთულეზე, მხედველობაში ვეყვანებოდა დაკვირვებული და პასუხისმგებლობით გამსჭვალული მუშაკები, თორემ მოუზადებელი და უპასუხისმგებლო მუშაკთათვის ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს, რადგან ეს უკანასკნელნი ტენდენციურად შერჩეული ფაქტების კორინტელით ან უხვად გამოყენებული დემაგოგიური მოტივებით აღწევენ ყოველი სამართლებრივი მოვლენის იმდენად „განიდივიდუალებას“, რომ შეუძლებელი ხდება სამართლის მასშტაბის გამოყენება და მოვლენის სამართლის შეფასება.

ვფიქრობთ, არავის ეჭვი არ ეპარება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის დადგენილებათა ნორმატულობასა და სავალდებულობაში. ამ საკითხში რაიმე სკეპტიციზმი საფუძველს მოკლებულია, რადგან ამ დადგენილებებს აქვს ყველა ის თვისება, რომლებიც იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით მოეთხოვება იურიდიულ ნორმას. ამის გამოა, რომ ეს დადგენილება სავალდებულოა სასამართლო და სხვა ორგანოებისათვის. მისი საშუალებით ხდება მასობრივი სამართლებრივი მოვლენების მოწესრიგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან კანონმდებლობის ფარგლებში კანონის აზრის გამონახვის საშუალებით. სწორედ ეს უზრუნველყოფს პლენუმის დადგენილებათა საბაზო ადგილს საბჭოთა ნორმაშემოქმედების სისტემაში.

თუ ამ დადგენილებებში შეიმჩნევა ხარვეზი ან ნაკლი, ის სისტემატურად სწორდება. ისინი მიზნად ისახევენ განმაზოგადოებელი ხაზის გამონახვას და დადგენას ისე, რომ უხეშ ნიველირებას არ მიმართავენ. იურიდიული ნორმები, როგორც არის სათანადო კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილებები, ინსტრუქციები, ბრძანებები, დებულებები, გადაწყვეტილებები, მითითებები, სავგემო ხასიათის დავალებები და ციფრები, ამავე დროს ადმინისტრაციულ აქტებს წარმოადგენენ მათი რანგების დადგენის გარეშე.

აღნიშნული აქტებიდან განსხვავებით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებები, სადაც კი ეს შესაძლებელია, განსაზღვრავენ სამოქალაქო სამართლის (კერძო სამართლის) მოწესრიგების დამოუკიდებლობას ან ადმინისტრაციული აქტის შეფარდებას მოქალაქისადმი ისე, რომ აქტით დასახული მიზნის შესრულებაში მოქალაქის მონაწილეობა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით.

თავისთავად ცხადია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგადი დადგენილებების სავალდებულობა ნიშნავს იმას, რომ სასამართლოებმა შეასრულონ ამავე სასამართლოს მითითებები კონკრეტულ საქმეებზე.

მაგრამ, როგორც ვიცით, საქმეების 90 პროცენტი არ საჩივრდება სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში. მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეები გადაისინჯება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ და თუ მიუხედავად ამისა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მითითებები როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ საქმეებზე მაინც სრულდება, ეს უნდა მიეწეროს ამ ორგანოს დადგენილებების შინა-

გან დამაჯერებლობას და დასაბუთებას, ვიდრე სანქციის გამოყენების შიშს შესრულებლობისათვის.

მაგრამ რესპუბლიკაში მინც ბევრია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მითითებათა უგულვებელყოფის ფაქტები. საქმეს ვერ ასწორებს სამოქალაქო განხილვაში პროკურატურის ორგანოების მონაწილეობა და მათი საშუალებით ყველა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესაძლებლობა.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ღონესთან დაახლოებისათვის საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციის გაზრდა იმ ზომამდე, რომ ეს უკანასკნელი განიხილავდეს სასამართლო ორგანოების მიერ საკავშირო კანონმდებლობის დარღვევის ყოველ შემთხვევას მოქალაქეთა საჩივრით. ამისათვის საჭიროა გაიზარდოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა შემადგენლობა და შესაბამისი აპარატი.

სამოქალაქო საქმეებზე პროკურორის მონაწილეობა, ზოგიერთი გამონაკლისით, უნდა შეიზღუდოს.

საზედამხედველო წესით საქმის გარჩევა უნდა ხდებოდეს უფრო გამართლებული წესით, მაგრამ მხარეთა და წარმომადგენელთა დასწრებით და საჯაროდ, და არა ისე, როგორც ამჟამად ხორციელდება და რაც არაორგანულია მართლმსაჯულებისათვის. გადაჭრით უნდა უარყოფილ იქნეს ამჟამად გაბატონებული წესი გადაწყვეტილებების სტაბილობის დადგენისა. სამოქალაქო საქმეთა გაუქმების პროცენტის გამოანგარიშების გზით. სამოქალაქო საქმეებისათვის საზედამხედველო პოლიტიკა მხოლოდ სამართლებრივ წონასწორობას აღადგენს და ამ საქმეთა მიმართ არითმეტიკის გამოყენება, საზედამხედველო ინსტანციის შეზღუდვის მიზნით, სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

ზოგიერთი რესპუბლიკური ნორმატიული აქტის უგულვებელყოფა და ზოგჯერ ამ აქტებით გათვალისწინებულ ურთიერთობათა მოწესრიგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მითითებათა შესაბამისად არანაკლებ მანერე შედეგს იწვევს, ვიდრე თვითნებობა. აი. სად არის მართლაც საჭირო სტატისტიკის საშუალებათა გამოყენება იმის გასარკვევად თუ რამდენი ერთგვაროვანი ურთიერთობები გადაწყდა ორი სხვადასხვა სამართლის საშუალებით.

მოგეყვანთ რამდენიმე მაგალითს: რსფსრ-ის საქორწინო და საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, თუ არის ამ მუხლში ჩამოთვლილი პირობები დაინტერესებული პირის თხოვნით, დასაშვებია შეიღებინათვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა მტკიცე თანხით. დაინტერესებულ პირად იგულისხმება როგორც ალიმენტის ვადამხდელი, ისე ვადამხდევინებელი. სწორია თუ არა ეს ნორმა, ამ შემთხვევებში მნიშვნელობა არა აქვს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1976 წლის 23 დეკემბერს, რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს მაგალითის მიხედვით განმარტა, რომ დაინტერესებულ პირად ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ალიმენტის ვადამხდევინებელი, რაც არსებითად ცვლის ძირითადი ნორმის აზრს.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი სხვადასხვაგვარი იურიდიული მასშტაბის ალტერნატივულად გამოყენების შესაძლებლობა, რომელთაგან არც ერთი არ არის თავისთავად მცდარი, ვზას უკავაფს არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველაზე მკაცრი ღონისძიება განხორციელდა თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით, ამ თარიღის შემდეგ აშენებული სახლის თვითნებური მშენებელი შეიძლება გამოასახლდეს ბინიდან, სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვით, სამაგიერო ბინის მიუცემლად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის № 521 დადგენილების მიხედვით კი, თვითნებურ ამშენებლებს სახლის აგების დროის მიუხედავად, შეუძლიათ იცხოვრონ სახლებში, „სანამ საჭირო არ გახდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის იმ მიწის ჩამორთმევა, რომლებზეც სახლები დგას“.

ამ ალტერნატივითაც უხვად სარგებლობენ პრაქტიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმი ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე მიუთითა, რომ საქართველოს სსრ-ში 1956 წლამდე თვითნებურად აგებული კაპიტალური სახლები, რომლებიც საერთო განაშენიანებას არ არღვევენ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილებით არ შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურ ნაგებობად⁶.

მიუხედავად ამისა, ვერა და ვერ დადგინდა ერთიანი შეხედულება ამ დრომდე აგებული სახლების მიმართ საქართველოს სსრ სასამართლო და კომუნალური ორგანოების პრაქტიკაში. აღნიშნული კატეგორიის საქმეები სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლომდე ვერ აღწევენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, 1956 წლიდან თავის დადგენილებებში იმ აზრს ატარებდა, რომ საბინაო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დამქირავებლის გადასვლა ახალ ბინაში არ იწვევს სრულწლოვანი ოჯახის წევრის გადაყვანას ამ უკანასკნელის წინასწარი თანხმობის გარეშე. წლების განმავლობაში ასეთი მითითება სრულდებოდა ალტერნატიულად. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ თავისი მითითება 1975 წლის 27 ივნისის ზოგადი ნორმის სახით სავალდებულო გახადა სასამართლოებისათვის. თუმცა ამის შედეგად არ შემწყდარა რეციდივი ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტისა⁷.

სტატისტიკური მონაცემები რომ დგებოდეს რესპუბლიკური და საკავშირო დადგენილებათა გამოყენების თაობაზე, თვალსაჩინო წარმოდგენა გვექნება ამ მოვლენების სოციალური შედეგის შესახებ.


მეტად ხშირია შემთხვევები, როდესაც კოოპერაციული ბინის მშენებლობა დაწყებულია ოჯახის წევრის არასრულწლოვანებას და მშენებლობა დამთავრებულია ოჯახის წევრის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მშენებლობის ხანგრძლივობის სახელმწიფო ნორმების დარღვევის გამო.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაშიც აუცილებელია უკვე სრულწლოვანებას მიღწეული პირის თანხმობა ახალ ბინაში გადასვლაზე. მაგრამ ჩვეულებრივ, ასეთი, თითქოსდა ელემენტარული მოთხოვნა, არ სრულდება.

არის გადმოცემა ზღვის დემრთის ძალაში, რომ დაერწმუნებინათ, ერთ რომაელს აჩვენეს ზღვის დელვიდან გადარჩენილი გემები, მაგრამ რომაელი არ აღფრთოვანებულა გადარჩენილი გემების ცქერით და მოუკითხავს დაღუპული გემები. ჰკუთთა და ზომიერი სკეპსით დაჯილდოებული რომაელის მსგავსად, უნ-

⁶ См. Бюллетень Верховного Суда СССР, 1975 г., № 4, стр. 17.

⁷ См. «Социалистическая законность», 1977 г., № 9, стр. 89.



და აღგვაფრთოვანებდეს არა ის სწორი და გონებაბამხვილი გადაწყვეტილებები, რომლებიც ბიულეტენებში ქვეყნდება, არამედ უნდა მოვიკითხოთ საჯაროდ გაურჩეველი და სახალხოდ გამოუქვეყნებელი პასუხები მოქალაქეების საჩივრებზე, რომლებიც ეჭვს იწვევს ჭეშმარიტების შემცველ ნაწილში.

1958 წელს საქართველოს სსრ-ში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, დამუშავდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის დებულება ამის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში ჩამორჩებოდა ამავე დროს თბილისის სახლების უმრავლესობა არაერთი ვადით იყო ამორტიზირებული, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ასეთ კოლექტივებს მინიჭებოდა იურიდიული პირის უფლება, განსხვავებით სხვა რესპუბლიკებისაგან, სადაც ისინი მარტივ ამხანაგობებად ითვლებიან. ასეთი იურიდიული ფორმის მიცემა კოლექტივებისათვის საუკეთესო საშუალებად იქნა მიჩნეული ბინათმშენებლობაში მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სახსრებითა და შრომით. მოქალაქეთა გაერთიანების იგივე ნიშანი სათანადო ორგანოებს საშუალებას აძლევდა მეტი კონტროლი და ზედამხედველობა გაეწიათ კოლექტივებისადმი.

კომუნალური და სასამართლო ორგანოების მიზეზით კოლექტივების უმრავლესობამ ფაქტურად ნიშნების შენაცვლების შედეგად ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახელწოდება მიიღეს, ან მარტივ ამხანაგობებად გადაიქცნენ. საზოგადოებრივი საწყისებისა და მოქალაქეთა ინიციატივის შეხამების ორგანიზაციული ფორმის იდეამ სრული კრახი განიცადა.

ჩვენს რესპუბლიკაში, კოოპერატივებისათვის გამოყოფილი და ქალაქის ცენტრში დასახლებული მიწის ნაკვეთზე მდებარე დასანგრევი სახლების მესაკუთრეთა სამაგიერო ბინებით უზრუნველყოფაზე თვით კოოპერატივებს უნდა ეზრუნათ.

სხვა რესპუბლიკებში ეს მოვალეობა დაკისრებული ჰქონდათ აღმასკომებს. ასეთმა წესმა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კოოპერატივების წევრების მიერ დამატებითი ხარჯების გაწვევის ნებაყოფლობითმა მოვალეობამ, დახმარება გაუწია და გაუადვილა აღმასკომებს კოოპერაციული ბინათმშენებლობის პროგრამის შესრულება. ამაში თითქოს არაფერი იყო კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც ყველაფერი ეს კეთდებოდა ნებაყოფლობით და შეთანხმებით, მაგრამ იმ კოოპერატივების მაგალითებმა, რომლებიც სახლებს აშენებენ დაუსახლებელ მიწის ნაკვეთებზე და დამატებითი ხარჯების გარეშე, აგრეთვე სხვა რესპუბლიკების კოოპერაციული ბინათმშენებლობის მაგალითმა, სადაც აღმასკომებს გააჩნდათ სარეზერვო ფონდი, გამოიწვია რეაქცია დამატებითი ხარჯების წინააღმდეგ. კომუნალურმა ორგანოებმა საერთოდ გააუქმეს ეგრეთ: წოდებული სავარანტიო ხელშეკრულებებით ასაღებ სახლებში მცხოვრებ მობინადრეთა ბინით დაკმაყოფილება კოოპერატივის წევრების დამატებით ხარჯზე და დაიწყეს უკვე გაცემული ხელშეკრულებების გადასინჯვა.


ახალ ბინებში მცხოვრებ, ასაღებ სახლებიდან შესახლებულ პირებს, იმ დროს მოქმედი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების საწინააღმდეგოდ, მოსთხოვეს მიღებული ზედმეტი ფართობის ღირებულება, ან წარუდგინეს სარჩელი ბინიდან გამოსახლებაზე. დამატებითი ხარჯების გადამხდელი კოოპერატივის წევრებმა შეაჩერეს კოოპერატივებისადმი დავალიანების გადახდა იმ იმედით, რომ შეუძლიარდებოდათ ხარჯების გაღება, თუ ასაღებ

სახლებში მცხოვრებ მობინადრეებს გადახდებოდათ უკანა დროით გაანგარიშებული „დავალიანება“.

ამასთანავე, კოოპერატივის წევრების სიების პერმანენტულმა გადასინჯვამ და წინააღმდეგობებით აღსავსე სასამართლო გადაწყვეტილებებმა, კოოპერატივების წევრებს შეურყია რწმენა თავის მდგომარეობაში. ამ გარემოებებმა გამოიწვია კოოპერატივის წევრების დიდი დავალიანება სამშენებლო ბანკის წინაშე. კოოპერატივების საერთო დავალიანების თითქმის 90 პროცენტი მოდის ჩვენი რესპუბლიკის კოოპერატივის წევრებზე.

დაუფიქრებელმა ადმინისტრაციულმა ენთუზიზმა და ნორმატიული მასალის შერჩევით გამოყენებამ მავნე ნაყოფი გამოიღო, რაც ორი, რესპუბლიკური და საკავშირო ნორმატიული მასალის ერთდროულად გამოყენების ბრალია.

ახალი საბინაო კანონმდებლობის განხილვა ხელს შეუწყობს საკანონმდებლო მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.



307-308
1957

ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის

ა. შარაშელიძე

სისხლის სამართლის საბჭოურ ლიტერატურაში ერთ ხანს სადავოდ იყო მიჩნეული, შესაძლებელია თუ არა ბრალის დახარისხება¹. დღეს, როდესაც ბრალის შეფასებითი ელემენტი — საზოგადოებრივად საშიში ქმედობისა და შედეგისადმი დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულების გასააცივობა — აღიარებულია საბჭოთა კრიმინალისტთა უმრავლესობის მიერ, ბრალის დახარისხების იდეა აღარ ხვდება რამდენადმე სერიოზულ წინააღმდეგობებს, რადგან გასააცივობა უთუოდ შეიძლება მეტ-ნაკლები ხარისხისა იყოს. ბრალის ხარისხის საკითხს ამჟამად ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა².

გავრცელებული შეხედულების თანახმად, ბრალის ხარისხი წარმოადგენს ბრალის რაოდენობრივ მახასიათებელს, რომლის დადგენა აუცილებელია სისხლის სამართლის ყველა საქმეზე. ბრალის ხარისხის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. მაგალითად, პ. დაგელისა და რ. მიხევეის აზრით, ბრალის ხარისხი ისეთი გარემოებაა, რომელიც უშუალოდ განეკუთვნება მტკიცების საგანს და აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც ინდივიდუალიზაციის პრინციპის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება³. ეს დებულება მთლიანად შეესაბამება ვ. ი. ლენინის მითითებას, რომ დამნაშავენი უნდა დაისაჯონ ბრალის ხარისხის მიხედვით⁴ და უფრო მნიშვნელოვანი ბრალის შემთხვევაში სასჯელი უნდა გაიზარდოს⁵.

ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი წინამძღვარი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ის არის, რომ ქცევის საერთო განსაზღვრულობის ფარგლებში ინდივიდს ჰქონდეს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, მაშინ პასუხისმგებლობის მასშტაბიც ის იქნება, თუ რამდენად მკაცრად იყო დანაშაულებრივი ქცევა განსაზღვრული აუცილებლობით და რა ზომით რჩებოდა ინდივიდს თავისუფალი არე სხვაგვარი ქცევისათვის. ამ უკანასკნელ ხანს ლიტერატურაში აღარ სჯერდებათ აღნიშნული პრობლემატიკის განხილვას მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით და ცდილობენ პრაქტიკულ ასპექტებსაც მიაქციონ ყურადღება.

¹ იხ. **С. Утецкий**, Вина в советском уголовном праве. М., 1950, стр. 73—74.

² იხ. **Т. В. Церетели**, Причинная связь в уголовном праве. М., 1963, стр. 307—309; **В. Г. Макашвили**, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 187; **Ш. С. Раишквская**, К вопросу о степенях вины, «Советское государство и право», 1955, № 6, стр. 60; **А. А. Пионтковский**, Учение о преступлении, М., 1961, стр. 400; **П. С. Дагель**, **Д. П. Котов**, Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 70; **П. С. Дагель**, **Р. И. Михеев**, Теоретические основы установления вины, Владивосток, 1975, стр. 86; **Ю. А. Демидов**, Социальная ценность и оценка в уголовном праве, М., 1975, стр. 121; Советское уголовное право. Общая часть, М., 1977, стр. 190.

³ იხ. **П. С. Дагель**, **Р. И. Михеев**, Теоретические основы установления вины, Владивосток, 1975, стр. 86—92.

⁴ **См. В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 35, стр. 157.

⁵ **См. В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 45, стр. 157.

მაგალითად, ვ. ნომოკონოვის აზრით, ნებისყოფის მეტ-ნაკლები თავისუფლების მიხედვით პირობითად შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი შემთხვევა: I. პიროვნული საწყისი სჭარბობს სიტუაციურს; II. სიტუაციური საწყისი თრგუნავს პიროვნულს; III. პიროვნული და სიტუაციური საწყისები წონასწორობის მდგომარეობაშია⁶.

ასეთ მიდგომას მნიშვნელობა აქვს ბრალის ხარისხის კრიტერიუმების დასადგენად. რაკი ბრალი სოციალური სინამდვილის ფაქტებისადმი გარკვეული ფსიქიკური დამოკიდებულებაა, რომელსაც გარე სინამდვილის მოვლენები განსაზღვრავს, მაშასადამე, ბრალის ხარისხიც, ქცევის ეთიკური შეფასების თვალსაზრისით, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი იყო ინდივიდის ფსიქიკური აქტივობისა და მისი შინაარსის განსაზღვრულობის ხარისხი. მაშასადამე, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორია და რამდენია ის გარემოება, რომელიც მიმართულებას აძლევს, შინაარსით ავსებს და წარმართავს ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეს. აქედან ძნელი არ არის დავადგინოთ პირდაპირი კორელაცია ნებისყოფის თავისუფლების ხარისხსა და ბრალის ხარისხს შორის. რაც უფრო მეტია გარემოებანი, რომლებიც ბოჭვენ ადამიანის ნებას, რაც უფრო ძლიერია მათი გავლენა და ნაკლებია კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებია ბრალის ხარისხი, და პირიქით. ამიტომ პასუხისმგებლობის ხარისხიც შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ნებისყოფის თავისუფლების ხარისხსა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხს შორის კავშირი გაშუალებულია ბრალის ხარისხით. საბოლოო დეტერმინაცია კი ხდება დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ობიექტური წარმომობისაა. ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ ასეთ ვითარებაში ბრალის ხარისხის გამოყენება პასუხისმგებლობის კრიტერიუმად და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საფუძვლად არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, უფრო ზუსტად, სისხლის სამართლის კანონის რომელ დადგენილებას უნდა დაეყრდნოს სასამართლო, რათა დაამძიმოს ან შეამსუბუქოს პასუხისმგებლობა ბრალის ხარისხის მიხედვით? ამ კითხვაზე ლიტერატურაში ძნელია მოიძებნოს რამდენადმე დამაკმაყოფილებელი პასუხი, რაც, მნიშვნელოვანწილად, კანონმდებლობის არასრულყოფილებით უნდა აიხსნას. წინამდებარე სტატია ამ არასრულყოფილების გამოამჟღავნებისა და დაძლევის ერთგვარი ცდაა. ეს საჭიროა იმდენად, რამდენადაც ამ მიმართულებით ჩვენში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი გაუბედავი ნაბიჯებია გადადგმული.

„მოქმედი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა „ბრალის ხარისხის“ ცნება — წერენ პ. დაგელი და რ. მიხევეი. მაგრამ მისი დადგენის მოთხოვნა პირდაპირ გამომდინარეობს საფუძვლების მე-3 და 32-ე მუხლების შინაარსიდან (რსფსრ სსკ-ის მე-3 და 37-ე მუხლები)“⁷.

⁶ ახ. В. А. Номоконов, Проблема свободы воли в советском уголовном праве. Автореферат кандидатской диссертации, Свердловск, 1974, стр. 10—11.

⁷ П. С. Дагель, Р. И. Михеев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 86.

ბრალის ხარისხის გათვალისწინება რომ სრულ შესაბამისობაშია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო იდეასთან, რომ იგი განუყრელ კავშირშია პასუხისმგებლობის ფილოსოფიურ წინამძღვრებთან და ეთიკურ საფუძვლებთან, ეს უკვე ზემოთ იყო აღნიშნული. მაგრამ კონკრეტული ნორმის გამოძებნა მოქმედ კანონმდებლობაში, რათა კანონისმიერ საფუძველზე ხდებოდეს ბრალის ხარისხის მიხედვით სასჯელის ინდივიდუალიზაცია, არც თუ იოლი საქმეა.

არის თუ არა კავშირში, მაგალითად, ბრალის ხარისხის გათვალისწინების მოთხოვნა „საფუძვლების“ მე-3 მუხლთან? ამ მუხლში ნათქვამია: „...პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. როგორც ჩანს, ზემოთ ხსენებულ ავტორთა ლოგიკა ასეთია: რაკი მე-3 მუხლში პასუხისმგებლობის საფუძვლებია განსაზღვრული, ხოლო ბრალი დამოუკიდებელ საფუძვლად არის გამოცხადებული, მაშასადამე ბრალის არსებობა-არარსებობა განსაზღვრავს პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობას, ხოლო ბრალის ხარისხი კი ზეგავლენას იქონიებს პასუხისმგებლობის ხარისხზე. ასეთი დასკვნის გაკეთება, ცხადია, შეიძლება, მაგრამ იგი ლოგიკურად წარმოშობს კითხვას: რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 32-ე მუხლში, სადაც სასჯელის დანიშვნის საერთო საწყისებია ჩამოთვლილი, ბრალის ხარისხი მოხსენიებული არ არის? სხვათა შორის, საზოგადოებრივი საშიშროების კატეგორიის მიმართ კანონმდებელი ნათლად და არაორაზროვნად გამოხატავს თავის პოზიციას. მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება პასუხისმგებლობის საფუძველია, ხოლო 32-ში კი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი შესაბამისად მოხსენიებულია როგორც პასუხისმგებლობის ზომა. რატომ არ ხდება იგივე ბრალისა და მისი ხარისხის მიმართ? კანონმდებლობის არათანამიმდევრულობა, ჩემი აზრით, აქ სრულიად აშკარაა.

ახლა შევეცადოთ გავამართლოთ ან ავხსნათ აღნიშნული საკანონმდებლო პოზიცია. ვივარაუდოთ, რომ, თუმცა კანონმდებელმა გაითვალისწინა ბრალის ხარისხი 32-ე მუხლში, ცალკე კი არ გამოჰყო იგი, არამედ ამ მუხლში ჩამოთვლილ სხვა გარემოებებში იგულისხმა იმავეთვე. თუ ასეთ ვარაუდს გავყვებით, მაშინ ბრალის ხარისხი ნაგულისხმევად უნდა მივიჩნიოთ 32-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი დამოუკიდებელი კრიტერიუმის ფარგლებში. ესენია: 1. დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და ხასიათი; 2. დამნაშავის პიროვნება; 3. საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

1. მართალია, საზოგადოებრივი საშიშროება გულისხმობს ქცევის შეფასებას მისი სოციალური თვისებების მიხედვით, მაგრამ იგი დასჯადობის ისეთი საფუძველია, რომელიც არ მოიცავს კონკრეტული ინდივიდის პიროვნებისა და ქცევის ეთიკურ შეფასებას. ქცევა შესაძლოა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს, მაგრამ მაინც არ შეერაცხოს ბრალად მის ჩამდგნ ინდივიდს. ეს დებულება დასტურდება „საფუძვლების“ მე-3, მე-11 და

58-ე მუხლებით, სადაც პირდაპირ არის აღიარებული, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შესაძლოა ბრალის გარეშეც განხორციელდეს⁹.

2. დამნაშავეს პიროვნების ცნებაც ვერ შეითავსებს ბრალის ხარისხს. საქმე ის არის, რომ ბრალი დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტური მხარის გამომხატველი კატეგორიაა. და თუმცა იგი დამნაშავეს პიროვნებისაგან წარმოდგება, მაინც შეფარდებითი თავისთავადობით ხასიათდება. პიროვნების დამახასიათებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები მხოლოდ ნაწილობრივ „გადადის“ („გადაიზრდება“) ქცევის სუბიექტურ მხარეში და შესაძლოა გაუუცხოვდეს კიდევ თავის პირველწყაროს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ საერთოდ წინდახედული კაცი მაინც გაუფრთხილებლად მოიქცეს ან პირიქით. ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს უმნიშვნელო ბრალი მიუძღოდეს ახალი დანაშაულის ჩადენაში. ასეთი ვითარება იქმნება, მაგალითად, არცთუ უჩვეულო შემთხვევებში, როდესაც განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით სჩადის დანაშაულს, რაც დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით იყო გამოწვეული. საგულისხმოა, რომ თვით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას, კანონის მოთხოვნით, სასამართლომ ცალ-ცალკე უნდა მიიღოს მხედველობაში დამნაშავეს პიროვნება და ჩადენილი დანაშაულის მოტივები (მუხ. 44, ნაწ. 4). მოტივი ხომ ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

3. სულ სხვაა საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას. აქ ძირითადად იგულისხმება კანონით გათვალისწინებული გარემოებანი, რომელთაგან დამამძიმებელთა ნუსხა ამომწურავია, შემამსუბუქებელთა კი მხოლოდ სანიმუშო. ყველა ამ გარემოებაზე ვერ ითქმის, მაგრამ ცხადია, მათ შორის არის ისეთები, რომლებიც ნამდვილად ახდენენ ზეგავლენას ბრალის ხარისხზე და ამ გზით განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის ზომას (მაგ. დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძობით; დანაშაულის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით ან დაზარალებულის აბუჩად ადგებით (საქართველოს სსრ სსკ-ის 39-ე მუხლი). დანაშაულის ჩადენა მუქარის, ან ძალადობის გავლენით, მატერიალური თუ სხვა დამოკიდებულების გამო; დანაშაულის ჩადენა პირველად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო; დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით (საქართველოს სსრ სსკ-ის 38-ე მუხლი). იქნებ ეს გარემოებანი აქვთ მხედველობაში პ. დაგელს და რ. მიხევეს, როდესაც ირწმუნებთან, ბრალის ხარისხის გათვალისწინების მოთხოვნა საფუძვლების 32-ე მუხლიდან გამომდინარეობს? შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ მაშინ გაუგებარა რჩება სხვა რამ. დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა ნუსხაში ყველანაირი ვარიანტებია. იქ ვხე-

⁹ დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. **Т. Церетели**, К вопросу о понятии вины, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 1, გვ. 134. თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, I, თბილისი, 1969, გვ. 52-56; თ. გაჭყალიძე, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე „საბჭოთა სამართალი“, 1970, № 1, გვ. 13.

დებით გარემოებებს, რომლებიც ახასიათებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, დამნაშავეს პიროვნებას და ბრალის ხარისხს. გამოდის, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებას სასჯელის ინდივიდუალიზაციისას „სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების“ მუხლიც მოითხოვს და დამამძიმებელ-შემამსუბუქებელი გარემოებებისაც, ბრალის ხარისხის გათვალისწინების მოთხოვნა კი კანონმდებელმა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა მუხლს მიანლო მხოლოდ, ისიც არაპირდაპირ. ბრალის ხარისხის კრიტერიუმის ასეთი „დისკრიმინაცია“ აკნინებს მის მნიშვნელობას, კიდევ ერთხელ ამყდავენებს კანონმდებლობის არათანამიმდევრულობას და ეწინააღმდეგება კანონის სისტემურობის პრინციპს.

კანონის თავშეკავებულ პოზიციას უპირისპირდება სასამართლო პრაქტიკის უაღრესად აქტიური პოზიცია ბრალის ხარისხის საკითხში. როგორც სსრ კავშირის⁹, ისე საქართველოს სსრ¹⁰ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებში ვხვდებით ბრალის ხარისხის გათვალისწინების დაუინებულ მოთხოვნას. მაგრამ იმის გამო, რომ კანონის ტექსტში არსად არ არის ნათლად გამოხატული მისი ნამდვილი აზრი, სისხლის სამართლის კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას ბრალის ხარისხის კრიტერიუმი არც კი მოიხსენიება.

პრაქტიკის მასალების მიხედვით, ასეთი ვითარება მაშინაც კი ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოება სუბიექტური წარმოშობისაა. მაგალითად, მოტივები, მიზნები, ემოციები, ქვენა გრძნობები ქმედობის სუბიექტური მხარის ელემენტებია და ამიტომ უახლოესი გზით ახდენენ ზეგავლენას ბრალის ხარისხზე. საქართველოს სსრ სსკ-ის 39-ე მუხლის პ. 4 დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით. როგორც ვხედავთ, ეს პუნქტი „ანგარებით“ არ ამოიწურება. მისი ძალით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ქვენა გრძნობას. ერთ-ერთი მათგანი ხულიგნური ქვენა გრძნობაა. სწორედ იგი ჰქონდა მხედველობაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ვინმე შ. ჩიხლაძის საქმეზე.

შ. ჩიხლაძემ ჯერ ხელი გაართყა, და საპასუხო ხელის გართყმის შემდეგ, დანით სასიკვდილოდ დაჭრა თ. ჯაბაშვილი.

სასჯელის დანიშვნის დროს „სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო, რომ „შ. ჩიხლაძემ ... ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოუხპო სიცოცხლე ახალგაზრდა კაცს“¹¹.

საკმაო საბაზის გარეშე ადამიანის მოკვლა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად აღიარებულია როგორც მკვლელობა ხულიგნური ქვენა გრძნობით. იგი ბრალის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია და სწორედ ამიტომ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც არსებითად სწორად დანიშნა მკაცრი სასჯელი, გვერდი აუარა ბრალის ხარისხზე ლაპა-

⁹ См. «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973», М., 1974, стр. 513—514.

¹⁰ იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1975, № 3, გვ. 14.

¹¹ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიის 1974 წლის 27 დეკემბრის განაჩენი შ. ჩიხლაძის საქმეზე (№ 258).



რაკს, თუმცა დანიშნული სასჯელის ამ მხრივ დასაბუთება უთუოდ უფრო დამაჯერებელს გახდოდა განაჩენს. რა მოხდა? თავი იჩინა საკანონმდებლო დებულებათა უკმარისობამ ბრალის ხარისხის საკითხში.

ახლა მოვიყვანოთ იმის რამდენიმე მაგალითი, როდესაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლოებს სავსებით მართებულად აქვთ დანიშნული ლმობიერი სასჯელი ბრალის ხარისხის შესაბამისად, მაგრამ „ბრალის ხარისხზე“ — ამ მეტად მნიშვნელოვან კრიტერიუმზე — სახელდებით მითითების გარეშე. როგორც დავინახავთ, აქ ისეთი გარემოებებიც შეგვხვდება, რომელთა ვათვალისწინება, მართალია, სცილდება კანონით დადგენილ ტექტს, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონის აზრს.

ა. მახათაძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ-ის 105-ე მუხლით იმის გამო, რომ მან ცემით მოკლა თავისი გალოთებული ცოლი, რომელიც, სამსახურიდან დაბრუნებულმა, უგრძობლად მთვრალი იხილა შინ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ა. მახათაძისათვის დანიშნული სასჯელი ასე დაასაბუთა: „ა. მახათაძისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ დანაშაული მან ჩაიდინა ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე, რომლის გამომწვევი მიზეზი დაზარალებულის ლოთობა იყო“¹².

ა. მახათაძის მოქმედება ძლიერ განაპირობა ისეთმა ობიექტურმა გარემოებამ, როგორც იყო დაზარალებულის გალოთება. უგრძობლად მთვრალი ცოლის ხილვის კონკრეტულმა ფაქტმა აგრეთვე, უთუოდ, დამთრგუნველი ზეგავლენა მოახდინა მის ფსიქიკაზე. ყოველივე ეს, ცხადია, ამცირებს ა. მახათაძის ბრალის ხარისხს ჩადენილ ქმედობაში. ეს გარემოება ნათლად გამოსჭვივის ზემოთ მოყვანილი დასაბუთებიდან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის ლოთობა აქ არ არის დამნაშავესათვის ისეთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც პირდაპირ ვათვალისწინებელია საქართველოს სსრ სსკ-ის 38-ე მუხლში, სადაც შემამსუბუქებელი გარემოებანია ჩამოთვლილი. მართალია, იგი უახლოვდება ამ მუხლის მე-5 პუნქტს, მაგრამ მთლად არ ემთხვევა მას. მე-5 პუნქტში ლაპარაკია „დანაშაულის ჩადენაზე ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით“. ა. მახათაძის ცოლის ლოთობა კი ვერ ჩაითვლება არამართლზომიერ მოქმედებად, ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით.

ანალოგიურია დ. ჩხიკვაძისა და ვ. ჩხიკვაძის საქმე. დ. ჩხიკვაძე და ვ. ჩხიკვაძე მსჯავრდებულნი იყვნენ იმის გამო, რომ დ. ჩხიკვაძე შეეცადა გაეუბატურებინა, ხოლო ვ. ჩხიკვაძე გაეუბატურა 17 წლის ლ. ძ., რომელიც შეზარხოშებული იყო. საქმის მასალების მიხედვით ლ.ძ. თავისი ნებით მივიდა ახლად გაცნობილ ჩხიკვაძეებთან ბინაზე, სადაც გაეუბატურებამდე შესვა 80 გრამი კონიაკი და ღვინო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი სასჯელის შეფარდების ნაწილში ასე იქნა დასაბუთებული: „სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო კოლეგია მხედველობაში იღებს, რომ დანაშაულის

¹² იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1975 წლის 5-6 მაისის განაჩენი ა. მ. მახათაძის საქმეზე (№ 4801).

ჩადენა ერთგვარად განაპირობა დაზარალებულის... შეუფერებელმა საქციელმა“¹³.

ახალგაზრდა მამაკაცებისათვის მარტო დარჩენა შეზარხოშებულ ყმაწვილ ქალთან, რომელიც სალაღობოდ გაჰყვა შინ სრულიად უცნობ პირებს, უდავოდ ისეთი გარემოება იყო, რომელმაც შეასუსტა სოციალური კონტროლი და ძლიერი მოტივები შექმნა გაუბატოურების ჩასადენად. ამით მნიშვნელოვნად მცირდება მსჯავრდებულ ჩხიკვაძეების ბრალის ხარისხი. კოლეგიამ სავსებით სამართლიანად მხედველობაში მიიღო ეს გარემოება, თუმცა საქართველოს სსრ სსკ-ის 38-ე მუხლში არ არის ნათქვამი, რომ „დაზარალებულის შეუფერებელი საქციელი“ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა.

ვ. გიორგაძე მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის IV და VI პუნქტებით. მას მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ სცემა თავის დედას, სკამის თავში დარტყმა მოუწოდო მამას, შემდეგ კი სამზარეულოს დანით სიცოცხლეს გამოსასალმა ცოლი და 10 თვის ვაჟი. სამედიცინო დასკვნით ვ. გიორგაძე იყო ფსიქოპათიური პიროვნება.

განაჩენაში აღინიშნა: „სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ვ. გიორგაძე არის ავადმყოფი, ფსიქოპათიური პიროვნება“¹⁴.

როგორც ცნობილია, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ცნობს ე. წ. „შემცირებული შერაცხადობის“ ინსტიტუტს. ამასთან არსებობს დაავადებანი, რომლებიც სავსებით როდი გამორიცხავენ შერაცხვის უნარს, მაგრამ მნიშვნელოვნად აქვეითებენ მას. ასეთ შემთხვევებში დამნაშავეს ბრალის ხარისხი შემცირებულია ფსიქიკის ავადმყოფური მდგომარეობის გამო. და მიუხედავად იმისა, რომ საქ. სსრ სსკ-ის 38-ე მუხლში არც შემცირებული შერაცხადობა და არც მცირე ხარისხის ბრალი მოხსენიებული არ არის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სრულიად აშკარაა, რომ მსჯავრდებულის ფსიქოპათიით ან სხვა რომელიმე ფსიქიკური სენით დაავადების ფაქტი მხედველობაშია მისაღები. ამიტომ სავსებით დასაბუთებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის პოზიცია, როდესაც ვ. გიორგაძეს შეუმცირდა სასჯელი. ვ. გიორგაძის საქმე კარგი ილუსტრაციაა, ერთი მხრივ იმისა, თუ როგორ შეუძლია სასამართლოს გაითვალისწინოს შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონში, ხოლო, მეორე მხრივ, იმისა, თუ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1975 წლის 14 თებერვლის განაჩენით თ. კორძახია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ-ის 110-ე მუხლის II ნაწილით და მიესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

¹³ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1974 წლის 20 სექტემბრის განაჩენი დ. ჩხიკვაძისა და ვ. ჩხიკვაძის საქმეზე (№ 78-74).

¹⁴ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1974 წლის 20 დეკემბრის განაჩენი ვ. გიორგაძის საქმეზე (№ 06-6).

სასამართლო კოლეგიის 1975 წლის 19 მარტის განჩინებით ა. კორძახიას მიმართ განაჩენი დატოვებულ იქნა უცვლელად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1974 წლის 26 დეკემბერს დაახლოებით 17 საათზე სახლში მოსულ ა. კორძახიას შინ არ დახვდა მისი ცოლი ლ. კ. ა. კორძახია წავიდა და შინ დაბრუნდა 23 საათზე, მაგრამ ლ. კვლავ არ იყო მოსული. იგი მთვრალი დაბრუნდა შინ ღამის 1 საათზე და 30 წუთზე. ა. კორძახიას კითხვაზე, თუ სად იყო ამდენ ხანს, ლ. კ.-ს უპასუხა, რომ იყო ვინმე ნანასთან. ა. კორძახიამ მოინდომა ლ. კ.-ს წაყვანა მის მიერ დასახელებულ პიროვნებასთან. მაგრამ იგი არ წაყვა. ამის გამო ა. კორძახიამ ძლიერ სცემა ლ. კ.-ს, რის შედეგად იგი გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო, რომ „...ა. კორძახიას მიერ დანაშაულის ჩადენა გამოწვეული იყო თვით ლ. კ.-ს შეუფერებელი საქციელით“ და შესაძლებლად მიიჩნია კორძახიას მიმართ შეფარდებული სასჯელის — 8 წლით თავისუფლების აღკვეთის — 3 წლით შემცირება¹⁵.

ამგერად პრეზიდიუმის დადგენილებამ გააკეთა ის, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკა კოლეგიებში, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა ა. კორძახიას საქმის განმხილველ კოლეგიას. აქაც, სასჯელის შემცირებას ბრალის მცირე ხარისხი უდევს საფუძვლად, თუმცა, თავის მხრივ, ბრალის ხარისხზე ობიექტურმა გარემოებებმა მოახდინა ზეგავლენა.

ზემოთ განხილული მაგალითები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან უაღრესად საინტერესო და სასარგებლო მასალას იძლევა ვიქტიმოლოგიური პრობლემების გააზრებისათვის. დღეს, როდესაც ვიქტიმოლოგია იურიდიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ ძირითად, დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა, სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები ამ ასპექტით უფრო ფართოდ უნდა იქნეს განზოგადებული ლიტერატურაში.

ჩვეულებრივ, ვიქტიმოლოგიას განსაზღვრავენ როგორც კრიმინოლოგიურ მოძღვრებას დანაშაულის მსხვერპლის შესახებ¹⁶. აქ იგულისხმება ის როლი, რომელსაც დაზარალებული ასრულებს მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გენეზისსა და ეტიოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა სუფევს, მაინც შეიძლება გამოიყოს გავრცელებული თვალსაზრისი. მისი ძირითადი დებულება ის არის, რომ სისხლის სამართალში ე. წ. „დაზარალებულის ბრალად“ მხოლოდ არამართლობიერი¹⁷ ან არამართლობიერი და ამორალური ქცევა¹⁸ იგულისხმობს. ასეთი თვალსაზრისი ზოგჯერ ეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის პოზიციას. მაგრამ ყოველთვის როდღე შეესაბამება

¹⁵ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1976 წლის 2 ნოემბრის დადგენილება № 246 ა. კორძახიას ბრალდების საქმეზე.

¹⁶ См. Л. В. Франк, *Виктимология и виктимность*. Душанбе, 1972, стр. 7; მისივე — *Потерпевший от преступления и проблемы советской виктимологии*, Душанбе, 1977, стр. 4;

Н. Zipl, *Die Bedeutung der Viktimologie für die Strafrechtspflege*. «Monatsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform», 1970, N 1-2, S. 1-13; H. Schneider, *Viktimologie*. Wissenschaft vom Verbrechensopfer, Tübingen, 1975, S. 7.

¹⁷ См. П. С. Дарель, «Вина потерпевшего» в уголовном праве, «Советская юстиция», 1967, № 6, стр. 10.

¹⁸ См. Н. Ф. Кузнецова, *Уголовно-правовая ответственность «вины потерпевшего»*, «Советская юстиция», 1967, № 17, стр. 16 и след.; Л. В. Франк, *Потерпевшие от преступления и проблемы советской виктимологии*, Душанбе, 1977, стр. 117.

მოვლენათა განვითარების ლოგიკას და ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ კონსომიერებებს.

მართლაც, საქ. სსრ სსკ-ის 38-ე მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გამოცხადებულია „დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი ადევლების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით“. მაშასადამე, აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა დაზარალებულის ქცევა თუმცა მართლზომიერია, მაგრამ ამორალური ან სულაც ზნეობრივად უსაყვედურო. ნიშნავს თუ არა ეს, რომ უბრალოდ ამორალურ ან ზნეობრივად ირელევანტურ ქცევას არ შესწევს უნარი ძლიერად ააღელვოს სუბიექტი და დანაშაულის ჩასადენად აღძრას იგი? რა თქმა უნდა, არა! საამისოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება (სქესობრივად მომწიფებული, თუმცა 16 წლის ასაკს მიუღწეველი, სულით ავადმყოფი ქალი დაქინებით მოითხოვს, რომ სქესობრივი უინი დაუკმაყოფილონ და აღწევს კიდევაც საწადელს; ციტირებული ბავშვი აკრძალულ ადგილას გადაირბენს ქუჩას და ავტომანქანის ქვეშ იღუპება და სხვ.). მაშ რატომ არ უნდა შემოვიტანოთ ეს შემთხვევები სისხლისსამართლებრივი კვლევა-ძიების სფეროში? ჩემი აზრით, უნდა შემოვიტანოთ; ეს შესაძლებელია და გამართლებულიც¹⁹, დაზარალებულის ქცევამ, თუნდაც იგი არ იყოს არამართლზომიერი ან ამორალური წარმოშობის, შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა დამნაშავის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების მიმართულებასა, შინაარსსა და ინტენსიურობაზე. მაშასადამე, მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბრალის ხარისხზე და ამ გზით მეტად მნიშვნელოვანი საფუძველი გახდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო „დაზარალებულის არამართლზომიერ ან ამორალურ ქმედობას“, არამედ მის „შეუფერებელ“ ან სხვა ვაიმომწვევ საქციელს, ჯანსაღ ტენდენციას გამოხატავს; იგი უთუოდ ხელს უწყობს ბრალისმიერი პრინციპის თანამიმდევრულ გატარებას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „დაზარალებულის ბრალს“, როგორც დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში. ეს ნათლად ჩანს როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებიდან, ისე პლენუმის დადგენილებებიდან ცალკეულ საქმეებზე. პირველის თვალსაჩინო ნიმუშია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 11 ივლისის დადგენილება № 6²⁰, სადაც ნათქვამია: „მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის სასჯელის დანიშვნის დროს დამდგარ მაგნი შედეგებთან ერთად სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ ...დამნაშავის ბრალის ხარისხი. განემარტოთ სასამართლოებს, რომ.. კანონით გათვალისწინებულ და სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებას, როგორიც არის... დაზარალებულის გაუფრთხილებლობა“ (ხაზგასმა ჩემია —

19 სწორედ ასე ფართოდ ვხმის ე. წ. „დაზარალებულის ბრალის“ ცნება ვ. მინსკაის, რომელიც ამჯობინებს იხმაროს არც თუ მარჯვე ტერმინი — „დაზარალებულის უარყოფითი ქცევა“ (იხ. **В. Минская, Ответственность потерпевшего за поведение, способствовавшее совершению преступления, «Советская юстиция», 1969, № 4, стр. 15).**

²⁰ იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1975, № 3, გვ. 14.

მ. უ.). მეორის მაგალითად გამოდგება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 8 ივლისის დადგენილება ი. კ.-ს საქმეზე, რომელიც სპეციალურად ე. წ. „დაზარალებულის ბრალის“ საკითხს მიეძღვნა და სათაურიც შესაფერისი აქვს: „სასჯელის ზომის განსაზღვრისას სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს დაზარალებულის მოქმედების როლი მავნე შედეგის დადგომაში“²¹.

ამგვარად, ერთი მხრივ, სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა აშკარად გამოხატული ტენდენცია ბრალის ხარისხის მხედველობაში მიღებისას სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს, მეორე მხრივ, კანონის პირდაპირი მითითების უქონლობა და ამით გამოწვეული უხეობულობანი მოითხოვს ბრალის ხარისხის გათვალისწინებას შემოვლითი გზით. მაგრამ მართლმსაჯულების ელემენტარული მოთხოვნაა, რომ ფაქტებს მიეცეს არა შენიღბული და შეფარული, არამედ ნათელი და ზუსტი შეფასება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების ეფექტიანობისათვის. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ უქონლობა ბრალის ხარისხის გათვალისწინების მოთხოვნისა სისტემური ხასიათის ნაკლვაც შეადგენს კანონში, დავრწმუნდებით, რომ ყველა ამ ნაკლის დაძლევის უთუოდ შეუწყობდა ხელს საფუძვლების 32-ე და საქართველოს სსრ სსკ-ის 37-ე მუხლების (სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების) შეესება ბრალის ხარისხზე მითითებით²². ჩვენი აზრით, „საფუძვლების“ 32-ე მუხლის II ნაწილის რედაქცია ასეთი უნდა იყოს: „ხელმძღვანელობს რა სოციალისტური მართლშეგნებით, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, ბრალის ხარისხს, დამნაშავის პიროვნებას და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას“²³.

ბრალის ხარისხთან ორგანულად არის დაკავშირებული კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საკითხი, რომელიც მოწესრიგებულია „საფუძვლების“ 37-ე მუხლით (საქართველოს სსრ სსკ-ის 45-ე და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ის შესაბამისი მუხლებით). შეიძლება ითქვას, რომ 37-ე მუხლი არის 32-ე მუხლის შინაარსობრივი გავრცელება. ამ მუხლში ხდება სასჯელის დანიშვნის ძირითადი პრინციპების შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება. 37-ე მუხლის შინაარსი ასეთია: „უკეთეს სასამართ-

²¹ იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1969, № 1, გვ. 14.

²² მიუხედავად იმისა, რომ პ. დაველისა და რ. მიხეივის აზრით, ბრალის ხარისხის დადგენის მოთხოვნა „პირდაპირ გამომდინარეობს საფუძვლების... 32-ე მუხლის შინაარსიდან“, საბოლოოდ ისინი მაინც მიზანშეწონილად აღიარებენ ამ მუხლის დაზუსტებას ბრალის ხარისხზე მითითებით (იხ. Теоретические основы... стр. 92). ძნელია ასეთ პოზიციას თანამიმდევრული უწოდო. მაგრამ მთავარი და საჯულისხმო ის არის, რომ სულის სიღრმეში ვერც სხეუნებული ავტორები გათავისუფლებულან სრულიად ბუნებრივი უკმარობის გრძობიდან, რომელსაც ბრალის ხარისხის საკითხის საკანონმდებლო მოუწყვრივებლობა წარმოიშობს.

²³ ბრალის ხარისხი როგორც სასჯელის დანიშვნის დამოუკიდებელი და სრულფასოვანი კრიტერიუმი სულ უფრო მტკიცედ იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს უახლეს საკანონმდებლო სისტემებში. იგი გაითვალისწინა გვრ-ის (§ 61 (2)), ბსრ-ის (მუხ. 54 (1)) და უსრ-ის (§ 1 1961 წლის კანონისა № 5) სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, 1964 წელს თურქეთში მიღებული კანონი (№ 501), რომლის ძალით თურქეთის სსკ-ის 455-ე და 459-ე მუხლებს (გაუფრთხილებლობითი მკვლელობა და სხეულის დაზიანება) დაემატა ასეთი შინაარსის სპეციალური პუნქტი: „ბრალის ხარისხის გათვალისწინებით, წინარე აბსაცებით დადგენილი სასჯელი შეიძლება შემოვირბული იქნეს ერთი მძვრე დამდე“.

თლო, გაითვალისწინებს რა საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დანაშაულის პიროვნებას, საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მას ამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი და გადავიდეს სხვა უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელზე, მას შეუძლია დაუშვას ასეთი შემსუბუქება, თანაც აუცილებლად უნდა აღნიშნოს მისი მოტივები²⁴.

საჭიროა „საფუძვლების“ 37-ე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლები (სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები) შეივსოს საგანგებო მითითებით ბრალის ხარისხზე²⁴ (იხვევ, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე). ეს იქნებოდა არა მარტო თანამიმდევრული გატარება ბრალისა და ინდივიდუალიზაციის ფუძემდებლური პრინციპებისა სისხლის სამართალში, არამედ, ამავე დროს, წინ გადადგმული ნაბიჯი მოქმედი კანონმდებლობის სისტემის სრულყოფისაკენ. და მაშინ ლოგიკური კავშირი გაიბმება „საფუძვლების“ მე-3, 32-ე და 37-ე მუხლებს შორის. მე-3 მუხლში საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი გამოცხადებულია პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად. 32-ე და 37-ე მუხლებში კი საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის ხარისხი საფუძვლად დაედება სასჯელის ინდივიდუალიზაციას. ეს კი მნიშვნელოვნად გააადვილებს კანონის გააზრებასა და სწორად გამოყენებას, მეტ ერთგვაროვნებას დაამკვიდრებს სასამართლო პრაქტიკაში. დასასრულ, კანონის საფუძველზე გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭება ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც მარტო იმას როდი გულისხმობს, რომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი ბრალის გარეშე. ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპის ბოლომდე თანამიმდევრულად გატარება სისხლის სამართალში მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობისა და სასჯელის ზომა ბრალის ხარისხზე იყოს უცილობლად დამოკიდებული.

²⁴ კიდევ უფრო შორს მიდის ავსტრიის 1974 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (ძალაშია 1975 წლის 1 იანვრიდან). იგი უფლებას ანიჭებს სასამართლოს, რომ ბრალის მცირე ხარისხის შემთხვევაში ინდივიდი საერთოდ გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან (§ 44). საკითხის ასეთი გადაწყვეტა არც საბჭოური სისხლის სამართლისათვის უნდა იყოს პრინციპულად მცლებელი. ცნობილია შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩადენა ისეთი ზნეობრივი მოსაზრებებით არის მოტივირებული, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებს ბრალის ხარისხს. ეს კი ერთობ საეჭვოს ხდის ინდივიდის ზნეობრივი გაკიცვის საფუძვლიანობას და პასუხისმგებლობის მიზანშეწონილობას. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად ევთანაზიის ზოგიერთი შემთხვევა გამოდგებოდა (დაწვრილებით იხ. თ. წერეთელი, ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 6, გვ. 35; Т. Хорват, Эутаназия — проблема медицинской эпохи и уголовного права, იურიდიული ძიებანი, მეცნიერული წერილების კრებული, მიძღვნილი თინათინ წერეთლის 70 წლისთავისადმი, თბილისი, 1977, გვ. 151; J. Sanders, Euthanasia: None Dare Call it Murder. «The journal of Criminal Law, Criminology and Police Science», v. 60, 1969, N 3, p. 351).

ჩვენი კანონმდებლობა რომ გაითვალისწინებდეს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო, შეიძლებოდა საჯულისხნო დამატებით შეგვევსო „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი, რომელშიც დღესდღეობით მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების უმნიშვნელო ხარისხია გამოცხადებული დანაშაულის გამოძრისთვის გარემოებად. ყოველ შემთხვევაში, ის მინც შეიძლებოდა, რომ „საფუძვლების“ 43-ე მუხლში შეტანილიყო სათანადო ცვლილება.



საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი და საქანონმდებლო ვაქსიკის ზოგიაკთი საკითხი

მ. ბამყარელიძე

ვისაც ამ თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში ჩვენი კანონმდებლობის განვითარებისათვის ცოტათი მაინც თვალი უდევნებია, უთუოდ შენიშნავდა ერთ საგულისხმოდ ტენდენციას: ეს არის კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა, ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, კანონის სტაბილურობის შესუსტება. ამ მოვლენას, რაღა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს. დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის პირობებში, როცა სოციალური ორგანიზმი სწრაფად იცვლის ხასხეს და ვითარდება, კანონმდებლობაც არ არის ერთ წერტილზე გაყინული. კანონმდებელი ცდილობს არ ჩამორჩეს ცხოვრების მდინარეებს და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ცვლილებები შეაქვს მოქმედ კანონმდებლობაშიც.

სანიმუშოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც გამოვღებთ. ცნობილია, რომ თავდაპირველად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1961 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში, 287 მუხლისაგან შედგებოდა. 1977 წლისათვის კი, როდესაც სხედებული აქტი მეტუთედ გამოიცა, იგი უკვე 382 მუხლს შეიცავდა. სულ რაღაც 15-16 წლის მანძილზე კოდექსს, როგორც ვხედავთ, 45 ახალი მუხლი დამატებია, მასში შეტანილ უამრავ სხვა ცვლილებებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ. თანაც ზოგიერთი მუხლი ორჯერ და მეტჯერაც კი შეიცვალა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში, ახალი კონსტიტუციის პრინციპების საფუძველზე, კიდევ უფრო მეტი ცვლილებებია მოსალოდნელი ჩვენს კანონმდებლობაში. ვარდა ამის, იუსტიციის სამინისტროში შექმნილია საგანგებო სარედაქციო საბჭო, რომელიც უკვე შეუდგა კანონმდებლობის მრავალტომიანი ქრონოლოგიური კრებული გასაცემას. მალე დაწყება აგრეთვე ე. წ. კანონთა კორპუსის (Свод законов) გამოცემა და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ძალაუხუნებურად წამოიჭრება კითხვა: როგორ მიმდინარეობს ჩვენში საერთოდ საქანონმდებლო მუშაობა? რამდენად დახვეწილია მოქმედი კანონმდებლობა საქანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით? სომ არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას კანონმდებლობის ხშირი და სწრაფი ცვლილება მის სრულყოფაზე? სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ნორმატიული აქტების გამოცემის საკითხი.

კანონპროექტების შედგენა-დამუშავება, კანონის მიღება და შემდეგ მისი გამოქვეყნება იოლი საქმე როდია. იგი დიდ ცოდნას, გამოცდილებასა და დაძაბულ შრომას მოითხოვს. ცნობილია, რომ კანონის ტექსტი ზუსტი, ნათელი და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მცირედენი ბუნდოვანობა და ორაზროვნობა კანონის ტექსტისა უარყოფითად მოქმედებს კანონის ეფექტიანობაზე, კანონმდებლობაში არ უნდა გვხვდებოდეს წინააღმდეგობები, აუცილებელი სისტემატური, ლოგიკური კავშირი კანონებს შორის და ა. შ.

როგორ გამოიყურება ამ მხრივ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი? აქ არ შეიძლება არ ვავისენოთ, რომ ეს კოდექსი ჯერ კიდევ 1978 წელს ძალზე ცუდად და დაუდეგრად გამოიცა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მასში სასვენი ნიშნებაც კი ისე იყო არეულ-დარეული, რომ ბევრ შემთხვევაში კანონის აზრი შესამჩნევად იცვლებოდა. კოდექსტურიული შეცდომები, ცხადია, არასდროს არ არის სასიამოვნო. მაგრამ სულ სხვაა, როცა მსგავსი ხასიათის შეცდომები თავს იჩენს ხოლმე სისხლის სამართლის კოდექსში. სადაც თითოეულ მძიმეს, თითოეულ წერტილს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენისათვის. სანიმუშოდ მოვიყვანოთ კოდექსის დასაწყისში გაშვებული 25-ე მუხლის ტექსტს, რომელშიც გვითხულობთ: „შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ: მამაკაცებს.

— თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამძიმე დანაშაულისათვის ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისი უფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა, მძიმე დანაშაულისათვის, — საერთო რეჟიმის კოლონიაში“.

დააკვირდით კარგად ამ წინადადებას! აქ სიტყვები „მძიმე დანაშაულისათვის“ მძიმეთი (სასჯენი ნიშნით) არის გამოყოფილი სიტყვებისაგან — „არა უმეტეს სამი წლისა“. ამიტომ მოტანილი ტექსტის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საერთო რეჟიმის კოლონიაში მამაკაცებს სასჯელის მოხდა დაენიშნებათ სამ შემთხვევაში: 1) თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამძიმე დანაშაულისათვის, 2) პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა და 3) მსჯავრი ედებათ მძიმე დანაშაულისათვის. კანონის ნამდვილი აზრის მიხედვით კი ხსენებული რეჟიმის კოლონიაში მამაკაცები გაიგზავნებიან ორ შემთხვევაში: 1) თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამძიმე დანაშაულისათვის და 2) პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მძიმე დანაშაულისათვის. მთელი გაუგებრობა იმით არის გამოწვეული რომ სასჯენი ნიშანი თავის ადგილას არ იყო დასმული. მსგავსი უზუსტობანი 25-ე მუხლში რამდენიმე ადგილას მეორედბოდა, ასეთივე უზუსტობანი გვხვდებოდა აგრეთვე კოდექსის სხვა მუხლებშიც.

კოდექსის აღნიშნულ გამოცემაში აღმოჩნდა კიდევ სხვა სახის შეცდომებიც. მაგალითად, 178¹ მუხლია სანქცია ასე იყო ფორმულირებული: „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით“. აქ, როგორც ირკვევა, გამოტოვებულია „ან“ ნაწილაკი (უნდა ყოფილიყო: „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით“), რომელმაც უნდა მაგვანიშნოს, რომ ამ მუხლის სანქცია ალტერნატიულია და რომ სასამართლოს უფლება აქვს ამ ორი ძირითადი სასჯელიდან დანიშნოს ერთ-ერთი სასჯელი იმ შემთხვევაში კი, თუ „ან“ ნაწილაკს ამოვიღებთ, გამოვა, რომ მუხლი აწესებს ერთ ძირითად სასჯელს (თავისუფლების აღკვეთას), ხოლო მეორე (გამასწორებელი სამუშაოები) დამატებითი სასჯელია, რომელიც ალტერნატიულად კვლავ გამოიყენება.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 254-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან სასჯელის სახე საეროოდ ამოვარდა. „ისჯება ვადით სამიდან შვიდ წლამდე“ — ვკითხულობთ ამ მუხლში. კი მაგრამ რა სასჯელით ისჯება? ცხადია, თავისუფლების აღკვეთით. მაგრამ ეს ხომ პირდაპირ უნდა ყოფილიყო აღნიშნული კანონში!

კოდექსის დასახელებულ გამოცემაში მრავალი სხვა უზუსტობა თუ შეცდომა გვხვდება, რომელთა დაწვრილებით აღნუსხვას აქ აღარ გამოვუდგებთ თუნდაც იმიტომ, რომ ახალ გამოცემაში (1977) მათი უდიდესი უმრავლესობა გასწორებულია, კანონის ოფიციალური ტექსტი კვლავ აღდგენილია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეინიშნება სხვა სახის შეუსაბამობანი, რომლებსაც შეუძლია გაანელოს კანონის სწორად გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში. ზოგჯერ კოდექსის ქართული და რუსული ტექსტები ერთმანეთს არ ემთხვევა, არის ენობრივი უზუსტობანი და სხვ. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ზოგიერთი, შედარებით თვალში საცემი, შეუსაბამობის გამოვლენა მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 25¹ მუხლი, რომელიც აწესებს პირობით თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით („საფუძვლების“ 232 მ). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილია ის დანაშაულებრივი ქმედობები, რომელთა მიმართ 25¹ მუხლი არ გამოყენება. მათ შორის დასახელებულია განზრახი მკვლელობა, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე, 105-ე მუხლები და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი. ამას მოხდევს მითითება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაზე (110-ე მუხლი) და სხვ.

ჩემი აზრით, აქ ერთგვარი შეუსაბამობაა. როგორც ცნობილია, განზრახ მკვლელობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მარტო 104-ე, 105-ე და 258-ე მუხლები როდი ითვალისწინებს. განზრახი მკვლელობა შეიძლება ზოგჯერ კოდექსის 209¹ მუხლითაც დაკვალიფიცირდეს. გამოდის, რომ 25¹ მუხლის გამოყენება ნებადართულია 209¹ მუხლის მიმართაც, რადგან აკრძალვაში ეს მუხლი მოხსენიებული არ არის, მაშინ, როცა ისეთი, შედარებით უფრო მსუბუქი, დანაშაულის მიმართ, როგორც სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება (მ. 110-ე), პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება. ცხადია, ლოგიკური იქნებოდა, რომ 25¹ მუხლის გამოყენების აკრძალვა შესებოდა განზრახი მკვლელობის ყველა შემთხვევაში, გარდა 106-ე და 107-ე მუხლებისა.

სწორედ ეს აზრია გამოხატული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის



სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 232 მუხლში, რომელზე დაყრდნობითაც აგებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251 მუხლი. კერძოდ, „საფუძვლების“ 232 მუხლის მე-3 ნაწილის პირველი პუნქტის ძალით პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომასა სავალდებულო ჩაბნით, სხვა დანაშაულისთან ერთად, არ ეხება აგრეთვე „განზრახ მკვლელობას (გარდა მკვლელობისა, რომელიც ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტების ან ძლიერი სულიერი აღფლავების მდგომარეობაში)“. ამ ტექსტის მიხედვით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251 მუხლის პრინციპი არ უნდა გავრცელდეს განზრახი მკვლელობის არც ერთ შემთხვევაზე, გარდა 106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა. 251-ე მუხლში კი „საფუძვლების“ ეს ფორმულა („განზრახი მკვლელობა“) ზუსტად არ არის დაკონკრეტებული. კერძოდ ცალკეული მუხლების ჩამოთვლის დროს, როგორც ვნახეთ, გამოჩნენილია 2091 მუხლი. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251 მუხლის გამოყენებისას ჭრჭერობით, ვიდრე ეს წინააღმდეგობა არ აღმოფხვრიდა, უნდა ვინებამძვანელოთ „საფუძვლების“ 232 მუხლით.

„საფუძვლების“ 441 მუხლში სხვა დანაშაულისთან ერთად, რომელთა მიმართ გამოიყენება სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, მითითებულია აგრეთვე მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამამძიმებელ გარემოებებში. ეს სიტყვები ზუსტად არის განმეორებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში და იქვე ფრჩხილებში, სავსებით სწორად, დასახელებულია ჩვენი კოდექსის 2091-ე მუხლი.

„საფუძვლების“ 441 მუხლის მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა აკრძალულია იმის მიმართაც, ვინც „მსჯავრდებულია განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში“.

ეს სიტყვებიც ასევე ზუსტად მეორდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 541-ე მუხლში და ფრჩხილებში ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში. და აი აქ კვლავ დასახელებულია 2091-ე მუხლი (!?). მაშასადამე, ჩვენი კოდექსის მიხედვით 2091-ე მუხლის მიმართ 54-ე მუხლის პრინციპის გამოყენება ერთდროულად ნებადართულიც არის და აკრძალულიც.

რახან „საფუძვლების“ 44-ე მუხლით სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა პირდაპირ არის ნებადართული იმის მიმართ, ვინც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა ჩაიდინა, ხოლო იმავე „საფუძვლების“ 441-ე მუხლი კრძალავს ამ პრინციპის გამოყენებას იმის მიმართ, ვინც მსჯავრდებულია განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 541-ე მუხლში უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი ყველა ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გარდა 2091 მუხლისა.

მაგრამ დღეისათვის, ვიდრე ასეთი წინააღმდეგობაა, ერთი მხრივ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე და 541-ე მუხლებსა და, მეორე მხრივ, „საფუძვლების“ 44-ე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 541-ე მუხლებს შორის, სასამართლო პრაქტიკაში უნდა ვინებამძვანელოთ „საფუძვლების“ 44-ე მუხლით, ე. ი. სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის პრინციპი უნდა გავრცელდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 2091-ე მუხლზეც.

541 მუხლში სხვა შეუსაბამობაცაა. კერძოდ, აქ მოხსენებულია 78-ე და 781 მუხლებიც, რაც სრულიად ზედმეტია, რადგანაც განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ამ მუხლებით არ დაკვალიფიცირდება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლით ყაჩაღობის შეზადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია დაზარალებულის „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის“ საშიში ძალადობა. აქ კავშირი „და“ მიგვანიშნებს, რომ ძალადობა, რომელიც საშიშია მხოლოდ ჯანმრთელობისათვის და არ ხელყოფს დაზარალებულის სიცოცხლეს, არ გამოიწვევს პასუხისმგებლობას დასახელებული მუხლით. მაგრამ 96-ე მუხლის რუსული ტექ-

სტი ამ ნაწილში განსხვავებულია ქართულსაგან კერძოდ, რუსული ტექსტის მიხედვით ძალადობა უნდა იყოს საშიში „სიცოცხლის ან ჩანმრთელობისათვის“.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლით ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჩანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ასევე კონსტრუირებული ამ მუხლის რუსული ტექსტის ცნობით, 96-ე მუხლით ძალადობის ცნება ვიწროდ არის გაგებული, 152-ე მუხლით კი იგი გაფართოებულია (კოდექსის წინა გამოცემაში ეს მუხლები ამ მხრივ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ).

ვიწროდ არის გაგებული ძალადობის ცნება 252! მუხლშიც („სიცოცხლისა და ჩანმრთელობისათვის“). შეუსაბამოა ამ თვალსაზრისით კოდექსის 133-ე მუხლის ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის (უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა) და სხვ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე და 152-ე მუხლებში ძალადობის ცნების სხვადასხვაგვარ გაგებას შეუძლია გავართულოს კოდექსის 240-ე მუხლის მე-8 ნაწილის გამოყენება, სადაც ლაპარაკია „უჩაღური თავდასხმის გზით“ ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვფეხულაინისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ძალადობა: სიცოცხლისა და ჩანმრთელობისათვის საშიში თუ სიცოცხლის ან ჩანმრთელობისათვის საშიში. ასეთივე მდგომარეობა იქმნება 96!-ე მუხლის გამოყენების დროსაც, რომელიც მოიცავს უჩაღური ხერხით განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას. რადგან არც ამ მუხლშია რაიმე ნათქვამი ძალადობის თაობაზე. ეჭვი არ არის, ჩვენი კოდექსის დასახელებული მუხლები ამ მხრივ უსაბუთოდ საჭიროებენ დახვეწას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის ძალით ყაჩაღობა არის თავდასხმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჩანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. როგორც ვხედავთ, ამ მუხლით ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება ჯერ კიდევ თავდასხმის მომენტში, ე. ი. ქონების დაუფლებამდე. ამ შემთხვევაში დამატებით კოდექსის მე-17 მუხლზე (მოშაღება და მცდელობა) მითითება საჭირო აღარ არის.

მაგრამ 96!-ე მუხლი, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უჩაღური ხერხით დატაცებასაც მოიცავს, 96-ე მუხლისაგან განსხვავებით, ისეა აგებული, რომ ყაჩაღობის დამთავრებისათვის ამ შემთხვევაში აუცილებელია ქონების დაუფლება („...ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება“). გამოდის, რომ თუ დამნაშავე შეიპყრეს თავდასხმის მომენტში, ე. ი. ქონების დაუფლებამდე და თანხაც, რომლის დაუფლებასაც ცდილობდა, ათი ათას მანეთზე ნაკლებია, იგი დაისჯება კოდექსის 96-ე მუხლით და ამ თავრებულში უჩაღობისათვის, ხოლო, თუ თანხა ათი ათას მანეთზე მეტია, რაც განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 17-96! მუხლებით ყაჩაღობის მცდელობისათვის. ასე, რომ, რაც უფრო ნაკლებია თანხა, დამნაშავეს, დანაშაულის დამთავრების თვალსაზრისით, მით უფრო უმძიმდება მდგომარეობა, მაშინ, როცა სწორედ პირიქით უნდა ხდებოდეს თანხის ოდენობაზე საერთოდ არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტა. ნივთის დაუფლების მომენტი განსაზღვრავს ყაჩაღობის დამთავრების მომენტს კოდექსის 240-ე (ნაწ. III) და 252! (ნაწ. III) მუხლებითაც. ერთი სიტყვით, კოდექსში არა გვაქვს ყაჩაღობის ერთიანი ცნება, მაშინ როცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კანონმდებელმა ერთი და იგივე ცნება ყველა შემთხვევაში ერთნაირად უნდა განსაზღვროს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96! მუხლში, როგორც უკვე ითქვა, ლაპარაკია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებაზე (მიუხედავად გატაცების ხანისა), რისთვისაც დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით დასჯა. ეს მუხლი შესამჩნევად ზღუდავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით, რადგან აქ ერთი და იგივე სასჯელის უარგებლობა მოქცეულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გატაცება, რომელიც ჩადენილია, მაგალითად, ქურდობით და ისეთი საშიში ხერხითაც, როგორც უჩაღური ხერხით, რაც ჩემი აზრით, ხელს ვერ შეუწყობს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. ასე რომ 96! მუხლი ამ მხრივაც გადახედვას საჭიროებს. მომავალში ალბათ აუცილებელი იქნება პასუხისმგებლობის დიფერენცირება განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით.

გარდა ამისა, დასახელებული მუსლი სსსრკ-ის მინიმუმად აწესებს თავისუფლების აღკვეთას ათი წლიდან (რსფსრ-ის სსკ-ის შესაბამისი მუსლით თავისუფლების აღკვეთა რვა წლიდან იწყება), რაც ამ სახის სასჯელის მაქსიმუმს წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (იხ. „საფუძვლები“, მ. 23-ე). მართალია, სანქცია მუსლში შედარებით განსაზღვრულია (თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე), მაგრამ მასში აღმოჩნდა ე. წ. ლატენტური ფორმა აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციისა. კერძოდ, როგორც ცნობილია, თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავეს არ შეიძლება მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით („საფუძვლები“, მ. 23). ამიტომ თუ პირი ვინც, რომელმაც 961-ე მუსლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა, არ შესრულებია თვრამეტი წელი, სასამართლო მას ვერ მიუსჯის ათ წელზე მეტ თავისუფლების აღკვეთას, სოლო სხენებული მუსლით კი მას ათ წელზე ნაკლებიც არ შეიძლება დაენიშნოს. ასე რომ, სასამართლო იძულებულია 961 მუსლით მიუსაჯოს არასრულწლოვანს, არც მეტი, არც ნაკლები, თავისუფლების აღკვეთა ათი წლით. ეს არ შეესაბამება სასჯელთა ჰუმანიზაციის თანამედროვე ტენდენციას, რომელიც ბოლო დროის საბჭოურ კანონმდებლობაშიც მკვეთრად შესამჩნევია გახდა, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება არასრულწლოვანს.

როცა ვამბობთ, რომ კოდექსის ცალკეული მუსლები ერთმანეთისაგან არ არის იზოლირებული და, რომ მათ შორის სისტემატური კავშირია, ვგულისხმობთ არა მარტო მუსლების დისპოზიციას, არამედ მათ სანქციებსაც. არ შეიძლება, რომ მიმე დანაშაული მსუბუქად ისჯებოდეს, ხოლო შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის უფრო მძიმე სასჯელი იყოს დაწესებული. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ საბჭოურ კანონმდებლობაში, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ასახავს, წინა პლანზეა წამოწეული და უფრო მკაცრი პასუხისმგებლობას იწვევს საზოგადოებრივი სიკეთის ხელყოფა პირად სიკეთესთან შედარებით. მაგრამ, თუ ამ თვალსაზრისით განვსჯით, რატომღაც სულ საწინააღმდეგო და მკვეთრად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 179-ე მუსლების სანქციათა შედარება.

179-ე მუსლის ძალით ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, იწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით ან ჯარიმას ან მანეთამდე. 157-ე მუსლის მე-2 ნაწილით კი პირადი ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან ან სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება იწვევს პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთით ერთი და ან რვა წლამდე. როგორც ვხედავთ, სანქციები მეტად განსხვავებულია.

საინტერესოა, მაინც რით არის გამოწვეული სანქციების ასეთი მკვეთრი შეუსაბამობა ჩვენი კოდექსის 157-ე და 179-ე მუსლებში? საქმე ის გახლავთ, რომ 179-ე მუსლში აღწერილი შემადგენლობა კოდექსში თავიდანვე იყო გათვალისწინებული და სასჯელიც შედარებით უფრო მსუბუქი ჰქონდა დაწესებული, ვიდრე ამჟამად აქვს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით გაძლიერდა პასუხისმგებლობა 179-ე მუსლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და, ნაცვლად ერთ წლამდე გამასწორებელი სამუშაოებისა და ან მანეთამდე ჯარიმისა, დაწესდა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ან მანეთამდე.

რაც შეეხება პირად ნარგავების განადგურებას, ეს მოქმედება კოდექსში თავიდანვე არ ყოფილა გამოცხადებული დანაშაულად. მაგრამ კოდექსის მიღების შემდეგ სამოციანი წლების შუა ხანებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გახშირდა მეზობლების მიერ ერთმანეთისათვის ვენახების და ხეხილის გაჩენვა შურისძიების მოტივით. ვადაწყდა სისხლის სამართლის კანონით ამ მოქმედების დანაშაულად გამოცხადება. მართლაც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით ცვლილება შევიდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუსლის მე-2 ნაწილში, რომელსაც დაემატა სიტყვები „აგრეთვე ვენახის, ციტრუსოვანის, დაფნის, ხილკენკროვან და სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება“, ხოლო სანქცია ამ მუსლისა — თავისუფლების აღკვეთა ერთიდან რვა წლამდე — იგივე დარჩა. როგორც ჩანს, 157-ე მუსლის ცვლილება ნაჩქარევად მოხდა. ეტყობა, ისე ძლიერ ვყოფილვართ ვატაცებული შემთხვევით აღნიშნული სოციალური სენის დაუყოვნებლივი და ძირფესვიანი ამოძირკვის სურვილით, რომ აღარავის გახსენებია კოდექსის 179-ე მუსლი, რომელიც იმავე გვარის, თუმცა თავისი მნიშ-

ენდობით ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე, დანაშაულებრივი მოქმედებისათვის გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა. ვიდრე 157-ე მუხლით პირადი ნარგავებს განადგურება-დაზიანებისათვის დაწესდა.

ამით, ცხადია, ის როდი მინდა ვთქვა, თითქოს აუცილებელი იყოს 174-ე მუხლის სანქციის გაძლიერება, რათა იგი შევესებაშირდ 157-ე მუხლს. პირაქით, იქნებ, უმჯობესიც კი იყოს 157-ე მუხლიდან ცალკე შემადგენლობად გამოიყოს პირადი ნარგავების განადგურება და სანქციაც ამ ახალ მუხლს 174-ე მუხლის სანქციის გათვალისწინებით დავუწესოთ. ეს, რასაკვირველია, მომავლის საქმეა. აქ კი უნდა დავასკვნათ, რომ ყოველი ცვლილება თუ დამატება, რომელიც კოდექსში შეგვაქვს, აუცილებლად კარგად უნდა იყოს გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული, რათა არ დარადვეს კოდექსის სისტემა, არ წარმოიშვას წინააღმდეგობები კანონმდებლობაში. ნურავინ იფიქრებს, თითქოს აქ უბრალო ფორმალურად ენებოდეს საქმე. კანონის დახვეწა, სრულყოფა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გახლავთ მისი ეფექტიანობისა, პირობა იმისა, რომ კანონმა ნამდვილად მიაღწიოს დასახულ მიზანს.

დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ოპერის თეატრის საქმოდ განმარტებული საქმის გამო ორჯერ შეეხო ცვლილება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლს. ამ მუხლის მე-2 ნაწილით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება ან განადგურება ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას აღამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა, აგრეთვე ტუჩის მასივების განზრახი განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაკიდებით ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორიდან რვა წლამდე. თეატრის დაწვამ იმდენად დიდი მითქმა-მოთქმა და აღშფოთება გამოიწვია ხალხში, რომ საზოგადოებრივი აზრი ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ჩადენილი დანაშაულის არათანაზომიერ, შეუსაბამო და აშკარად ლმობიერ სასჯელად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ პირველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით გაძლიერდა პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის და, ნაცვლად ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთისა დაწესდა თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით კვლავ შეიცვალა მე-100 მუხლის შინაარსი. ამჯერად ცვლილება შეეხო დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას და მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება ან განადგურება, თუ მას „...აღამიანთა მსხვერპლი ან განსაკუთრებით დიდი ზარალი აუ სხვა მძიმე შედეგა მოჰყვა“, იწვევს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

როდესაც მე-100 მუხლით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი განადგურებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილის ძალით კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახი განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, ჩადენილი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფიქტუალური ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით“ იწვევს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი განადგურებისათვის, რაშიც „განსაკუთრებით დიდი ზარალი“ გამოიწვია, როგორც ვნახეთ, დაწესებულია რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მაშინ, როცა 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ კულტურის ძეგლების თუ ობიექტების განადგურება იწვევს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. მე-100 მუხლში ნაგულისხმევია მატერიალური ზარალი, ხოლო 254-ე მუხლში კი კულტურული ზარებულება. მატერიალური ზარალი საზოგადოებამ მალე შეიძლება აანაზღაუროს, ხოლო კულტურული ღირებულების აღდგენა, თუ მისი მატერიალური გამოხატულება განადგურდა, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მუხლების სანქციები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ოპერის თეატრის დაწვით გამოწვეული აღშფოთება, როგორც ვთქვით, იმდენად დიდი იყო, რომ ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, ამ შემთხვევისათვის აშკარად მსუბუქ სასჯელად გვეჩვენებოდა. მაგრამ ვინმე გარეწარის ბილწი ხელი



რომ გელათს ან სვეტიცხოველს, თუნდაც ვარძიას, შიომღვიმეს, ყინწვისს, ნიკორწმინდას ან ქართული კულტურის სხვა რომელიმე უნიკალურ ძეგლს შეეხოს, 254-ე მუხლის მე-4 ნაწილი შვიდ წელზე მეტ თავისუფლების აღკვეთას ვერ მივუსჯით. როგორც ჩანს, ამის შესახებ მაშინ, როცა მე-100 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას ვაპლიკებდით, არ გვიფიქრია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დიდი დაკვირვება გვმართებს იმ შემთხვევაში, როცა პასუხისმგებლობის გაძლიერებას ვაპირებთ. საზოგადოებრივ აზრს, რასაკვირველია, ანვარში უნდა გავუწიოთ. საბჭოთა სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და კანონიც მთელი ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს. მაგრამ კანონის მიღებისას, განსაკუთრებით კი სასჯელის ზომის მომატების დროს, სხვა გარემოებებსაც უნდა მივუხედოთ ყურადღება. ზოგს რაგონდაც ჰგონია, თითქოს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაცრი სასჯელების დაწესებას. ნუ დაგვაფიქვდება, რომ ნაკლებად მკაცრი სასჯელიც კი ეფექტიანი იქნება და მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ. სასჯელის გაძლიერებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ დავასაბუთებთ, რომ მანამდე არსებული სასჯელის ზომა არ იყო ეფექტიანი და ვერ უწყობდა ხელს ამ დანაშაულთან ბრძოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გაძლიერება მხოლოდ თავის მოტყუებაა, უაზრო მსხვერპლია და მეტი არაფერია.

შესაბამისობაშია მოსაყვანი აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 110-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციები. 241-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ მუხლში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, თუ ამ დარღვევას დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა, იწვევს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ათ წლამდე მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ვადით ან უამისოდ. 110-ე მუხლის პირველი ნაწილით კი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის ერთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანებისათვის უფრო მძიმე სასჯელია დაწესებული, ვიდრე განზრახი დაზიანებისათვის. ასეთივე მდგომარეობა იქმნება 241-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 112-ე მუხლის, აგრეთვე 157-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციებს შორისაც. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეს შეუსაბამობა იმ შემთხვევაში, როცა სხეულის განზრახ მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ავტოტრანსპორტის მეშვეობით არის გამოწვეული. რომელი მუხლით უნდა დავაკვალიფიციროთ აღნიშნული მოქმედება? ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში როგორც ცნობილია, დიდი არეულ-დარეულობაა. მე არ გამოვუდგები აქ ამ ლიტერატურის დაწვრილებით მიმოიხილვას. მაგრამ, რასან საკითხს შევხები, არ შემიძლია გავკრიტიკოთ მაინც არ მოვიხსენიო უანსებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მის შესახებ გამოქმეული მოსაზრება.

მე მეჩვენება, რომ იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც ჩვენს კოდექსის დასახელებულ მუხლებს შორის შეიმჩნევა, ჯ. ბაბილაშვილი აშკარად სელიგნურ გამოხავალს გვთავაზობს და სრულიადაც ვერ გვარწმუნებს თავისი პოზიციის სისწორეში. სხვაგვარად არც შეიძლება შეფასდეს მისი მტკიცება, თითქოს „ის ფაქტი, რომ სხეულის განზრახ მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ახდება უფრო მსუბუქად, ვიდრე ამავე შედეგების გამოწვევა 241-ე მუხლში აღნიშნული ქმედებით, გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელი 241-ე მუხლში სხეულის მძიმე ან მსუბუქი დაზიანების მიმართ გაუფრთხილებლობით ბრალთან ერთად უშვებს განზრახვის შესაძლებლობასაც, რაც საფუძველს გვაძლევს პირს პასუხი ვაგებინოთ 241-ე და 110-ე ან 112-ე მუხლებით“¹.

ჭერ ერთი, რამდენად შესაძლებელია სასჯელის ზომის მიხედვით კანონის შინაარსის გარკვევა? ჩემი აზრით, ეს მეტად საბიფათო გზაა. ჩვენ რომ საკითხს ასე მივუდგეთ, მაშინ სიმეძობეობა თვითნებურად გავფართოვოთ კანონის შინაარსი!

მეორეც, საკითხავია, რაღა მაინცდამაინც „სხეულის მძიმე ან მსუბუქი დაზიანების მიმართ“ უშვებს კანონმდებელი „გაუფრთხილებლობით ბრალთან ერთად განზრახვის შესაძლებლობასაც“ და არ აკეთებს ამას 241-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შედეგების მიმართ? კანონმდებელს რომ 241-ე მუხლის მე-3 ნაწილში მართლაც არ უფულისხმია სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, იქიდანაც ჩანს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 8-ე (მძიმე

¹ იხ. ჯ. ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, 1977, გვ. 70.

დანაშაულის ცნება), 12-ე (არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა), 25-ე (პირობითი თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით) და 44-ე (განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი) მუხლებში, რომლებშიც მოხსენიებულია სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, მითითებულია მხოლოდ 110-ე მუხლზე და არ არის დასახელებული 241-ე მუხლი. დაუჭრებელია, რომ კანონმდებელს ოთხივე შემოსხენებულ შემთხვევაში გამოჩენილი 241-ე მუხლზე მითითება.

მესამეც, 241-ე მუხლი ავტოტრანსპორტის მეშვეობით სხეულის განზრახ მძიმე ან მსუბუქ დაზიანებას კიდევაც რომ მოიცავდეს, მაინც შეუძლებელია ამ მოქმედების დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირება, რადგან 241-ე მუხლი 110-ე და 112-ე მუხლების მიმართ სპეციალური მუხლი იქნებოდა, ხოლო ზოგადი და სპეციალური მუხლების კონკურენციაში, როგორც ვიცით, სპეციალური მუხლი იმარჯვებს. ასე, რომ სპეციალობის პრინციპის მიხედვით ხსენებული მოქმედება ნარტო 241-ე მუხლით უნდა დაგვეკვალიფიცირებინა, როგორც ამას ვაკეთებთ გაუფრთხილებლობის დროს. 241-ე მუხლი 108-ე მუხლის სპეციალური შემთხვევაა. ამიტომ არის, რომ ავტოტრანსპორტის მეშვეობით გაუფრთხილებლობით მკვლელობას მხოლოდ 241-ე მუხლით ვაკვალიფიცირებთ და 108-ე მუხლით კვალიფიკაციის საკითხი ამ შემთხვევაში არც კი დგება.

ასე რომ, 241-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა მხოლოდ და მხოლოდ გაუფრთხილებლობით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ამიტომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ამ საკითხისა, ვიდრე აღნაშნული შეუსაბამოა საქონლმდებლო წესით არ მოგვარებულა, ჩემი აზრით. მაინც ის უნდა იყოს, რომ კანონის ლოგიკური განმარტებით, სასამართლომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე ან მსუბუქი დაზიანების ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამოწვევასათვის არ უნდა დანიშნოს იმაზე მეტი სასჯელი, რაც ამ შედეგების განზრახ გამოწვევისათვის არის გათვალისწინებული 110-ე, 112-ე და 157-ე მუხლებით.

ორიოდე სიტყვით კოდექსის ენასაც მინდა შევეხო. რატომღაც ჩვენში კანონის ენობრივ ქსოვილს ნაკლები ყურადღება ექცევა. თუ მეხსიერება არ მალატობს, ქართულად არც არაფერი დაწერილა ამ საკითხზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ეტყობა თავდაპირველად რუსულად ყოფილა დაწერილი და მხოლოდ შემდეგ უთარგმნიათ ქართულად. ცუდ თარგმანს კი უარყოფითი კვალი დაუმჩნევია ქართული ტექსტის ენობრივ ღირებებაზე.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოდექსის ზოგადი ნაწილი, მცირეოდენი დამატებების გარდა, საკავშირო კანონმდებლობიდან არის აღებული („ხაფუძვლები“) და ამიტომ ამ ნაწილში თარგმანს მაინც ვერ ავცდებოდით. ასეა თუ ისე, როგორც იტყვა, ჩვენ ვერ უზრუნველყავით კოდექსის ნორმალური ქართული თარგმანა, ვერ გამოვიყენეთ ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი. ამის გამოა, რომ კოდექსში შეიმჩნევა ზედმეტსიტყვაობა, ყოველთვის ვერ არის მოძებნილი ამა თუ იმ რუსული სიტყვის ზუსტი ქართული შესატყვისი და სხვა.

ზოგჯერ ენობრივი უზუსტობანი სცილდება წმინდა ლინგვისტურ სფეროს და არსებითს მნიშვნელობას იძენს, რაც წარმოქმნის შინაარსობრივ განსხვავებას კოდექსის ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის და შეუძლია გააძნელოს კანონის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომ აუცილებელია ამ ენობრივი ლაფსუსების გამოვლენა ჩვენი საქონლმდებლო ენის დახვეწის მიზნით. მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ ტიპურ მაგალიტს.

სანიმუშოდ შეიძლება დავასაწილოთ სიტყვა „პირი“, რომელიც კოდექსში ხშირად უადგილო ადგილას არის ნახმარი. მაგალიტად. 203-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „პირის გაქცევა პატიმრობიდან ან თავისუფლების მოხდის ადგილიდან“. ეს არის რუსული ტექსტის სიტყვისიტყვითი თარგმანი: «побег лица из-под стражи или с места отбывания лишения свободы».

ამ წინადადების თარგმნის დროს რომ სიტყვა „პირი“ უკუგვედლო, ქართული ტექსტი ასეუ სახეს მიიღებდა: „პატიმრობიდან ან თავისუფლების ადგილის მოხდის ადგილიდან გაქცევა“.



კოდექსში ხშირად არის ნახმარი გამოთქმა — „იმ პირის მიერ“, მაგალითად, „ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნაშუოფია სამართალში მექრთამეობისათვის“ (მ. 190-ე). აქ შეიძლება სიტყვა „პირი“ ამოგვეგდო და უბრალოდ, ლაკონურად გვეთქვა: „ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმის მიერ, ვინც ადრე ნაშუოფია სამართალში მექრთამეობისათვის“.

ამავე მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: „ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან...“ სიტყვა „პირი“ აქაც ზედმეტია, უნდა იყოს: „ქრთამის მიმცემი თავისუფლდება...“ და ა. შ.

„ვენერიული სენის შეყრა სხვა პირისათვის იმ პირის მიერ...“ ან კიდევ: „იმ მუხლის შესახებ ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც გასამართლებული იყო სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრის გამო...“ (მ. 122-ე). ნაშ შეიძლება, რომ ბრძანდ არ მივეყოლოდით რუსულ ტექსტს და გვეთქვა: „ვენერიული სენის შეყრა სხვისთვის იმის მიერ, ვინც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა“, ან „...ჩადენილი იმის მიერ, ვინც ადრე გასამართლებული იყო სხვისთვის ვენერიული სენის შეყრის გამო...“ და ა. შ.

კოდექსში ხშირად გვხვდება გამოთქმა „პირთა ჭგუფა“ (მმ 150-ე, 151-ე, 152-ე და ა. შ.). რატომ არ შეიძლება უბრალოდ გვეხმარა „ჭგუფი“, „ჭგუფის მიერ“, „ჭგუფურად“ და სხვ. ან კიდევ: ნაცვლად „მოქალაქეთა პირადი ქონებისა“, ასევე შეიძლება გვეთქვა, „პირადი ქონება“. აქ სიტყვა „მოქალაქეთა“ სრულიად ზედმეტია.

196-ე მუხლის სათაურია — შეგნებულად ცრუ დასმენა. იგივე მეორდება მუხლის დისპოზიციამდე — შეგნებულად ცრუ დასმენა დანაშაულის ჩადენის შესახებ. ანალოგიურია 197-ე მუხლის დისპოზიციაც — მოწმის ან დაზარალებულის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა... როგორც ჩანს, მთარგმნელს სიტყვასიტყვით გადმოუღია რუსული «заведено ложный донос», «заведено ложное показание», «заведено ложное заключение эксперта». და არ გაუთვალისწინებია ქართული ენის თავისებურება.

ქართულ ენაში „სიყალბე“ და „სიცრუე“ ყოველთვის „შეგნებულია“, „განზრახია“. „შეუგნებელია“ „სიყალბე“ და „სიცრუე“ უკვე აღარ არის არც სიცრუე და არც სიყალბე. მაგალითად, თუ მოწმე დაწმუნებულთა სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების სისწორეში, მაგრამ მისი ნაღაპარაკევი არ შეესაბამება სინამდვილეს, ეს ცრუ ჩვენება კი არა, არასწორი ჩვენებაა. იგივე ითქმის შეგნებულად ცრუ დასმენისა და შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემის შესახებაც, რადგან „შეუგნებელი“ სიყალბე წარმოუდგენელია. ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს არა შეგნებულად ცრუ დასმენა, არამედ უბრალოდ — ცრუ დასმენა, შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა კი არა, ყალბი დასკვნა და ა. შ.

კოდექსში რუსული «Существенный вред» ხან თარგმნილია როგორც „არსებითი ზიანი“ (მმ 186-ე, 187-ე), ხან კი როგორც „წინაშენლოვანი ზიანი“ (მმ 188-ე, 220-ე). ჩვენი კოდექსის 186-ე, 187-ე და 188-ე მუხლების რუსული რედაქციის მიხედვით ჩანს, რომ კანონმდებელს ზიანის ცნება ამ მუხლებში ერთნაირად აქვს განსაზღვრული. ეს ლოგიკურია. ხსენებული მუხლები სისტემატიკის თვალსაზრისით ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ისინი ბუნებრივად მოითხოვენ ზიანის ცნების ერთნაირ გაგებას. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობდა სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას ამ საკითხში. დასახლებულ მუხლებში ზიანის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა დამატებით სიმწიფეებს უქმნის სასამართლოს, რადგან, ნაცვლად ერთი შეფასებითი ცნებისა, რომელიც ისედაც რთული დასადგენია პრაქტიკაში, კანონს შემოაქვს ორი შეფასებითი ცნება, მაშინ როცა ამის აუცილებლობა, ვფიქრობ, სრულიადაც არ იყო.

ეს ორივე ენობრივი შენიშვნა, რომლებიც აქ მხოლოდ ხანმოშუოდ მოვიყვანეთ; ნაწილად მოწმობს, რომ საკანონმდებლო ენა სპეციალურ შესწავლას და გაანალიზებას საჭიროებს. ხაზს უსვამს, ჩვენ, ქართველ სწავლულ იურისტებს, ეს საკითხი თითქმის უუპურადღებოდ ვგაქვს მიტოვებული.

მაგრამ ვანა მართლ საკანონმდებლო ენისა და სტილის შესახებ ითქმის ეს საზოგადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზეც არ დაწეროდა ქართულად რაიმე სპეციალური გამოკვლევა. გასაკეთებელი კი ამ მხრივ ძალიან ბევრია.

საკანონმდებლო მუშაობა ფრიალ სერიოზული და რთული საქმეა, რაც სპეციალურ განათლებას, დიდ გამოცდილებას, ცხოვრების ცოდნას, კანონ-პროექტის შინაარსის ღრმად გააზრებას და საფუძვლიან განხილვას მოითხოვს. აჩქარება ამ საკითხში არ გამოგვადგება.

ხალხის სოციალურ გუნდაში

მ. გორგოლაძე

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი

10 ნოემბერს ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა საბჭოთა მილიციის დღე. ეს ზეიმი ყოველთვის ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულს, რადგან სწორედ ძლევამოსილი რევოლუციის გამარჯვების მესამე დღიდან იწყება მუშურ-გლეხური მილიციის სახელოვანი ისტორია.

წელს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად თავიანთი ტრადიციული დღე აღნიშნეს სასიხარულო ვითარებაში. წარმატებით ხორციელდება მათე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ვალდებულებები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებმაც სამშობლოს უბატაკეს ჯერ არნახული მიჯნების დალაშქვრა.

ხალხის შრომითს მიღწევებში უდავოდ არის შინაგან საქმეთა ორგანოების წვლილიც, ვინაიდან საბჭოთა საქართველოს მილიცია თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს, რათა მშრომელებს ჰქონდეთ ნორმალური შრომისა და დასვენების პირობები.

ზეიმისწინა დღეებში ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ თანამშრომელმა მთხოვა ყურნალის მკითხველებისათვის შეამზნა ჩვენი რესპუბლიკის მილიციის ერთ-ერთი შენაერთის შესახებ, მის ისტორიაზე, გამოჩენილ ადამიანებზე, მის დღევანდებლობაზე, მომავალ პერსპექტივებზე. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩემი არჩევანი თბილისის, ჩვენი დედაქალაქის მილიციაზე შეჩერდა.

თავის ისტორიის მანძილზე დედაქალაქის მილიცია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად განიცდიდა საერთო მიღწევების სიხარულსა და წარუმატებლობის წუხილს. ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველთვის უხილავი ფრონტის მოწინავე ხაზზე იდგა. მისი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელსუფლების გამარჯვებისა და მისი შემდგომი განმტკიცების ისტორიასთან.

1921 წლის 26 თებერვალს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიითითებით, თბილისის რევოლუციურმა კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე განიხილა მილიციის შექმნის საკითხი. რევოლუციური კომიტეტის მიერ დანიშნულ ქალაქის მილიციის უფროსს ემორჩილებოდა მილიციის 13 კომისარიატი.

„ხალხის მიერ თქვენთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, — წერდა მაჰინ გაზეთი „კავკასუსკაია კომუნა“, — იყოვეთ სათანადო სიმაღლეზე... გამოიჩინეთ საკმაო ძალა რათა უდარაჯთო წესრიგსა და სამართლიანობას. გახსოვდეთ — საბჭოთა ხელისუფლება არ ინდობს წესრიგის მტრებს და მოძალადეებს.“

საბჭოთა საქართველოს მიერ მემკვიდრეობით მიღებული გაჩანაგებული სახალხო მეურნეობა არ იძლეოდა ნორმალური ცხოვრების საშუალებას. უჭირდა მილიციასაც.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ქ. თბილისის მუშურ-გლეხური მილიციის პირველი უფროსი მ. მხვიტი წერდა:

— „მატერიალური მდგომარეობა მილიციისა აუტანელია: მილიციას არა აქვს ტანსაც-

მელი და ფესხაცმელი. ვარდა ერთი გირვანქა პურისა და მცირე სადილისა... საჭიროა მილიციის მიეცეს ტანისამოსი და საკვები. ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებულო, რომ, თუ მილიცია იქნება უზრუნველყოფილი მატერიალურად, მისი ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა ძალაუფლების განსამტკიცებლად მომავალში გაორკეცებული იქნება“.

მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად დედაქალაქის მილიცია მეკრძლით იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს.

იმხანად არსდებოდა სისხლის სამართლის საგამოძიებო მილიცია და მის პირველ უფროსად დაინიშნა შემდგომში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი კოტე მეღვინეთუხუცესი.

ამ პერიოდში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა ბანდიტთა ათობით ორგანიზებული ჯგუფები. პოლიტიკურ ბანდიტებთან ბრძოლამ ბევრი უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა. ამ ფრონტზე იქნა გადასარდოლი მილიციის მთელი ძალები. შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები (ჩონი). თბილისის მილიციამ იმ ხანებში გაანადგურა „ქველიანელი ქოსას“ სახელით ცნობილი ი. დიდგამაშვილის ბანდა.

1922 წლის აგვისტოში საქართველოში არსებული ანტისაბჭოთა პარტიები გეგმობდნენ და შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. რომლის მთავარი დასაყრდენი ძალა იყო მეფის არმიის ოფიცრობა, თავადაზნაურობა და სამღვდლოება. კომიტეტს კავშირი ჰქონდა ბანდიტურ ჯგუფთან, არალეგალურად მოქმედებდა და ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას.

აჯანყება დანიშნული იყო 1924 წელს 28 აგვისტოს — „მარიამობის დღეს“ მაგრამ იგი არსებითად ჩაიშალა. ივლის-აგვისტოში თბილისის მილიციამ დააპატიმრა „პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, ყოფილი მენშევიკური გვარდიის შტაბის უფროსი, მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. ჯუღელი და აჯანყების სხვა მოთავეები.

პოლიტიკური ბანდიტების ლიკვიდაციისა და სისხლის სამართლის დანაშაულები ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელი გაითქვეს თბილისის მილიციის თანამშრომლებმა შ. მალრადემ, ა. ჯაფარიძემ, ე. კვანტალიანმა და სხვებმა. ამავე დროს მილიციის ორგანოები განიცდიდნენ პარტიული კადრების ნაკლებობას. ამის თაობაზე თბილისის მაზრის მილიციის უფროსი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სთხოვდა, რომ მათთან სამუშაოდ გაეგზავნათ მცოდნე პარტიული ამხანაგები — „იმის გამო, რომ ასეთები არა გვყავს, პოლიტსამდივნო დღემდე არ მოგვიწვევიაო“, იტყობინებოდა იგი 1921 წლის 23 ივლისს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა. თბილისის მილიციაში შეიქმნა პარტიული უჯრედი, რომელმაც შემდგომში დიდი როლი შეასრულა პირად შემადგენლობაში პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის ამადლებსა და კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მტრულად განწყობილმა ელემენტებმა ხელი მიჰყვეს პროდუქტების გადაძალავას, სპეკულაციის, საბოტაჟსა და ძარცვას.

სპეკულაციამ აშკარა ხასიათი მიიღო თბილისში. 1921 წლის 30 მარტს მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ვაჭინილი სპეკულანტები და სასურსათო საქონლის გადამამღველნი: მირიანაშვილი, ნოვოსელცევი, აკოფჩანოვი, ბონდარენკო და სხვები. მათ რევოლუციურმა ტრიბუნალმა სასჯელის უმადლესი ღონისძიება — დახვრეტა მიუხაჯა.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ქალაქის მუშურ-გლეხური მილიცია დაუნდობლად ებრძოდა მეჭობამეებს, გამოძალავებებს, კომბინატორებს, ყველას, ვინც ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას.

ამ საქმეში თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა თბილისის მილიციამ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თავი იჩინა დეზერტირობამ, წითელი არმიის რიგებში გაწვევისათვის თავის არიდებამ. არმიაში გასაწვევთა ერთი ნაწილი მტრულად განწყობილი ელემენტების გაგლეხის ქვეშ მოექცა და თვითონვე ჩაება ანტისაბჭოთა გამოსვლაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით შეიქმნა დეზერტირობასთან მებრძოლი კომისია. თბილისის მილიცია აქაც მებრძოლთა წინა რიგებში იყო. პარალელურად დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა ქალაქის გაწმენდა საეკო ელემენტებისაგან.

სოციალიზმის მშენებლობის ფართოდ გაშლამ ახალი ამოცანები დაუხასია მუშურ-გლე-

ხურ მილიციას. 1922 წლის 10 სექტემბერს ზაბესის მშენებლობაზე მოწყობილ შაბათობაში თბილისის მილიციის გარნიზონის 500-ზე მეტი მუშაკი იღებდა მონაწილეობას. მილიციის მუშაკები მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხის გავრცელებაში. ღარბოდ ვიშალა მოძრაობა „წითელი მილიციის სახელობის ესკადროლი“ ასაგებად. ნაკისრი ვალდებულება 400 პროცენტით შეასრულეს თბილისის მილიციის მუშაკებმა. ამას გარდა, 1930 წელს მათ ორი ათასი მანეთი შეაგროვეს სახელმწიფო სოფლისათვის ტრაქტორის შესაძენად.

1930 წლიდან რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში იქმნებოდა მილიციის დამხმარე საზოგადოებები, რომლებშიც აქტიურად ებმებოდნენ კომუნისტები და კომკავშირელები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და აქტივისტები.

1931 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებათა შექმნის შესახებ“.

თბილისის მილიციის დამხმარე ბრიგადები 1000 კაცს აერთიანებდნენ. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელი შესრულებისათვის მილიციის მუშაკებს რაზმებად გაზეთი „წითელი მილიციელი“.

დედაქალაქის მილიციის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო სოციალისტური საკუთრების დაცვა. განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა მას შემდეგ, რაც 1937 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოსთან შეიქმნა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება. იმავე წელს თბილისის მილიციის მუშაკებმა ცენტრალურ უნივერსიტეტში 282 ათასი მანეთის გაფლანგვა აღმოაჩინეს.

ჯერ კიდევ 1923 წლის 28 ივნისში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო საგანგებო დადგენილება ქ. თბილისისა და მის მიდამოებში ავტომობილებისა და მოტოციკლების მოძრაობის მოწესრიგების შესახებ. მოძრაობის წესების დარღვევისათვის მძღოლებს 100 მანეთით აჯარიმებდნენ ან ერთი თვით საპრობილეში ათავსებდნენ. აღმინისტრაციული წესით დასჯა მძღოლს არ ათავისუფლებდა სისხლის სამართლის სასჯელისაგან, თუ დანაშაული ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა.

1935 წლის 11 მაისს საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო ავტონსპექციის შექმნის შესახებ. იმავე წელს მოძრაობის წესების დაცვაში ჩაება 60 საზოგადოებრივი ავტონსპექტორი.

დიდა ქართველი მილიციელების წვლილი დიდ სამამულო ომში. 1943 წელს ფრონტზე მოხალისედა წავიდა თბილისის მილიციის ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი ქალთა ქვედანაყოფი. ბევრი მათგანი აღარ დაბრუნებულა.

...ახლა, როცა 33 წელია რაც მშვიდობის პირობებში ვცხოვრობთ, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავისვენოთ სამამულო ომში დაღუპულები, აგრეთვე ბანდიტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაცემული ის მუშაკები, ვინც სისხლით იცავდა რევოლუციის მონაპოვარს. მათ შორის არიან ვლადიმერ მარდანი და კარაპეტ პოლოსიანი, ბესარიონ ჭეიშვილი და ალექსანდრე ნეჩიპურენკო და ბევრი სხვა.

სამამულო ომიდან გმირის ვარსკვლავით დაბრუნდნენ ვალაქტიონ რაზმაძე, ვლადიმერ ლურსმანაშვილი, ალექსანდრე პირიშისაშვილი და ალექსანდრე გურგენიძე. ასობით ჩვენმა მუშაკმა დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდო.

გმირული დღეების ესტაფეტა გრძელდება. დამნაშავეობასთან ბრძოლის სადავეები საიმედო ხელშია. თბილისის მიწას ჯერაც არ შეშრობია ახალგაზრდა ოფიცრების ანზორ ბურდულისა და ალექსანდრე რზაგოვის სისხლი. დედაქალაქის მილიციის სისხლის სამართლის სამსახურს განყოფილების თანამშრომლის რომან გვენცაძის გმირობა კი, რომელიც მან სამიში დამნაშავეის დაკავების დროს გამოიჩინა, წითელი ვარსკვლავის ორდენით აღინიშნა.

ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ მოდის ენერგიული, საქმის ერთგული ახალგაზრდა ცვლა, რომელიც მზად არის გაანაგრძოს ძველი თაობის სახელოვანი ტრადიციები.

თბილისის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში სულ ერთი წელია მოვიდა ახა-

ლგაზრდა ოფიციალურ, საჯარო ზედამხედველობის ინსპექტორი გიორგი აბაზაძე. მან უკვე დაასწრო რამდენიმე საშიში ბოროტმოქმედის დაკავება.

ლენინის რაიონში ბოროტმოქმედებმა დღისით გაძარცვეს შემანახველი სალაროს სეიფი. მოლარის ყვირილზე აბაზაძე ოპერატიული მანქანით დაედევნა დამნაშავეებს, რომლებსაც ნაძარცვი საკუთარი მანქანით მიჰქონდათ, წინ გადაუდგა და თავი საფრთხეში ჩაიგდო, მაგრამ დამნაშავენი დააკავა.

თბილისის ელმავალშენებელმა ქარხანამ დედაქალაქის მილიციაში სამუშაოდ რეკომენდაცია მისცა ქარხნის თანამშრომლებს: გ. ინდიკაურს, თ. ბარზილოვს, გ. ჯიბლაძეს, ა. ქართველიშვილს; ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ — ნ. ჟივადესა და ა. ჩხეიძეს. ეს ახალგაზრდები სულ რამდენიმე თვეა მუშაობენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და მათზე მხოლოდ კარგის თქმა შეიძლება.

ქებას იმსახურებენ ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ვივი ნაცვლიშვილი და მისი მოადგილე ნოდარ ცქრიალაშვილი, რომლებიც პარტიის თბილისის საქარხნო და კალინინის რაიკომების რეკომენდაციებით მოვიდნენ ჩვენთან.

მ. წ. ივლისში დააკავეს № 1 წინლის საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ ცვლის ოსტატი გმელიან მუქერია, კირთვის რაიონის არასაუწყებლო დაცვის დარაჯი კონსტანტინე ხიდაშელი და თბილისის მეხუთე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი რუსლან ორენკო, რომლებმაც 12.443 მანეთის ნეილონის ძაფი მოიპარეს.

ორიოდე სიტყვით სახელმწიფო ავტონისპექციის სამსახურის შესახებ


ბოლო ხანს თბილისში რამდენადმე გაიზარდა კერძო მფლობელობის მანქანების გატაცების შემთხვევები.

როგორც უნდა ავხსნათ ამ სახის დანაშაულის ზრდის გამომწვევი მიზეზები, ერთი რამ ცხადია: ინდივიდუალური სარგებლობის ტრანსპორტი ჩვენი ქალაქის სინამდვილეში აშკარად დაუცველია.

ქალაქის სადღეღამისო ავტოსადგომებს შეუძლიათ დიტიონ მხოლოდ პარკის სამი პროცენტი, ხოლო დღის სადგომებზე მხოლოდ ერთი პროცენტი ეტევა. ასეთ პირობებში ბუნებრივია სარბიელი ექმნება მანქანის გამტაცებლებს.

შინაგან საქმეთა ორგანოების მიმართ ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა.

ეს კი, მომავალი წარმატებების მტიცივე გარანტიაა.



ქართული ლიტერატურის ძეგლის

1500 წლისთავისათვის

საქორწინო საპარტალი V საუკუნის საქართველოში იაკობ ტყეგავაშვილის „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით

გიორგი ნაღარავაძე

„საგნის შეცნობა შეუძლებელია მისი ისტორიის გარეშე“ (ფრ. ენგელსი)

დღია „შუშანიკის მარტვილობის“, როგორც მხატვრული ლიტერატურის ძეგლის მნიშვნელობა. ათასწლეულის წლის წინათ დაწერილი ეს ლიტერატურული შედევრი დროთა სწრაფად ვერ დააქანო.

იაკობ ტყეგავაშვილის თხზულება ის ხელი-ხელ საგოგამანები ლიტერატურულ-ისტორიული წყაროდ არის, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს V საუკუნის საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა დონის და საქორწინო სამართლის შესასწავლად.

პირველყოფილისა შევჩერდეთ ქართული ქორწინების წესების შესახებ „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით.

ცნობილია, რომ ქორწინების ფორმები და ოჯახი საბოლოო ანგარიშით სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობებით განისაზღვრება. მონოგამიური ქორწინების წარმოშობა დაკავშირებული იყო კერძო საკუთრების, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მონოგამიური ქორწინების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სწორედ საწარმოო საშუალებებზე ხლდა წარმოშობილი კერძო საკუთრება იყო. თავისი დროისათვის როგორც კერძო საკუთრების, ასევე მონოგამიური ქორწინების წარმოშობას უთუოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ქორწინება იქცა ახალი, განვითარებისუნარიანი სოციალური ორგანიზმის აუცილებელ და შეტად მნიშვნელოვან ელემენტად და ნაწილად.

მონოგამიური ქორწინების ინსტიტუტის ისე, როგორც ის ასახულია „შუშანიკის მარტვილობაში“, უკვე განვითარების გრძელი გზა გამოუვლია. საერთოდ ქორწინებამ, ვიდრე იგი მონოგამიურ ფორმად ჩამოყალიბდებოდა, განვლო რთული და ხანგრძლივი, წინააღმდეგობებით აღსავსე ხანა.

მატრიარქატის ეპოქაში ქორწინებას მატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ამ დროს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა

ბა განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი ადგილით წარმოების საზოგადოებრივ პროცესში, რაც განმტკიცებული იყო სათანადო რელიგიურ წარმოდგენებით ქალის შესახებ.

სქესთა შორის შრომის ფუნქციების დანაწილების პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ადამიანის წარმოშობა დედის ხაზით იანგარიშებოდა. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ თავდაპირველად ბავშვის მამის გაურკვევლობის გამო მხოლოდ დედა შეიძლება ყოფილიყო მისთვის უახლოესი სისხლით ნათესავი. მამა არ ითვლებოდა შვილის ნათესავად, ახლობლად.

ძველ საბერძნეთში, მაგალითად, დაშვებული იყო ერთი მამიდან, მამრამ სხვადასხვა დედიდან წარმოშობილ და-ძმათა ცოლ-ქმრობა. ესაა იმ დროის გადმონაშთი, როდესაც ადამიანის წარმოშობა დედის ხაზით ითვლებოდა.

ახვედ იყო ძველ ებრაელებშიც სადაც მამით ერთ დაზე ძმას შეეძლო დაქორწინება, ხოლო დედით ერთი დის შერთვა სასტიკად იყო აკრძალული. ძველებრაული სამართლის ნორმების მიხედვით, ძმად ჩათვლებოდა მხოლოდ დედით ერთი ძმა. მამით ერთი ძმა კიდეც რომ მოეკლა ვისმე ძმა არ იყო ვალდებული შური ეძია ძმისათვის.

ისტორიკოსები ფიქრობდნენ, რომ უძველეს ხანაში — პირველყოფილი წყობილების დროს ქართველი ტომებისათვის იყო დამახასიათებელი მატრიარქალური წყობილება.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიის უძველეს ხანაში ეგრეთწოდებულ „მამახასილობის პერიოდში“, ქართველებს „აქვენდათ სჯულიცა უბოროტეს ყოველთა, რამეთუ არა იცოდენ ნათესაობა, არცა ცოლქმრობა“. მეცნიერი ბატონიშვილი თვლიდა, რომ „მამახასილობის ხა-



ნაში საქართველოში არ არსებობდა მონოგამიური ქორწინება.

ქართველ ტომებში დედის წყობის ანუ მატრიარქატის არსებობის მაჩვენებლად ითვლება დღესაც ხმარებაში მყოფი სიტყვა — „გუთნის დედა“, რომელიც უნდა მიგვიჩინებდეს თავის დროზე სამეურნეო საქმიანობაში დედაკაცის უპირატესობაზე. მატრიარქატის გამოსახულებად თვლიან აგრეთვე ქალ-ვაჟს შორის ორთაბრძოლას, როგორც ქორწინების პირობას. ეს უკანასკნელი გამონაკლისებაა უძველესი ეპოქის ჩვეულებისა და შემონახული ყოფილა XIX საუკუნეშიც კი დასავლეთ სომხეთსა და წინააზიაში. ქალი მხოლოდ იმას ირჩევს საქმროდ, ვინც მას აჭოლებს ორთაბრძოლაში.

სომხურმა ფოლკლორმა მავალითი შემოგვინახა ქორწინების ზემოხსენებული წესის შესახებ. ერთ-ერთი მათგანში მოთხრობილია ჭეფე ტრდაცისა და საპატარძლო ქალიშვილ რაფსიმეს ორთაბრძოლის შესახებ. მეფემ ვერ დაჯანა ორთაბრძოლაში ქალიშვილი, პირიქით, საპატარძლომ სძლია მეფეს და ამიტომაც ქორწინება ჩაიშალა.

ქართველ ტომთა ფოლკლორშიც ჩანს ზემოხსენებული ჩვეულების არსებობა. რაც შეეხება საცოლის ყიდვის ჩვეულებას, ამის შესახებ პირდაპირ არის შემონახული ცნობები სომეხ ისტორიკოსებთან.

ქართული ეპოსიდან — „ამირანიდან“, ჩანს რომ ქმარს შეიძლო სიკვდილის შემდეგ ცოლი სასურველ პირზე გაეთხოვებინა ანდერძის საშუალებით.

ეგრეთწოდებული ანდერძით ქორწინება ცნობილი იყო ძველ საბერძნეთშიც. ანდერძით ქორწინება იმით გამოიხატებოდა, რომ მშობელი ან ქმარი ტოვებდა ანდერძს, რომლითაც ავალდებულებდა შესაბამისად ქალიშვილს თუ ცოლს, გათხოვილიყო მონადერძისათვის სასურველ პიროვნებაზე.

ძველ ქართულ ფოლკლორში და მატრიარქატი იჩენ ვხვდებით ანდერძით ქორწინების გამოცხადებს, თუმცა ეს მოვლენა მერტად არქაულია. მიცვალებულის ანდერძის დარღვევა წინაპართა კულტის ძალით დიდი ცოდვაა. და ეპოსის გმირი ამირანიც გულმოადგინედ იცავს ამ ძველ წესს.

სალხური „ამირანის“ მიხედვით ამირანმა და მისმა ძმებმა ერთ-ერთი კოშკში იპოვეს გარდაცვლილი გმირი ცამცუმბი. მას ანდერძი დაეტოვებინა — „ვინც მე მომივიღის, დამ-

მარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ მისი“. ცამცუმს თავის ანდერძში მკაფიოდ აქვს გამოხატული განვითარებული პატრიარქატისათვის დამახასიათებელი შეხედულება ქალზე, როგორც ნივთზე.

გმირი ცამცუმბი სიკვდილის შემდეგაც ცოლს თავის საკუთრებად თვლის და რაშთან ერთად მეუღლესაც ასხვისებს იმაზე, ვინც მას დამარხავს.

ცამცუმბისათვის ცოლიც დაახლოებით ისეთივე სახის ქონებაა, როგორც რაში. ასე რომ, ოჯახში გაბატონებული მესაკუთრე ქმარი იჩემებს უფლებას სიკვდილის შემდეგაც თავისი სურვილის მიხედვით განაგოს ცოლის ბედობალი.

ქართველ ისტორიკოსს ჭუანჭერს მოთხრობილი აქვს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა მტრის წინააღმდეგ. ვახტანგ მეფეს ლაშქრობის წინ ასეთი შინაარსის ანდერძი დაუწერია: „უკეთუ აღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაა ჩემი ნუარანძე შეირთოს შირიან“...

ვახტანგ გორგასალი, როგორც ცნობილია, იაკობ ცურტაველის, შუშანიკისა და ვარქსენ პიტიაშის თანამედროვე იყო და, მაშასადამე, V საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ქალის მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში არ იყო სახარბიელო. რიგი ნიშნების მიხედვით ქალი სამართლის სუბიექტად კი არ გვევლინება, არამედ ობიექტად.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება ხასიათდება პატრიარქალურ-ფეოდალური საზოგადოების ნიშნებით. სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხსენებული საფეხურებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ყალიბით (ურვადი) ქორწინება. რაც ქვეყნებში ასეთ ვითარებაში დაიშვებოდა მრავალცოლიანობა მამაკაცებისათვის.

ბარის საქართველოში ურვადის არსებობა არ არის დადასტურებული სანდო ისტორიული წყაროებით. მაგრამ მთავი ურვადით ქორწინების წესი შესაძლოა იმის შესახებ მიგვითითებდეს, რომ იგი ოდესღაც, შორეულ ისტორიულ წარსულში, ბარშიც არსებობდა. ამასთან აქ ერთი გარემოებაც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. აღ. ყაზბეგის ცნობით „ყველა ჩვენი მთის ხალხისგან ხევსურები ერთის ჩვეულებით განირჩვიან და ეს ჩვეულება ურვადის მიუცემლობა არის, ე. ი. ხევსურეთში საქმრო არ აღდევს ქალის პატრონებს ქალის ფასს“.¹

1. აღ. ყაზბეგი. „მოხევეები და იმათი ცხოვრება. თხზულებანი, ტ. V, თბილისი 1950, 33-37.

შეიძლება კი დავუშვათ, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ურავალი ქორწინება საერთოდ არასოდეს არ იყო ცნობილი? მართალია, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო მასალები არ არის საქმარხი უტყუარი დასკვნის გამოსატანად, მაგრამ მეტი საფუძველია გულგებისათვის, რომ საქართველოში წინაქრისტიანულ ხანაში ყალიბით ქორწინების რაღაც სახეობა უნდა არსებულებოდა, რომელიც შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამ და საზოგადოებამ დავმო და აღმოფხვრა.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოში და სომხეთში ძლიერი იყო თემურ-პატრიარქალური წყობის ნიშნები, სირიელი ენოხტიკოსის ვარდენანის (ახ. წ. II ს.) ცნობით იმდროინდელ სომხეთში არსებობდა კერძო შურისძიების უფლება. მკვლევებს ასამართლებდნენ სასამართლო ან მოკლულის ნათესავები, და საერთოდ მთელი ოჯახი იყო პასუხისმგებელი მისი წუკრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ქმარს დაუხჭამად შეეძლო ცოლის, შვილის, უშვილო ძმის ან ღის მოკვლა.²

IV—V საუკუნეების საქართველოსა და სომხეთში ადრეფეოდალური საზოგადოება გარკვეულად პატრიარქალური წყობის გარსშია გახვეული.

კოლხეთსა და იბერიაში უკვე წარმართულ ხანაში უნდა ყოფილიყო გაბატონებული ქორწინების მონოგამიური ფორმა.

IV საუკუნისათვის ქართლში აღვილი ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობის ბროგურსულ მოვლენას — ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებას.

ამიერიდან ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოძღვრება უზარმაზარ გავლენას ახდენს საქორწინო და საოჯახო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრებაზე და ამასთან ერთად ითვლება მორალითა და სამართლის თეორიულ საფუძვლადაც. ახალმა რელიგიამ უნივერსალურად მოიცვა ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო.

ქრისტიანობას თან მოჰქონდა მონოგამიური ქორწინების განმტკიცება და განქორწინების მკაცრად შეზღუდვა. ქრისტიანულმა ეკლესიამ მტკიცე მონოგამია და უკანონო განქორწინების დაუშვებლობა გამოაცხადა ერისკაცთა ცხოვრების პრინციპად.

ამასთან თავდაპირველად საქართველოშიც ებისკოპოსებსაც ჰქონდათ ცოლის შერთვის

უფლება. აღმოსავლეთის ქრისტიანულმა ეკლესიამ ებისკოპოსთა ცოლიანობა მხოლოდ მოგვიანებით აკრძალა. ადრეულ ხანაში ცოლიანობა „სწმინდეს“ არ უშლავდა ებისკოპოსს და, რა თქმა უნდა, შვილების ყოლაც ცოლად არ ითვლებოდა.

საქართველოში ადრე ქრისტიანულ ებოქაში კარგა ხანს ყოფილან ცოლიანი ებისკოპოსები, როგორც ამის შესახებ ნათქვამია მატებრდის მატეანეში. სანამ საქართველოში ცოლიანი ებისკოპოსები იყვნენ, ეს თანამდებობა მამიდან შვილზე გადადიოდა მემკვიდრეობით.

V საუკუნეში, როდესაც დაიწერა იაკობ ცურტაველის თხზულება, ცოლიანი ებისკოპოსები ჰერ კიდევ უნდა ყოფილიყვნენ.

იაკობ ცურტაველის თხზულება — „შუშანიკის მარტილობა“ დაწერილია V საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 475 წ. ახლო ხანებში. თხზულების ავტორი იყო სახელმწიფოს განაპირა კუთხის მმართველის ვარქსენ პიტაიანის კარის მღვდელი — თავისი დროისათვის განათლებული პირი და ნიჭიერი მწერალი.

იაკობ ცურტაველის თხზულებაში ცენტრალური ყურადღება აქვს დათმობილი ვარქსენ პიტაიანის მეუღლის ვარდანუშის, სააღერსო სახელით შუშანიკის ტრაგიკულ ბედს, რომელიც თავისი ქმრის განუსაზღვრელი ძალაუფლების მსხვერპლი გახდა.

შუშანიკი სახელგანთქმული სომეხი სახელმწიფო მოღვაწის — ვარდან მამიკონიანის ასული იყო. მამიკონიანეა წარმოსმობთ ჭაპუჭი მოსახლეობის წრიდან იყვნენ გამოსულნი. მამიკონიანების საბატონოც ჭოროსის მხარეში მდებარეობდა. ამიტომაც ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ შუშანიკს უკვე გათხოვებამდე კარგად უნდა სცოდნოდა სომხურის ცარდა ქართულიც.

იაკობ ცურტაველის თხზულების მიხედვით V საუკუნის ქართლში უკვე არსებობს ფეოდალური საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი ოჯახური წყობით, სადაც ქალი მამაკაცის პატრიარქალური საოჯახო ხელისუფლების მძიმე უღელს ატარებს.

იაკობ ცურტაველს აღწერილი არა აქვს, თუ რა ბირობებში მოხდა შერთვის პიტაიანის ვარქსენისა და სომეხთა სპასპეტის ასულის — შუშანიკის შეუღლება. საფიქრებელია, რომ იგი არ იყო მათი ურთიერთსიყვარულის შედეგი. უფრო მეტიც, შესაძლოა, რომ პატრიარქალური საქორწინო ჩვეულების

² Г. А. Халатьянц, Очерки истории Армении, М., 1910, стр. 328—329.



მიხედვით ვარქენს რაღაც ფორმით უაღრესად კი ჰქონდა მიტანილი საცოლის მშობლებისათვის.

გასაგებია, რომ V საუკუნის სომხეთში ქალები ან სულ არ ღებულობდნენ მშობლებს, ან ღებულობდნენ მშობლებს ჩანასახოვანი ფორმის სახით — სრულიად უმწიშვნელო ღირებულების ქონებას. უაღრესად მეშვეობით ცოლის ყიდვა კი, როგორც ასეთი, განვითარების განსაზღვრული საფეხურის დამახასიათებელი მოვლენა იყო როგორც ინდოევროპული წარმოშობის, ასევე სხვა ხალხებისათვისაც.

მშობლები ქალის დამოუკიდებლობის ბაზაა ოჯახში. როდესაც ქალი მშობლებს ღებულობს, ის უყვე პიროვნებაა, ნივთის შესაქურთრეა. მშობლები არის ქალის პიროვნება გამოხატული გარესამყაროში.

ყოველ შემთხვევაში, არა ჩანს, რომ შუშანიკს მშობლები მოეტანოს ქმრის სახლში, რაც ზემოთქმულის გულგებას უფრო მეტად დასაშვებად ხდის.

გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ სომხეთში ხსენებულ ეპოქაში არსებულა მემკვიდრეობის ადიაფეტური წესი და ქალის საცოლედ გაყიდვა.

VI საუკუნეში ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე თავის ნოველებში კრძალავდა ერთსაც და მეორესაც, როგორც „ბარბაროსულ“ ჩვეულებას.

საფიქრებელია, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ იმიტომ აკრძალა მემკვიდრეობის ადიაფეტური წესი სომხეთში, რომ ბიზანტიელ არისტოკრატებს, რომლებიც სომეხ ნაწარაითა ახლდნენ ირთავდნენ ცოლებად, ჰქონდათ შესაძლებლობა ცოლის ნათესავებიდან მიეღოთ მემკვიდრეობა.³

იუსტინიანეს ნოველების მიხედვით ქალი სომხეთში მემკვიდრეობის უფლებით არ სარგებლობდა ოჯახში. ერთი სიტყვით, ქონებრივი უფლებების სფეროში ქალი ფრთხილად იყო.

ქალის უფლებებობა ქონებრივი ურთიერთობის სფეროში იწვევს მის უფლებებობას პირადი ურთიერთობის სფეროშიც. ეს გარემოება ერთნელ კიდევ დასტურდება იაკობ ცურტაველის თხზულების „შუშანიკის მარტილობით“, სადაც ცოლ-ქმრობა წარმოდგენილია, როგორც ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა.

ქორწინების წესის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, რომ საქმრო აძლევს საცოლეს საჩუქრად რაღაც სამკაულს, ალბათ

დაწინდვის დროს. პიტიახს ცოლისათვის გადაცემული სამკაული მაინცა მათ შორის ცოლქმრული ურთიერთობის ატრიბუტად, და როდესაც ეს ურთიერთობა დაირღვევა, იგი ამ სამკაულს უკანვე გამოითხოვს.

ვარქენს პიტიახსში ეუბნება იაკობ ხუცესს: „უწყია ხუცეს, მე ბრძოლად წარვად მიწაზე და ზედა და ჩემი სამკაული მას არ დაუტოვო, რადგან იგი არა ჩემი ცოლი არს, — იმოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მოვედ მობრძთე იგი ყოველივე, რაიცა რაა არს“.

იაკობ ცურტაველის ხელით შუშანიკმა მართლაც უკანვე დაუბრუნა პიტიახსს ქორწინების დროს მისგან მიღებული სამკაული.

ვარქენსა მიიღო რა უკან შუშანიკისაგან სამკაულები, იაკობ ცურტაველს უთხრა: „მერმეცა იმოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სამკაულთა სახით საცოლისათვის საჩუქრების მიღება სავალდებულოდ ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში, წარჩინებულთა შორის მაინც. საფიქრებელია, შუშანიკს რომ რაიმე დიდი ღირებულების მშობლები მიეღო, მაშინ ქმრისათვის სამკაულების დაბრუნების შემდეგ, იგი მას უკანვე გამოითხოვდა, მისი ქმრის სურვილის საწინააღმდეგოდ, ვთქვათ, საეკლესიო დღისმსახურებისათვის მოხმარების მიზნით.

საყურადღებოა, რომ იაკობ ცურტაველი ვარქენს პიტიახსის მიერ ცოლისათვის მიცემული სამკაულს არც ნიშანს ეძახის და არც წინდს.

შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს, თუ რით არის გამოწვეული ეს გარემოება. ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ნიშანი, იგივე წინდი, იყო ის ნივთი, რომელსაც სარძლოს მიუტანდნენ, როგორც მომავალი ქორწინების გარანტიას.

თავდაპირველად ქართლში „წინდი“, სიტყვა იხმარებოდა. დაწინდვა ნიშნავდა მომავალ საცოლქმრობა უზრუნველყოფელი ნიშნების გადაცემას. სპარსული წარმოშობის სიტყვა ნიშანი უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. ჩვეულებრივ სახიძო მამა სახიძლოს მამას ქალს სთხოვდა სარძლოდ, თუ სახიძლოს მამა დათანხმდებოდა, ასეთ წინასწარ შეთანხმებას მომავალი ქორწინების შესახებ „დაწინდვა“ ერქვა. ნიშნობა ანუ დაწინდვა ქორწინების წინასწარ — საფეხურს წარმოადგენდა. „წინდი“ ერთი მხრივ დებობის მხრივ კრედიტორისათვის საწინასწარ

³ Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, 1908.

იყო, ხოლო სხვა მნიშვნელობით — სასიძოს ან მისი წარმომადგენლის მიერ სასძლოსათვის ან მისი მშობლებისათვის მომავალი საქორწინო ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფელი ქონება.

ძველ ქართულში „წინდი“ მართო ვადის გადახდის უზრუნველყოფელ „მძევალს“ კი არ ნიშნავდა, არამედ საერთოდ ყოველგვარი ვალდებულებითი შეთანხმებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფისათვის მიცემულ ნივთს. ნიშანი ის ნივთი იყო, რომელიც მომავალ საცოლქმროთა დაქორწინებას უზრუნველყოფდა. ქალის მხრივ პირობის დარღვევის შემთხვევაში ნიშანი ისევ მიმცემს უნდა დაბრუნებოდა.

ნიშნობის დროს საქმრო აძლევდა საცოლეს ბეჭედს, საყურეს, რიდეს, პირბადეს, დანას და ამით მას ნიშანს ადებდა და დაწინადაცდა, თიფქოს იმ მიზნით, რომ შემდგომში ის უნდა ეყიდა. ყოველთვის ეს მოგვაგონებდა წინასწარი ნასყიდობის დროს ბეს მიტანას გამყიდველისათვის.

ნიშანი ქორწინების დარღვევის შემთხვევაში უნდა დაბრუნებოდა ქმარს.

იაკობ ცურტაველის თხზულებაში სამკაულის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ბეჭედი, საყურე ან სხვა რამ ძვირფასი ნივთი.

ჩვენი აზრით, შუშანიკს რომ რაიმე მნიშვნელოვანი ღირებულების მშითვეი მიეღო, მაშინ ქმრისათვის სამკაულების დაბრუნების შემდეგ, იგი მას უკანვე გამოითხოვდა. თუნდაც პიტიახშისთვის სამაგიეროს მიზღვის მიზნით.

მკვლევარი ა. კლიძიანი გერმანულად დაწერილ ნაშრომში „სომხური საქორწინო სამართალი“⁴ ცდილობს ექვი შეიტანოს იმპერატორ უსტინიანეს ნოველებში შემონახული ცნობების სისწორეში. ამასთან დაკავშირებით ის იმორჩებს 447 წელს მიწვეული შამპიონის საკულესიო კრების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ვინც უშვილობის მიზეზით გაშორდებოდა ცოლს, მას ცოლისათვის უკანვე უნდა გაეტანებინა ყველაფერი ის, რაც თან ჰქონდა მოტანილი. ვინც ცოლს უმიზეზოდ გასცილდებოდა, ცოლისათვის უნდა დაებრუნებინა მისი ნივთები და გარდა ამისა საუბატოოდ უნდა გადაეხადა, თუ თავისუფალი იყო, 1200 დრამა, და თუ გლეხი — 600 დრამა.

ა. კლიძიანის აზრით იმპერატორ იუსტი-

ნიანეს ნოველები მხოლოდ დემაგოგიური მიზნით ამტკიცებენ, სომხები ქალებს არაფერს არ აძლევდნენ.

ა. კლიძიანის მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. ცხადია, წარჩინებულთა წრის ქალები რაღაც მცირე ღირებულების ნივთებს დებულობენ საჩუქრად, როგორც ამას ა. კლიძიანიც ადასტურებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს განვითარებული სახით მშითვის ინსტიტუტის არსებობას. ცხადია, V საუკუნის სომხეთში ქალი მამაკაცის თანაბარი უფლებებით ვერ ისარგებლებდა ოჯახის ქონების მემკვიდრეობის სფეროში.

ასევე იყო III-V საუკუნეების სპარსეთშიც. თანაც სპარსული სამართლის მიხედვით ქმარს უფლება ჰქონდა ურჩი ცოლის-მოკვლისა და გაყიდვისა.

„შუშანიკის მარტილობის“ მთავარი არენაა ქვემო ქართლი, რომელსაც ისტორიულ წყაროებში გუგარქი ან გუგარეთი ერქვა. ეს მხარე მაშინ ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა, მაგრამ იმ დროს აქ ნარევი — (ქართულ-სომხური) მოსახლეობაა. ქვემო ქართლში მოსალოდნელია, რომ საქორწინო ჩვეულებებიც გარკვეულად ნარევი ქართულ-სომხური იყო, მაგრამ, რაც მთავარია, აქ უკვე ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ნორმები ჰქონდათ მიღებული, ხოლო ქრისტიანული საქორწინო სამართლის ნორმები გაცილებით უფრო მაღალგანვითარებული იყო, ვიდრე სპარსულ-წარმართული, მაშდენაურ-ცეცხლთყვანისცემლური. ქრისტიანული საქორწინო მორალი და სამართალი უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ზოროასტრული.

„შუშანიკის მარტილობის“ მოკლე სომხური რედაქციის მიხედვით, ვარქსენს ბრალად ედება სისხლის აღრევა — ასულთან ცხოვრება: ვარქსენი „შიშითა კაცთაჲთა გინათუ ნეფსით (თხზით) ასულის, თვისსათჳს შეღარდა მოგულებასა და აღიარა ზარდაშტენი შჯული, რომელსა არა დაემორჩილა წმიდაჲ შუშანიკ, რამეთუ ამხლებნ მას და წინა უყოფდა ღმერთსა და სარჩელსა სიმართლისასა ბოროტის მოქმედათჳს. ხოლო იგი უფრომდა ადგანებოდა გულისა წყრომითა მხილებისა მისისათჳს და უშჯულომსა საწოლისათჳს.“

იაკობ ცურტაველის თხზულების ქართულ ტექსტში ეს ადგილი აღარ ჩანს.

ვრცელ სომხურ რედაქციაში მეორდება ეს

⁴ A. Klidschjan, Das armenische Eherecht, გვ. 367-368.

5. იხ. იაკობ ცურტაველი „მარტილობაჲ შუშანიკის: ქართული და სომხური ტექსტები. გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძებლები დაურთო ილია აბულაძემ. 1938, გვ. 50.



საშინელი ბრალდება ვარქსენ პიტიაშვის მიმართ, მაგრამ არა თხზულების დასაწყისში, არამედ თხრობაში, სხვა ადგილას. იაკობ ხუციანი ეკითხება დედოფალ შუშანიკს, თუ რა გადაწყვეტილება აქვს მას მიღებული ვარქსენის გამაზღვანებასთან დაკავშირებით, რომელსაც, თრქოვს, ასულის ცოლად შერთვა ჰქონია აზრად: „შერთებისათვის თვისისა, ასულისათვის მის, რომელი ეგულებოდა ცოლებად სპარსთა ზეგულისაებრ.“⁶

არც ესაა ქართულის შესაბამის ადგილას.⁷ საფიქრებელია, რომ ეს უმძიმესი ბრალდება ვარქსენის მისამართით ერთ ღროს ქართულ ტექსტშიც იყო და იქიდან გადავიდა სომხურშიც, მაგრამ შემდეგში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ თხზულებიდან ეს ადგილი ამოეღოთ. ძველქართულ მორალს იმდენად ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ბრალდება, რომ თუნდაც ქრისტიანული სარწმუნოების მოღალატე ქართველი ფეოდალის მიმართ მისი წამოყენება სამღვდლოებამ უჩერებულად და მიუღებლად ჩათვალოდა ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ჩვენ აქ მასზე დაწვრილებით ვერ შევიჩერდებით.

ახლა შევეხოთ საგანქორწინებო სამართლის საკითხებსაც. წინაქრისტიანულ საქართველოში განქორწინების წესების შესახებ დუმს როგორც უცხოური, ისე ქართული წყაროები. რაც შეეხება ქრისტიანული ხანის საქართველოში განქორწინების წესებს, ამის შესახებ ჩვენ გარკვეული მასალა მოგვეპოვება. იაკობ ცურტაველის თხზულებაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, ვერ ვპოულობთ, განქორწინების წესას, პირველყოვლისა ლეგალიზებული აღწერას.

მარტვილობის მიხედვით შუშანიკი უარს ამბობს ვარქსენის ცოლობაზე სარწმუნოებრივი მოტივით.

თხზულებიდან ჩანს, რომ ვარქსენი თვითნებობს და არავითარი ქართული კანონმდებლობით ან ხელისუფლებით შეზღუდული არ არის. როგორც სამართლიანად შენიშნა კ. კეკელიძემ, შესაძლოა, რომ ვარქსენის თვითნებობისა და თარეშის დრო საქართველოში ვახტანგ გორგასალის არყოფნას ემთხვეოდა, როცა ეს უკანასკნელი სპარსეთში იმყოფებოდა. დაახლოებით 470 წელს ვახტანგი ბრუნდება სპარსეთიდან და ვარქსენს ხკვდილით სჭის.

ქრისტიანული ეკლესიის ნორმების მიხედ-

ვით ცოლს უფლება ჰქონდა გაშორებოდა სარწმუნოების მოღალატე ქმარს.

ცოლად ქურციკიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „შუშანიკის წამებაში“ „განჩინება“ უნდა ნიშნავდეს გადაღქევებას, გაყრას.

სიტყვა „განჩინებას“ შუშანიკი ხმარობს ჭოჭიკის მიმართ პასუხში: — „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით ხანითა იყოს განჩინება ჩემი მისგან“. (თ. V) მასხადაძემ, შუშანიკი ვარქსენთან კანონიერი განქორწინების — „განჩინების“ მომხრეა, მაგრამ ვარქსენი მოძალადეა და მას ასეთი რამ ნელს არ აძლევს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ოთხთავის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერების მიხედვით „განქორწინება“ ნიშნავდა გათხოვებას, ქმრის შერთვას (ქალთათვის), ხოლო ტერმინით „ქორწინება“ აღნიშნებოდა ცოლის შერთვა.

განქორწინების წესთან დაკავშირებით უფრადლებას იქცევს იაკობ ცურტაველის თხზულების ერთი ადგილი (თ. XIII), რომელიც ეხება შუშანიკის მიერ ვარქსენის მითოვების მომღვეწო ხანას:

„და შერმე მოციქული მოავლინა პიტიაშმა და ჰრქუა: ანუ ნება ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორღ წარგვე შენ ანუ კარად კარაულითა“.

„კარაული“ ძველ ქართულში სახედარს, ვარს ნიშნავდა.

„შუშანიკის მარტვილობის“ ზემოხსენებულ ადგილას ლაპარაკია ძველი ქართული ჩვეულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქმარი დამნაშავე ცოლს ვირზე საჯაროდ წესვამდა და ასე განწმილებულს გაისტუმრებდა სამშობლოში თუ სხვაგან. უფრო შეტად კი ხალხის თავშესაყრელ ადგილებში.

საერთოდ ძველ საქართველოში დამნაშავეს სახედარზე ან ჭორზე შესმა, ტლანით გათხუმნა და ასე ჩამოტარება ხალხის თავშესაყრელ ადგილებში. მძიმე სასჯელი იყო ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგათია სქოლას-ტიკოსთან, დავით ბარონიშვილთან, ერთ-ერთ დოკუმენტურ წყაროში და ა. შ.

როგორც ვნახეთ, თითქმის ყველა ცნობა, რომელიც იაკობ ცურტაველის თხზულებაშია გახსენული ქართული საქორწინო სამართლის შესახებ, სახელო და ძვირფასია. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარისათვის შუშანიკის მარტვილობა“ ხელიხელ საგომანები ობოლი მარგალიტია.

⁶ იქვე. გვ. 10.

⁷ შტრ. შ. თნიანი „იაკობ ხუციანის შუშანიკის მარტვილობა“, თბ. 1978.



საპარტოო სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ

სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ ყველა ის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებულია და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით.

საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო იცავს სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს და უზრუნველყოფს მათს თანასწორუფლებიანობას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა ასრულებდეს კონსტიტუციის და საბჭოთა კანონებს, ღირსეულად ატარებდეს სსრ კავშირის მოქალაქის მალალ წოდებას, იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას, იყოს თავისი სოციალური სამშობლოს ერთგული.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირში დაწესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა.

მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა.

სსრ კავშირის მოქალაქეობა ერთია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის მისი მიღების საფუძვლების მიუხედავად.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ

სსრ კავშირის კანონმდებლობა საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ შედგება ამ კანონისაგან, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის 33-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს საბჭოთა მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის საფუძველს და წესს, და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა წყვეტს საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებს, რომლებსაც მის გამგებლობას განაკუთვნებენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია და ეს კანონი.

მუხლი 3. სსრ კავშირის მოქალაქეობა

სსრ კავშირის მოქალაქეანი არიან:

პირნი, რომლებსაც სსრ კავშირის მოქალაქეობა ჰქონდათ ამ კანონის ძალაში შესვლის დღისათვის;

პირნი, რომლებმაც სსრ კავშირის მოქალაქეობა შეიძინეს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება დაქორწინებისა და განქორწინების დროს

სსრ კავშირის მოქალაქის (მამაკაცის თუ ქალის) დაქორწინებას უცხო მოქალაქეობის მქონე პირთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან, აგრეთვე განორწინებას ასეთ პირობებთან არ მისდევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლა.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შექენას ან დაკარგვას არ მოსდევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლა.

მუხლი 5. სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთა მიერ

სსრ კავშირის მოქალაქის საზღვარგარეთ ცხოვრებას თავისთავად არ მოსდევს სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვა.

მუხლი 6. საზღვარგარეთ მყოფ სსრ კავშირის მოქალაქეთა დაცვა სახელმწიფოს მიერ

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საზღვარგარეთ მყოფ სსრ კავშირის მოქალაქეებს იცავს და მფარველობს საბჭოთა სახელმწიფო.

მუხლი 7. უცხოეთის სახელმწიფოსათვის სსრ კავშირის მოქალაქის გადაცემის დაუშვებლობა

სსრ კავშირის მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს.

მუხლი 8. სსრ კავშირის მოქალაქის ორმაგი მოქალაქეობის არცნობა

ის პირი, რომელიც სსრ კავშირის მოქა-



ლაქა, ვერ ჩაითვლება უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 9. მოქალაქეობის არმქონე პირნი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი, რომლებიც სსრ კავშირის მოქალაქენი არ არიან და არა აქვთ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის დამამტკიცებელი საბუთი, ითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.

II. სსრ კავშირის მოქალაქეობის შექმნა

მუხლი 10. სსრ კავშირის მოქალაქეობის შექმნის საფუძვლები

სსრ კავშირის მოქალაქეობის შექმნა ხდება:

- 1) დაბადების მიხედვით;
- 2) სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების შედეგად;
- 3) სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით;
- 4) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების მიხედვით.

მუხლი 11. სსრ კავშირის მოქალაქე მშობლების შვილთა მოქალაქეობა

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტში სსრ კავშირის მოქალაქე იყო, არის სსრ კავშირის მოქალაქე, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიბადა იგი — სსრ კავშირის ტერიტორიაზე თუ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 12. იმ ბავშვების მოქალაქეობა, რომელთა ერთ ერთი მშობელი სსრ კავშირის მოქალაქეა

თუ მშობლებს განსხვავებული მოქალაქეობა აქვთ და ერთი მათგანი ბავშვის დაბადების მომენტში სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ბავშვი სსრ კავშირის მოქალაქეა;

1) თუ იგი დაიბადა სსრ კავშირის ტერიტორიაზე;

2) თუ იგი დაიბადა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მშობლები ან ერთი მათგანი ამ დროს მუდმივად ცხოვრობდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

როცა მშობლებს განსხვავებული მოქალაქეობა აქვთ და ერთი მათგანი ბავშვის დაბადების მომენტში სსრ კავშირის მოქალაქე იყო, თუ ამ დროს ორივე მშობელი მუდმივად ცხოვრობდა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, მაშინ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მშობლების შეთანხმებით.

ბავშვი, რომლის ერთი მშობელი ბავშვის დაბადების მომენტში სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ხოლო მეორე — მოქალაქეობის

არმქონე ან უცნობ პირს წარმოადგენდა, არის სსრ კავშირის მოქალაქე, დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 13. მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შექმნა

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვი, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაიბადა, სსრ კავშირის მოქალაქეა.

მუხლი 14. ვინაობაჯურკვეველი მშობლების შვილების მოქალაქეობა

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ბავშვი, რომლის ორივე მშობლის ვინაობა ჯურკვეველია, სსრ კავშირის მოქალაქეა.

მუხლი 15. სსრ კავშირის მოქალაქეობის მიღება

უცხოელმა მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა მათივე შუამდგომლობით შეიძლება მიიღონ სსრ კავშირის მოქალაქეობა ამ კანონის შესაბამისად რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

III. სსრ კავშირის მოქალაქეობის დაპარპვა. სსრ კავშირის მოქალაქეობის აღდგენა

მუხლი 16. სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლები

სსრ კავშირის მოქალაქეობა იკარგება:

1) სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;

2) სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამოტევის შედეგად;

3) სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საფუძვლების შედეგად;

4) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვას მოსდევს მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვა.

მუხლი 17. სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის უფლებას რთავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ პირს, რომელიც გასვლის თაობაზე შუამდგომლობს, აქვს შეუსრულებელი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ან ქონებრივი მოვალეობანი, რომლებთანაც დაკავშირებულია მოქალაქე-

ების ან სახელმწიფო კოაბერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებითი ინტერესები.

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა დაუშვებელია, თუ პირი, რომელიც გასვლის თაობაზე შუამდგომლობს, მიცემულია პასუხისგებაში როგორც ბრალდებული, ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც უნდა აღსრულდეს, ან თუ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან პირის გასვლა ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს.

მუხლი 18. სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევა

სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, თუ პირმა ჩაიდინა მოქმედება, რომელიც ჩირქს სცხებს სსრ კავშირის მოქალაქის მაღალ წოდებას ან ზიანს აყენებს სსრ კავშირის პრესტიჟს ან მის სახელმწიფო უშიშროებას.

პირისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევას არ მოსდევს მისი მეუღლისა და შვილების მოქალაქეობის შეცვლა.

მუხლი 19. სსრ კავშირის მოქალაქეობის აღდგენა

პირმა, რომელმაც სსრ კავშირის მოქალაქეობა დაკარგა, შეიძლება მისივე შუამდგომლობით აღიდგინოს სსრ კავშირის მოქალაქეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

IV. შვილების მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლისა და შვილად აყვანის შემთხვევაში

მუხლი 20. შვილების მოქალაქეობის შეცვლა ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში

მშობლების მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში, რის შედეგად ორივე სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ან ორივე გადის სსრ კავშირის მოქალაქეობიდან, შესაბამისად ეცვლება მოქალაქეობა მათს შვილებს, რომლებიც არ გახლდათ 14 წლის.

მუხლი 21. შვილების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შექენა ერთ-ერთი მშობლის მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შექენის შემთხვევაში

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთ-ერთი მშობელი, მეორე კი უცხოელ მოქალაქედ რჩება, ბავშვს შეუძლია შეიძინოს სსრ კავშირის მოქალაქეობა, თუ ამის თაობაზე

იშუამდგომლებს მშობელი, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეობას იძენს.

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთ-ერთი მშობელი, მეორე კი მოქალაქეობის არმქონე პირად რჩება, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვი სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთ-ერთი მშობელი, მეორე კი მოქალაქეობის არმქონე პირად რჩება, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ბავშვს შეუძლია შეიძინოს სსრ კავშირის მოქალაქეობა, თუ ამის თაობაზე იშუამდგომლებს მშობელი, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეობას იძენს.

მუხლი 22. შვილების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება სსრ კავშირის მოქალაქეობიდან ერთ-ერთი მშობლის გასვლის შემთხვევაში

თუ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი, მეორე კი ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას, ბავშვი ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას.

მუხლი 23. შვილების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შექენა შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი, რომელიც უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და შვილად აყავს სსრ კავშირის მოქალაქეებს, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

ბავშვი, რომელიც უცხოელი მოქალაქეა და შვილად აყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, მეორე კი მოქალაქეობის არმქონე პირი, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

ბავშვი, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირია და შვილად აყავთ მოქალაქეებს, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

ბავშვი, რომელიც უცხოელი მოქალაქეა და შვილად აყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, მეორე კი უცხოელი მოქალაქე, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება მშვილებელთა შეთანხმებით.

მუხლი 24. შვილების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეა და იშვილეს უცხოელმა მოქალაქეებმა ან მეუღლეებმა, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, მეორე კი უცხოელი მოქალაქე, ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას. მშვილებელთა შუამდგომლობით ასეთ ბავშვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიძლება დართოს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის უფლება.



ბავშვი, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეა და იშვილეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან შეუღლებებმა, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, მეორე კი მოქალაქეობის არმონე პირი, ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას.

მუხლი 25. შვილების მოქალაქეობის შეცვლისას მათი თანხმობის აუცილებლობა.

მშობლების მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში, აგრეთვე შვილად აყვანის შემთხვევაში 14-დან 18 წლამდე ასაკის შვილთა მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ შვილების თანხმობით, რაც გამოხატული უნდა იყოს წერილობითი ფორმით

V. მოქალაქეობის საკითხებზე

განცხადებათა და წარდგინებებთა განხილვა

მუხლი 26. საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღები ორგანოები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გადაწყვეტილებებს იღებს:

უცხოეთის მოქალაქეთა და საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების განცხადებათა გამო;

უცხოეთის მოქალაქეთა და სსრ კავშირში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადებათა გამო, თუ მათი მოქალაქეობის თაობაზე აქამდე გამოტანილ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი;

სსრ კავშირის მოქალაქეობის აღდგენის, სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ განცხადებათა გამო, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ წარდგინებათა გამო;

საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებზე სხვა იმ განცხადებათა გამო, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მიიღებს განსახილველად.

მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უცხოეთის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების და ამით — სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადებათა გამო გადაწყვეტილებებს იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 1 დეკემბერი.

ბებს იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მოქალაქეობის შეცვლის საკითხთა გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოაქვს ბრძანებულებანი, ხოლო მოქალაქეობის საკითხებზე შეამდგომლობათა უარყოფის შემთხვევაში — იღებს დადგენილებებს.

მოქალაქეობის შეცვლა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოცემის დღეს თუ ბრძანებულებით სხვა რამ არ დადგინდა.

მუხლი 27. განცხადებანი მოქალაქეობის საკითხებზე

განცხადებანი სსრ კავშირის მოქალაქეობის საკითხებზე წარდგინდეს უნდა იქნეს შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე.

საზღვარგარეთ მცხოვრები პირნი განცხადებებს წარადგენენ სსრ კავშირის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობათა მეშვეობით.

განცხადებებს 18 წელს მიუღწეველ პირთა მოქალაქეობის საკითხებზე წარადგენენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

მუხლი 28. მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებათა და წარდგინებათა განხილვის წესი

მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებათა და წარდგინებათა განხილვის, ამ საკითხებზე მისაღების მომზადებისა და გაფორმების, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეობის აღდგენის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას მიუკუთვნებულ მოქალაქეობის საკითხებზე — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

VI. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მუხლი 29. საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენება

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს დადგენილია ამ კანონში მოცემული წესებისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის მოქალაქეობის თაობაზე“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ
შემოღების შესახებ

„სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. შემოდგებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“, 1979 წლის 1 ივლისიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავ-

შირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა ამ კანონს.

მუხლი 3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1979 წლის 1 ივლისიდან სსრ კავშირის 1938 წლის 19 აგვისტოს კანონი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წელი, № 11; 1953 წელი, № 20; 1954 წელი, № 10; მუხ. 214).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პიორბბეჟი.

მოსკოვი, კრემლი
1978 წლის 1 დეკემბერი.

დ ა ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1978 წლის 25 მაისის № 321-ის ბრძანებით ვლადიმერ ეფრემის ძე იოსელიანი დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ და დამტკიცდა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

ვ. ე. იოსელიანი დაბადებული 1927 წელს, ეროვნებით ქართველი, სკკპ წევრი 1940 წლიდან, 1951 წელს დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი. 1951 წლის სექტემბრიდან 1952 წლის ივლისამდე მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამომძიებლად, 1952 წლის ივნისიდან 1954 წლის აპრილამდე კამჩატკის ოლქის ქ. პეტროპავლოვსკის სამხედრო პროკურატურის გამომძიებელია, ხოლო 1954 წლის აგვისტოდან 1965 წლის მაისამდე — ქ. მო-

სკოვის უდანოვის რაიმილიციის განყოფილების გამომძიებელი, შემდეგში კი — მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს და რსფსრ-ს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს გამომძიებელი. 1965 წლის აპრილიდან სამუშაოდ გადადის სსრ კავშირის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, სადაც დაბრუნდა 1978 წლის მაისამდე.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1978 წლის 6 ოქტომბრის № 585 ბრძანებით ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე დაინიშნულია საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ და დამტკიცებულია კოლეგიის წევრად.

ვ. ა. შარაშენიძე, დაბადებული 1937 წელს, ეროვნებით ქართველი, სკკპ წევრი 1960 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1967 წელს — საბჭოთა კანონმდებლობის სრულად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამხ. ვ. ა. შარაშენიძე 1961-62 წლებში მუშაობდა სამოქალაქო საპაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოში ხაჩივრებისა და პრეტენზიების ინსპექტორად, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კო-

ნსულტაციის უფროს კონსულტანტად, 1962-1963 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკია, 1963-1967 წლებში — საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, 1968-1975 წლებში — მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს ლექტორთა ჯგუფის გამგედ, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგედ, 1975 წლიდან 1978 წლის ოქტომბრამდე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორია.

წ ა ხ ა ლ ი ს ე ბ ე ბ ი

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის
1978 წლის 1 ნოემბრის № 637 პ ბრძანებით

სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითოდ შესრულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში მიღწეული წარმატებებისათვის, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებისა „პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომიებო მუშაკებისათვის საკლასო ჩინის დაწესების შესახებ“ მიენიჭათ ჩინები:

იუსტიციის უფროსი მრჩევლისა

ოთარ მიხეილის ძე ჯაფარიძეს — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორს.

იუსტიციის მრჩევლისა

როლანდ ნიკოლოზის-ძე გილიგაშვილს — თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორს

იუსტიციის უმცროსი მრჩევლისა

ნუგზარ ღვთისოს ძე შოშიაშვილს — ქალაქ თბილისის პროკურატურის უფროს გამომიებელს

დაჯილდოებული არიან ფასიანი საჩუქრებით

იუსტიციის უმცროსი მრჩეველი თენგიზ ვიქტორის ძე კობახიძე — საქართველოს სსრ

პროკურატურის განყოფილების პროკურორი III კლასის იურისტი დავით პალაღის ძე გინჯოლავა — საქართველოს სსრ მცხეთის რაიონის პროკურატურის გამომიებელი

II კლასის იურისტი ჯამბულ მიხეილის ძე შენგელია — საქართველოს სამტრედიის რაიონის პროკურატურის გამომიებელი

იუსტიციის უფროსი მრჩეველი — იაკობ ყაზარეს ძე შათაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის სავამომიებო სამმართველოს პროკურორი

დაჯილდოვდნენ საჩუქრებით

II კლასის იურისტი ნოდარ ილარიონის ძე კობალიშვილი — ქ. ბათუმის პროკურორის თანაშემწე.

მიხეილ იაკობის ძე რუბუშტინი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწე

* * *

საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით საქართველოს სსრ პროკურატურის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსს, საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწეს, იუსტიციის უფროს მრჩეველს კაპიტონ ბადრის ძე ჩაკაბერიას პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისა და სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითოდ შესრულებისათვის სამოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრით.



ქვეყნის

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კანონები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკ. კარანაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი თ. ნინიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე გ. ტყეშელაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები შ. გორგოძე და ა. კავსაძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. მარგალიტაძე, სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. აფხაძე, სახალხო დეპუტატთა თბილისის რაიონების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და სხვა მოწვეული ამხანაგები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. სუციშვილმა წაიკითხა მოხსენება — „სასამართლოებში მოქალაქეთა და საბინაო-სამშენებლო კოაპერატივებს შორის წამოჭრილი დავების განხილვის დროს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის № 3 დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობისა და 1978 წლის 16 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებულ ამოცანათა შესახებ“.

მოქალაქეთა საბინაო უფლებები ჩვენს ქვეყანაში, თქვა მომხსენებელმა, გარანტირებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციებით. ამ უფლებებს განუხრებლად იცავდა სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რა ზემდგომ ორგანოების შესაბამისი დადგენილებებითა და მითითებებით, ძირითადად ზუსტად იყენებენ საბინაო კანონმდებლობას, სწორად წყვეტენ დავას.

მოქალაქეებსა და საბინაო-სამშენებლო კოაპერატივებს შორის დავის გადაწყვეტა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რა-

დგან ამ დროს უამრავი წვრილმანია გასათვალისწინებელი. ამიტომ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოები არცთუ იშვიათად უშვებენ შეცდომებსა და დარღვევებს. სასამართლოები ყოველთვის სრულყოფილად არ არკვევენ საბინაო-სამშენებლო კოაპერატივების საერთო კრებებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერებას კოაპერატივის წევრად მიღების საკითხებზე, სწორად არ იყენებენ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას საბინაო-სამშენებლო კოაპერატივსა და მის წევრს შორის, არ არის ერთიანი პრაქტიკა ისეთი სახის დავაზე, როგორცაა მოქალაქეთა კოაპერატივის წევრად მიღება და კოაპერატივიდან გარიცხვლ პირთა აღდგენა.

მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები და ვანაზოვად ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს დაშვებული შეცდომები, განმარტა ზოგიერთი ნორმატიული აქტის გამოყენების წესი.

საინტერესო იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგის გ. ტყეშელაძის გამოსვლა.

მაგალითები, რომლებიც მომხსენებელმა მოიყვანა, თქვა გ. ტყეშელაძემ, დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკისათვის და ამას თავისი მობეჭტური მიზეზები აქვს. თავის დროზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზუსტად განსაზღვრა კოაპერატივების სამართლებრივი სტატუსი. გაირკვა ყოფილ მესაკუთრეთა და ყოფილ დამქირავებელთა ბედი, რომლებიც ცხოვრობდნენ ასაღებ სახლებში, დადგინდა ისიც, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ასაღები სახლების ფუტლადი ანაზღაურება მიუღი კავშირის მასშტაბით. ეს საკითხი საქართველოში 60-იან წლებში სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებულად გადაწყდა. ჩვენთან წესად გადაიქცა, რომ კოაპერატივებს დაკისრებოდათ თანხის ანაზღაურება ან ყოფილ მესაკუთრეთა და ყოფილ დამქირავებელთა ჩასახლება კოაპერატივის ბინებში.

დღეს ბევრი კოაპერატივის წევრი მოთხოვს განთავსუფლდეს საბაიო შესატანისაგან, ე. ი. იმ თანხისაგან, რომელიც საკავშირო კანონით უნდა შეჰქონდეთ ყოფილ მე-

საკუთრებს და ყოფილ დამქირავებლებს. სწორედ ეს იწვევს კონფლიქტებს და საქმეები სასამართლოებამდე მიდის. მართალია, მათი განხილვის დროს სასამართლოები კანონიერად წყვეტენ საკითხებს, მაგრამ დავა კვლავ გრძელდება, რადგან ფართო მოსახლეობა არ იცნობს სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებულ კანონს, რომელიც სინამდვილეში მოქმედებს საქართველოში.

ამიტომ კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანოები ოზრუნებენ გამოიცეს საბინაო კოორპერაციული მშენებლობის კანონმდებლობის კრებული, სადაც გამოქვეყნდება ამ დარგში დღეისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები.

კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის უპატივლური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. აფხაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ა. სოჭოლავა, თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ავალიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. დვდარიანი.

მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 2 დადგენილება „სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას კანონების მკაცრად დაცვის შესახებ“, გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ო. ჯიბლაძემ.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, თქვა მომხსენებელმა, როცა მიღებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციები, ახალ აზრსა და შინაარსს იძენს მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კანონების ზუსტად და განუხრებლად დაცვა. რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სერიოზულ მუშაობას ეწევიან დამნაშავეობის წინააღმდეგ და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს ძირითადად სწორად იყენებენ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს; სისხლის სამართლის საქმეები ძირითადად ირჩევა კვალიფიციურად, ვადების დაცვით, კანონიერად. ასეთ საქმეებზე დადგენილი განაჩენი არ იწვევს დავასა და კამათს, რადგან ზემდგომი ინსტანციებზე და საზოგადოებაზე

ყოველთვის კარგად აღიქვამენ ხოლმე სამართლიან განაჩენს.

ამასთანავე, როგორც სასამართლო პრაქტიკის განზოგადება ცხადყოფს, სასამართლოების მუშაობაში მაინც არის კანონების დარღვევის ფაქტები.

რესპუბლიკის სასამართლოების ყურადღება არაერთხელ იქნა გამახვილებული იმ განსაკუთრებით გავრცელებულ სასამართლო შეცდომებზე, რომლებიც აქვეითებენ ზოგად მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, ანალოგიური შეცდომები ზოგან კვლავ მეორდება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე დადგენილი განაჩენების ნაწილი უქმდება ან იცვლება საკასაციო და საზედამხებველო ინსტანციებში.

მთელი რიგი სასამართლოები სერიოზულ ყურადღებას არ უთმობენ ისეთ კონკრეტულ პრობლემებს, როგორიც არის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვა და მსჯავრდებულის დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავეის პიროვნების მონაცემების შეუსაბამო აშკარად მკაცრ ან ლმობიერ სასჯელებს, მათ შორის მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთის უფარდებენ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას. ხშირად არ სრულდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნები, საქმეები უსაფუძვლოდ ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის და მრავალი სხვა.

ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა დანაშაულის მცდარი კვალიფიკაციის, საპროცესო ნორმების დარღვევის, ბრალდებულის დაცვის უფლების შეზღუდვის ცალკეული ფაქტები.

სასამართლოები ყოველთვის არ ითვალისწინებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულის მიერ კანონით მინიჭებული დაცვის უფლების განხორციელება არის სოციალისტური დემოკრატიზმის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა, მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი გარანტია და დამნაშავეობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის აუცილებელი პირობა.

ზოგჯერ სამსჯავრო სსდომები ტარდება ზერელედ, სასამართლოები არ უზრუნველყოფენ იმ დაზარალებულთა და მოწმეთა გამოცხადებას, რომელთა ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის და კმა-



ყოფილებიან სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელ პირთა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების გამოქვეყნებით, რითაც აშკარად ირღვევა პროცესის უშუალოების პრინციპი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. იოსელიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ერქომაიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია.

მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის დადგენილება — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის VIII პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში მართლმსაჯულების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“, გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. გოგილაშვილმა.

ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე წამატებებისა და გეგმების შესრულების ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარების მისაღები გვიჩვენებენ, თქვა მომხსენებელმა, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები მეტ ყურადღებას უთმობენ ამ კატეგორიის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, გულდასმით სწავლობენ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევ კონკრეტულ გარემოებებს, დანაშაულის გვალიფიკაციის საკითხებს და ძირითადად სწორად იყენებენ მოქმედ კანონმდებლობას.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც სასამართლოები სათანადოდ ვერ აფასებენ, თუ რა ზიანი მოაქვს ამ დანაშაულობებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის და მათი განხილვის დროს უშვებენ არსებითი ხასიათის შეცდომებს. კერძოდ, წარმოებაში იღებენ და იხილავენ არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებს, რის შედეგადაც ცალკეულ შემთხვევებში დანაშაულის ორგანიზატორები დაუსჯელნი რჩებიან, ხოლო საბრალდებო სკამზე აღმოჩნდებიან ხოლმე დანაშაულში მონაწილე მეორეხარისხოვანი პირები, ან ისინი, ვინც საერთოდ არ წარმოადგენენ ამ დანაშაულის სუბიექტებს.

დამნაშავეთა მიმართ სასჯელის სახის შე-

რჩევისა და ზომის განსაზღვრის დროს ზოგიერთი სახალხო სასამართლო არ იცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნებს, არ ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავის პიროვნებას და საქმის იმ გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას, არ იღებს ზომებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, არ ავლენს მატერიალურ ფასეულობათა უკანონო ჩამოწერის, პრემიებისა და სხვა ფულადი სახსრების უკანონოდ მიღების ფაქტებს.

სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ამ კატეგორიის საქმეები ირჩევა ვადის დარღვევით, ისინი არ იხილება გამსვლელ სესიებზე, არ მონაწილეობს საზოგადოებრივი ბრალმძიებელი და საზოგადოებრივი დამცველი. არის იმის ფაქტებიც, როცა ზემდგომი სასამართლოები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევა, სრულიად უკანონოდ უქვემდებარებენ მათ სახალხო სასამართლოებს განსახილველად.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. მარგალიტაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შ. გორგოძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილე ნ. ნასარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი თ. გერსამია, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი პ. ლომიძე.

მოხსენება — „რესპუბლიკის სასამართლოებში უკანონო მსჯავრდების ფაქტების აღმოფხვრისა და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ე. ხითარიაშვილმა.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები, თქვა მომხსენებელმა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების შესაბამისად, ძირითადად სწორად ახორციელებენ მართლმსაჯულებას, მაგრამ ამასთან ერთად გვხვდებით მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდების ფაქტებს.

სასამართლოები ზოგჯერ წარმოებაში იღებენ არასრულყოფილად გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებს, გამწესრიგებულ

სხდომებზე ყოველთვის ღრმად და სრულყოფილად არ სწავლობენ საქმის მასალებს და ზუსტად არ იცავენ კანონის მოთხოვნებს.

სამსჯავრო გამოძიება ბევრ საქმეზე ტარდება ცალმხრივად, არასრულად, სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონის უხეში დარღვევებით, რასაც არცთუ იშვიათად მოსდევს მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდება. ეს დარღვევები ყოველთვის არ სწორდება საკასაციო წესით განხილვის დროს, რასაც თან სდევს მოქალაქეთა საჩივრები და სამართლიანი უკმაყოფილება.

უკანონო მსჯავრდების ყოველი ფაქტის აღკვეთისას ზემდგომი სასამართლოები მთელი სიმწვავეთ არ აყენებენ საკითხს დამნაშავე თანამდებობის პირთა მკაცრი პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო აღნიშნულ უკანონობასთან დაკავშირებით გამოტანილი კერძო განჩინებანი არც თუ იშვიათად კმაყოფილდება მხოლოდ კანონის დარღვევის აღნიშვნით.

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. არღუნი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფარასტაევი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ო. გამყრელიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. კახაძე.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

ა. არსენაშვილი

საკომპროდინსიო საბჭოს სხდოვა

გამართა საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საკომპროდინსიო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც მოისმინეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის კ. კეთილაძის მოხსენება „რესპუბლიკაში რეციდივული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესწავლის შედეგების შესახებ“.

ზუგდიდის, მახარაძის, ქ. თბილისის 1 მაისის და სხვა რაიონებში.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ რეციდივული დამნაშავეობა დიდ გავლენას ახდენს დამნაშავეობის საერთო მდგომარეობაზე. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების ვართულება გამოწვეულია იმიტომ, რომ განმეორებით დანაშაულთან ბრძოლის ორგანიზაციაში ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლია.

როგორც საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა იმის შედეგია, რომ ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საბჭოთა ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვნად არ მუშაობენ ამ კონტინგენტთან.

ბოლო წლებში თუმცა შეიმჩნევა რეციდივული დამნაშავეობის ხვედრითი წონის შემცირება, მისი დონე მაინც საკმაოდ მაღალია. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთი სახის დანაშაულობებს, როგორც არის ხულიგნობა, მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა, ყაჩაღური თავდასხმები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება და სხვა.

საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ აუცილებელია გარდაიქმნას მუშაობა ამ კონტინგენტის შრომითი და საყოფაცხოვრებო მორყობის დარგში და ამაში მთავარი როლი უნდა შეასრულონ სამეთვალყურეო კომისიებმა. გააკრიტიკეს მცხეთისა და კასპის რაიონების ქ. ქუთაისის, ქ. თბილისის ლენინისა და ოქტომბრის რაიონების სამეთვალყურეო კომისიები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ.

განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი დიდია დუშეთის, ახმეტის, მარნეულის, წულუკიძის, თიანეთის, გეგეჭკორის,

არასრულწლოვანებზე რეციდივისტთა უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელშიც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად აქტიურად უნდა ჩაებან კომკავშირული ორგანოები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მთელი საზოგადოებრიობა. თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი და სა-

ყოფაცხოვრებო მოწყობაში გადაჭრით უნდა ამოღდეს წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ჭილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ელიშერაშვი-

ლი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ვ. შარაშენიძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე და სხვ.

რეციდივულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რაც ერთობლივი წერილის სახით დაეგზავნათ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

პ. ნარმანიძე

საკოორდინაციო საბჭოს მდივანი

საქართველო-კავკასიური კონფერენციები

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქტო დარბაზში გაიმართა სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატინამ, კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს წევრებმა, სწავლულმა იურისტებმა საქართველოს პროფსაბჭოს და უმაღლესი სასამართლოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

კონფერენცია ვახსნა კურსების დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. კომახიძემ.

მოსხენება — „იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსებზე ლექცია-სემინარების იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის შემდგომი ამაღლების შესახებ“ — გააყენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. წერეთელმა.

კურსების მუშაობამ, თქვა მან, დაგვარწმუნა, თუ რა დიდი როლი შეუძლია შესრულოს კარგად ორგანიზებულმა სასწავლო პროცესებმა მსმენელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში. მაგრამ კურსების მუშაობაში არის ხარვეზები, რომლებიც ხელს გეგლის. ერთი თვე მოსამართლეთა, ნოტარიატის მუშაკთა და იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საქმარისი არ არის. ეს ვადა უნდა გადიდდეს სულ ცოტა ორ თვემდე. ნოტარიუსებს ვრცლად უნდა განემარტოთ სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორც არის გარიგებები, ხანდაზმულობა, ყიდვა-გაყიდვა, სამემკვიდრეო სამართალი და

სხვა. იურისკონსულტებს კი უნდა ეკითხებოდეთ: მიწოდების, კაპიტალური მშენებლობის, ტვირთის გადაზიდვის, ზონის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების და ა. შ. ვრცელი კურსი. იგივე უნდა ითქვას მოსამართლეთა კონტიგენტზეც. აუცილებელია გადიდდეს მოსამართლეთათვის გამიზნული საათები. შემოღებულ უნდა იქნეს პრაქტიკაში ორ-ორ საათიანი საუბრების ჩატარება. ზონებზე მიმდგრებული უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და იუსტიციის სამინისტროდან მოწვეული მუშაკების მიერ, ასეთ საუბრებში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა არსებით დარღვევებს და შეცდომებს უშვებენ თავის საქმიანობაში ამა თუ იმ ზონის მოსამართლეები. აუცილებელია ხშირად მოეწყოს მსმენელების შეხვედრები ხელმძღვანელ მუშაკებთან, სწავლულ იურისტებთან და ცნობილ სპეციალისტებთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გამყრელიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კურსების მსმენელების მოსამართლეები და ადვოკატები ესწრებიან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის და პრეზიდენტის სხდომებს; როცა არის ამის შესაძლებლობა, ჯგუფები ესწრებიან პლენუმსაც. სასურველია ამ სასარგებლო ღონისძიებას რეგულარული ხასიათი მიეცეს. კარგი იქნება მოსამართლეების, კანცელარიის და სხდომის მდივნებისათვის რომელიმე სასამართლოში მოეწყოს პრაქტიკული მეცადინეობა, აგრეთვე, თუ ჯგუფის მოთხოვნით ლექტორი თავის ლექციებში საგანგებო ყუ-

რადღებებს გაამაზვილებს იმ საკითხებზე, რომლებიც პრაქტიკაში სადავია.

მოსხენება — „რესპუბლიკური კურსების მსმენელების მიერ რეფერატებისა და საკონტროლო წერითი სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ წაიკითხა რესპუბლიკური კურსების დირექტორის მოადგილემ ზ. ხავთასმა. იგი ვრცლად შეჩერდა რესპუბლიკური კურსებთან არსებული მეთოდური საბჭოს მუშაობაზე, რომელიც ყოველი ნაკადის მსმენელებისათვის იხილავს და ამტკიცებს სასაფერატო და წერითი სამუშაოების თემატიკას კონტინენტის სპეციფიკისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

კურსების დირექცია სერიოზულ ყურადღებას უთმობს მსმენელთა უზრუნველყოფას იურიდიული ლიტერატურით, ნორმატიული მასალით. მართალია, რესპუბლიკური კურსების ბიბლიოთეკა ჭერჯერობით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაგრამ, ვფიქრობთ, მდგომარეობა გამოსწორდება.

კურსების მსმენელებს და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს საქმიანი კონტაქტები აქვთ. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ, მსმენელებთან და ვეხმარებით პროფესიული ცოდნის ამაღლებაში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივმოქმედ რესპუბლიკური კურსების იურიდიული კადრების კვალიფიკაციის შემდგომი სრულყოფისათვის. მან დადებითად შეაფასა კურსების მუშაობა და ხაზი გაუსვა, რომ ყველა პროფესორ-მასწავლებელი დიდი პასუხისმგებლობით ეცილება ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას.

იუსტიციის ორგანოების ყველა მუშაკმა უნდა გაიაროს ეს კურსები ხელუწლიწადში ერთხელ, თქვა ა. შუშანაშვილმა, მაგრამ

არ შეიძლება არ გაეთვალისწინოთ, ვის რა მიმართულებით სჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება. ზოგიერთს ცოდნის გაღრმავება შეიძლება სამოქალაქო ან სისხლის სამართალში უფრო სჭირდებოდეს, ან სისხლის სამართლის პროცესში, ან შრომის სამართალში. ამიტომ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. პროგრამა ამა თუ იმ ნაკადისათვის მსმენელების გამოწვევამდებულა შემუშავდეს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებების მონაწილეობით.

ა. შუშანაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკური კურსებზე ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის შემდგომ ამაღლებასთან ერთად, საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს კურსდამთავრებულთა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხს. ადგილზე მათი შემოწმების დროს სპეციალურად უნდა იქნას შესწავლილი მათი საქმიანობა ამ თვალსაზრისით. იუსტიციის სამინისტროს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, თუ რამდენად დაეხმარა მის მუშაკებს რესპუბლიკური კურსებზე კვალიფიკაციის ამაღლება.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებიც განიხილა რესპუბლიკური კურსების მეთოდურმა საბჭომ, და საფუძვლად დაედება რესპუბლიკური კურსების სასწავლო-აღმზრდელი მუშაობისა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, მუდმივმოქმედ რესპუბლიკური კურსებზე მოწვეულ 21 პროფესორ-მასწავლებელს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დიდწილად მართვა უნდა ევალოს. ბრძანების პირები პროფესორ-მასწავლებლებს გადასცა იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

დ. ნანთგაფვილი



განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის საქათო დარბაზში ქალაქ თბილისის პროკურატურამ, საქალაქო სასამართლომ, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ მოაწვეეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე — „ახალგაზრდობა და კანონი“.

თბილისის პროკურორმა გ. რაზმაძემ. მოხსენება — „მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის პრობლემები სსრკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების მიხედვით“ — გააკეთა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ ვ. ფოცხვერია. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა სსრკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით ახალგაზრდა თათბის კომუ-

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ქ.



ნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებზე, ყურადღება გაამახვილა იმ დარღვევებზე, რომლებიც გვხვდება საშუალო სკოლების და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის, აღნიშნა, რომ მოზარდი თაობის იდეურ აღზრდაში ჯერ კიდევ დიდი ხარვეზია ის ფაქტი, რომ ჩვენ ბევრ შემთხვევაში საკმარისად, დამაჯერებლად ვერ განვუმარტავთ ახალგაზრდობას იმ დიდი მოვლენებისა და ამბების მნიშვნელობას, რომლებიც მოხდა და ხდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯეროვან სიმაღლეზე არ არის ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავლის, აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადების ღონისძიებათა შესახებ“ ნათქვამია, რომ „სკოლა მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩება საერთო-საქვეშაო ღონეს, სერიოზული ნაკლოვანებებია კომუნისტური ზნეობის, კოლექტივიზმისა და ურთიერთდამარტების, სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის, ქვეყნის მაღალი კულტურის, უფროსებისადმი პატივისცემის, სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის საქმეში მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდასა და ფიზიკურ განვითარებაში, სასწავლო პროცესი საკმარისად არ არის დაკავშირებული შრომის აღზრდასთან“.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის პროკურატურამ შეისწავლა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის 1977 წელს და 1978 წლის პირველ კვარტალში მართლწესრიგის დარღვევებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და გამოიარკვია, რომ აღნიშნულ პერიოდში დანაშაული ჩაიდინა ბევრმა არასრულწლოვანმა, მათ შორის იყვნენ საშუალო სკოლის და პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები. მომხსენებელმა მოაუყვანა კონკრეტული მაგალითები და ილაპარაკა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების შესახებ.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა სამართლებრივი კულტურის ამა-

ღლება, სამართლისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდა, კანონების დაცვა ბევრად არის დამოკიდებული საშუალო სკოლაში მართლწესრიგის ზუსტი სისტემის შექმნისათვის მუშაობის დაყენებაზე. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული საზოგადოებრივი ძალები, უნდა ივრძნობოდეს მათი აქტიურობა და დახმარება.

„გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ვადის გადადების შესახებ“ ისაუბრა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ — ა. კობახიძემ. მან აღნიშნა, რომ არასრულწლოვანების მიმართ, ჩვეულებრივ იყენებენ შემსუბუქებულ განაჩენს. კანონმდებელი ითვალისწინებს მოზარდის გონებრივი და ფსიქიკური განვითარების ღონეს და ამდენად მის მიმართ არასდროს არ შეიძლება იქნეს გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით და სიკვდილით დასჯა. მიუხედავად არსებული შეღავათებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 15 თებერვალს მიიღო გადაკენილება „არასრულწლოვანთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ“. ეს იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვანის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივად უმნიშვნელო საშიშროების დანაშაული ჩაიდინა, დადებითად ხასიათდება და მისი გამოსწორება თავისუფლების აღუკვეთავად შეიძლება, გამოტანილი განაჩენის აღსრულება ამავე სასამართლოს განჩინებით გადაიდება 2 წლამდე ვადით და შეტყობინება ეგზავნება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, შინაგან საქმეთა განყოფილებას და სახალხო სასამართლოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რადგან თუ მოზარდი სავადმოცდო ვადის პერიოდში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და გამოსწორდება, მის მიმართ სწორედ ამ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი და იგი ითვლება ნასამართლობის არმქონედ. ხოლო არასრულწლოვანთა საქმეების კომისია და შინაგან საქმეთა განყოფილება ვალდებული არიან თვალყურს ადევნონ არასრულწლოვანის საქმიანობას, თუ არ სწავლობს და არ შრომობს, ჩააბას იგი შრომითს საქმიანობაში. დაეხმაროს მას, რათა იგი მაღალი კომუნისტური შეგნების მქონე პიროვნებად აღიზარდოს.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს

თავმჯდომარე გ. ხაბეიშვილი და ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურორი მ. გიორგობიანი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორი თ. ტუღუში, საზოგადოება

„ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. გამრეკელი.

ნ. ლომიძე

ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე არასრულწლოვანთა საქმეებში

საპრობლემატიკური სკდომა

გამართა სახელმწიფო არბიტრაჟთან არსებული სამეცნიერო-საქონულტაციაო საბჭოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი ვ. მაისურაძე.

სხდომამ განიხილა ორი საკითხი: 1. სახელმწიფო არბიტრაჟში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-სამართლებრივი ჯგუფის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობა; 2. სსრ კავშირის არბიტრაჟის შესახებ კანონის პროექტის განხილვა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ 1977 წლის 11 აპრილს სახელმწიფო არბიტრაჟს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სಾಮართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის შორის დადებულია შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მიზანია არბიტრაჟის მუშაობა იდეურ-პროფესიული დონის ამაღლება, სამეურნეო-სამართლებრივი სპეციალიზაციით სპეციალისტი იურისტების უკეთ მომზადება და აგრეთვე ის, რომ სამართლის სექტორის მეცნიერთა გამოკვლევებში ყოველმხრივ აისახოს პრაქტიკის მოთხოვნები. გარდა ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ყოველგვარი პირობები შეიქმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეურნეო-სამართლებრივი სპეციალიზაციის სტუდენტების არბიტრაჟში საწარმოო პრაქტიკის წარმატებით გაგლისათვის.

ხელშეკრულების დადების შემდეგ სტუდენტები ახლა პირველად გადაიან საწარმოო პრაქტიკას არბიტრაჟში, სადაც მათ კარგი პირობები შეუქმნეს ამისათვის. სტუდენტებს ესაუბრებოდნენ საარბიტრაჟო საქმიანობის,

საარბიტრაჟო პროცესის ცალკეული სტადიების მნიშვნელობის და დავების განხილვის წესების შესახებ. მათ მიეცათ შესაძლებლობა, რომ პრაქტიკულად გამოეყენებინათ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა. ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ ცალკეული დავის გადაწყვეტაში, სადავო საკითხებისადმი მათს მიდგომას სავსებით უჭერენ მხარს არბიტრები.

კარგი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობის ნიჭი გამოავლინეს სტუდენტებმა ე. ჩარგაზიამ, რ. ხელაიამ, ვ. თალაკვაძემ, ე. ქირიამ, ჯ. ლეონიძემ, გ. ყაჯრეშვილმა, გ. თითბერიძემ.

ამ საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს სახელმწიფო არბიტრებმა დ. აბაზაძემ, თ. დარსაველიძემ, ვ. უაჩაძემ, გ. ალაპიშვილმა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელმა დოცენტმა მ. კეკელიამ.

სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს არბიტრაჟის ხელმძღვანელობისა და ცალკეული არბიტრების მხრივ ყურადღებიანი და საქმიანი დამოკიდებულების გამო.

კათედრის გამგემ, უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ კათედრის წევრთა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთა ყურადღება გაამხვილა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის დიდ მნიშვნელობაზე და მადლობა გადაუხადა სახელმწიფო არბიტრებს პრაქტიკის წარმატებით ხელმძღვანელობისათვის.

მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილემ ნ. ნასარიძემ, რომელმაც აღნიშნა სსრ კავშირის არბიტრაჟის კანონის პროექტში გათვალისწინებული მთელი რიგი სიახლეები ძველ დებულებასთან შედარებით, მათ შორის ის, რომ ამ პროექტში გათვალისწინებულია არბიტრაჟისათვის განსახილველად ისეთი დავების გადაცემა, რომელშიც კოლმეურნეობები მონაწილეობენ.

ეს კი მნიშვნელოვნად აფართოებს არბიტრაჟის ფუნქციებს.

პროექტში გამოთქმულია აზრი, რომ არბიტრაჟის იურიდიული სტატუსი გაუთანაბრდეს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების სტატუსს და მას ეწოდოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არბიტრაჟის სახელმწიფო კომიტეტი.

მთავარმა არბიტრმა ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ არბიტრაჟის ავტორიტეტის გაზრდის მიზნით კარგი იქნებოდა, მთავარ არბიტრს და სახელმწიფო არბიტრებს ნიშნავდეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. აშხ. ვ. მაისურაძის აზრით, მისასაღებელია სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისათვის კოლმეტურნეობათა მონაწილეობით წარმოშობილი დავის გადაცემა, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი ისედაც განიხილავს ხოლმე დავას კოლპერაციული ორგანიზაციების მონაწილეობით.

აშხ. ვ. მაისურაძემ თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის სტატუსი გაუთანაბრდეს სახელმწიფო კომიტეტების სტატუსს.

პროფესორ ნ. წერეთლის აზრით, პროექტში სრულად არ არის ასახული ის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს მიეკუთვნება ახალი კონსტიტუციის სტრუქტურული აგებულების თანახმად. სახელმწიფო არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილ სამეურნეო დავას და ამ დავის განხილვისას მიუსადავებს არსებულ კანონმდებლობას, უნდა მივიჩნიოთ საიურისდიქციო ორგანოდ და არა მმართველობის ორგანოდ. ამიტომ არის იგი ახალი კონსტიტუციით ცალკე გამოყოფილი (კონსტიტუციის VII კარი) სასამართლოსა და პროკურატურასთან ერთად. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დავასკენით, რომ სასამართლო ორგანოების მსგავსად სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობაც დამოუკიდებელი ხასიათისა და ამდენად მისი უფლებრივი სტატუსი უნდა განისაზღვროს კანონით როგორც დამოუკიდებელი სისტემისა. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის დანიშვნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციას განეკუთვნებოდეს.

პროფ. ე. ნიქიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობაში გამოიკვეთება სხვადასხვა ფუნქცია, მათ შორის: ა) იურისდიქციული სახელმწიფო ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განხილვა და გადაწყვეტა; ბ) ქვეკანონური ნორმა-

ტიული აქტების (ინსტრუქციების) გამოცემა; გ) არბიტრაჟის ორგანოების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა.

ამგვარად, სახელმწიფო არბიტრაჟის სამართლებრივი მოქმედება არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე ამ ძირითადი ფუნქციით.

სსრ კავშირის კონსტიტუციით (მუხ. 151) მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ, ხოლო იურიდიულ პირთა შორის სამეურნეო დავათა გადაწყვეტა ხდება სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში (მუხ. 163).

ამის საფუძველზე სახელმწიფო არბიტრაჟი არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოს (თუნდაც იმიტომ, რომ საქმეთა განხილვა არბიტრაჟში ხდება არა კოლეგიურად, არამედ ერთპიროვნულად), უწინარეს ყოვლისა იგი მიიწვევს იურისდიქციულ ფუნქციას ასრულებს, ისევე როგორც შრომის დავათა განხილველი კომისია და პროფკავშირის სადებრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტები.

მასადაამე, სახელმწიფო არბიტრაჟი წარმოადგენს ისეთ ორგანოთა სისტემას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, წინასახელმწიფოებო და სამეურნეო დავათა განხილვა-გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამდენად იგი სათანადო კანონის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს როგორც დამოუკიდებელი თუ გამოცალკავებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ზემოთ დასახელებული ფუნქცია.

პროფ. დ. ჯომაჩიძის აზრით, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოების მოქმედებისა და ორგანიზაციის რეგლამენტაცია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის ერთ თავშია (20) მოქცეული. ამიტომ, სასამართლო და არბიტრაჟი თანაბარი დონის ორგანოებია და მათი სტატუსიც ამის შესაბამისად უნდა განისაზღვროს. რა თქმა უნდა, არბიტრაჟი უპირველეს ყოვლისა საიურისდიქციო ორგანოა და ამასთან ერთად იგი ასრულებს ზოგიერთ მმართველობით ფუნქციასაც, რითაც იგი განსხვავდება სასამართლოსაგან. მაგრამ ამ სპეციფიკამ არ შეიძლება ხელი შეუშალოს იმას, რომ არბიტრაჟი დამოუკიდებელ ორგანოდ ითვლებოდეს და მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის ნაცვლად სახელმწიფო არბიტრაჟად იწოდებოდეს.

პროფესორ მ. ჩიქვაშვილს, თ. ლილუაშვილს და არბიტრაჟის მთავარი კონსულტანტს

თ. დადიანს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი მმართველობის ფუნქციებს ახორციელებს და ახალი კონსტიტუციის შესაბამისად სამართლიანი იქნებოდა ამჟამად მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი თავისი სტატუსით სახელმწიფო კომიტეტებს გაუთანაბრდეს.

სხდომაზე გამოითქვა რწმენა, რომ არბიტრაჟის ხელმძღვანელები კიდევ უფრო მეტად შეუწყობენ ხელს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შინაარსიანად ჩატარებას და მათი სადიპლომო შრომების სათანადო მასალებით

უზრუნველყოფას, რომ სახელმწიფო არბიტრაჟსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრას შორის კიდევ უფრო განმტკიცდება მეცნიერულ-პრაქტიკული ურთიერთობა.

ც. ჯოჯუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლაბორანტი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

24 ნოემბერს საქართველოს სსრ უფროსი ინსპექტორის კავშირის გამგეობასთან არსებული სამართლისა და მორალის საკითხებზე მომუშავე უფროსი ინსპექტორის წევრებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აშშ და კანადის ინსტიტუტის ამერიკის სამართლის სექტორის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, რსფსრ

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა პროფესორმა ბ. ს. ნიკიფოროვმა წაიკითხა ლექცია თემაზე — „სასამართლო და პრესა“.

ლექციამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პროფ. ბ. ს. ნიკიფოროვმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

გიორგი ხაკაზიშვილის ხსოვნას



გიორგი ხაკაზიშვილის სახით ქართულმა იურიდიულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. გიორგიმ ჭერ შაშინ მიიქცია ყურადღება, როდესაც საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი გახდა. სასპარეზოდ სისხლის სამართალი აირჩია, რაც შემთხვევითი არ იყო, რადგან მას, ბუნებით ხელოვანსა და შემოქმედს, ადამიანთა უფლებებზე ურთიერთობათა გარკვევასთან ერთად, პიროვნების ბედიც აინტერესებდა.

გიორგი იმდენად ნიჭიერი იყო, რომ სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მის მიერ წარმოქმნილი სიტყვა წარმოადგენდა არა მარტო დასაბუთებას, არამედ რთული სამართლებრივი კაშხლების სწორი გადაწყვეტის ნიმუშსაც.

გიორგი ხაკაზიშვილი არ დაკმაყოფილდა მარტოდღენ ადვოკატის პრაქტიკით, ადვოკატურის ისტორიის მეცნიერულ კვლევასაც მიჰყო ხელი, რაც თვალნათლივ დასტურდება მის მიერ მთელი რიგი წერილების გამოქვეყნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი

მშენებრივი წიგნი „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან“.

გიორგი თუმცა შესავალში აღნიშნავს, არ მიუჭირია ქართული ადვოკატურის ისტორიის შედგენა და განვიწარმებ ამ ისტორიის მხოლოდ ერთი მხარე გამეშუქებინაო, მაგრამ წიგნი ფაქტიურად ქართული ადვოკატურის ისტორიაა, რადგან მასში მოცემულია ქართველი პროფესიონალი ადვოკატების მოღვაწეობა არა მარტო მეცნიერების, არამედ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურის დარგშიც. ამ წიგნს თამამად შეიძლება ეწოდოს ქართული ადვოკატურის მატანე. გიორგი ამბობდა მის გაგრძელებას, მაგრამ აღარ დაცადა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი ხაკაზიშვილის ღვაწლი და ამაგი თეატრმცოდნეობის დარგში, რომლითაც იგი ახალგაზრდობიდანვე იყო დაინტერესებული. მან შეიერთა მოღვაწეობის სტუდიაშიც კი მიადწია. გიორგი მაშინვე წერდა თეატრალურ ნარკვევებს. მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისიც იყო, რომ პირველმა გაილაშქრა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პირადული პოზიციებიდან ებრძოდნენ დიდ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს. ამ კრიტიკული წერილების ძალა დასაბუთებაშია, თვით მის ტონსა და სიტყვებშიც, მის პირუთენილობაში, მოუბრუნებლობაში და პირდაპირობაში. გიორგის თეატრალური ღვაწლის გვირგვინს კი წარმოადგენს მისი ფუნდამენტური ნაშრომი „კოტე მარჯანიშვილი რუსულ თეატრში“.

წაგნი სათაურის მიხედვით თითქოს უნდა ეხებოდეს კოტე მარჯანიშვილის მუშაობას მხოლოდ რუსულ თეატრში, მაგრამ თავისი შინაარსით იგი დიდი ქართველი რეჟისორის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზს წარმოადგენს, რადგან განხილულია არა მარტო ისეთი საკითხები, როგორც არის კოტეს ბავშვობა, მისი მოღვაწეობა, მსახიობობა და რეჟისორობა, არამედ ჩამოყალიბებულია მარჯანიშვილის მთელი მსოფლმხედველობა, მისი ამაგი XX საუკუნის რუსული თეატრის განვითარებაში როგორც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ, გაანალიზებულია მის ხანელთან დაკავშირებული სინთეზური მსახიობის აღზრდის პრობლემა,

მსახიობის გამოსახვის საშუალებათა გამდიდრებისა და სრულყოფისათვის კოტეს ბრძოლა, მის მიერ რუსეთში სინთეზური თეატრის შექმნა მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ სახით, დეკორაციულ ხელოვნებაში კოტეს მიერ სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ახალი ხერხების დანერგვა, აღორძინება და გაცოცხლება ისეთი ჩამორჩენილი და დაკნინებული ფანრისა, როგორც არის ოპერეტა, კოტეს მიერ რუსულ თეატრში პირველი საბჭოთა რევოლუციური სპექტაკლების შექმნა და კოტეს დასასიათება ისეთ პირველ რეჟისორად, რომელმაც ხელი მოჰკიდა მაქსიმ გორკის დრამატურგისა.

გიორგი ხარატიშვილმა გამოამყვანა დიდი მებრძოლური ბუნებაც. არ დაინდო და საქვეყნოდ აწახილა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ის თეატრმცოდნე და კრიტიკოსები, მათ შორის აღიარებული ავტორიტეტებიც, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს ორი დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო აბშეტელის შემოქმედების გაშუქებაში.

ვინაიდან მარჯანიშვილის მოღვაწეობა რუსულ თეატრში ძალზე აქტუალური თემა იყო, არის და იქნება მომავალშიც, და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილი და გაანალიზებული, ამიტომ გიორგი ხარატიშვილის აღნიშნული შრომა დიდი წვლილია მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებაში.

გიორგი ხარატიშვილი კინომცოდნეც იყო. 1975 წელს „ხელოვნებამ“ გამოსცა მისი „ქართული კინოს დაბადება“.

ეს წიგნი ქართული კინოს განვითარების თავისებური ისტორიაა, რომლითაც ვეცნობით თბილისში ნაჩვენებ პირველ კინოსეანსებს, პირველ ქართველ კინოსცენარისტებს და კინომსახიობებს, პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს, ეროვნული კინემატოგრაფიისათვის ბრძოლის ისტორიას, ქართველ მოღვაწეებს რევოლუციამდელი რუსეთის კინემატოგრაფიაში, ქართულ კინოს 1917-1920 წლებში, მაშინდელი დროის სხვადასხვა მნიშვნელოვან ქართულ დოკუმენტალურ გადაღებას და სხვ. ყოველივე ეს მუზეუმებსა და არქივებში დამაბული შრომის შედეგად არის მოპოვებული.

ასევე დიდი წვლილი შეიტანა გიორგიმ ქართული სცენის კორიფეს ლადო მესხიშვილის მონაწილეობით შექმნილ რუსული ფილმების აღმოჩენაში. ამ თემასაც მიუძღვნა მან შემოქმედებითი სახის ბიულეტენი სახელწოდებით „ლადო მესხიშვილი და კინემატოგრაფია“, რომელიც გამოცა ინფორმაციისა და რეკლამების ბიურომ.

დიდი აღტაცება გამოიწვია ლადო მესხიშვილის მონაწილეობით კინოფილმის დემონსტრირებამ. მსახიობის სახლი ხალხით იყო გაჭედლი. ეკრანის წინ ტრიბუნაზე გიორგი ხარატიშვილი იდგა. მან ფილმის ჩვენების წინ ლექცია წაიკითხა საერთოდ ლადო მესხიშვილის შემოქმედებაზე და კერძოდ მის მონაწილეობაზე კინოში. ლადო დახასიათა, როგორც ქართული თეატრალური კულტურის სიამაყე, რომლის შემოქმედებითი მობოგრაფიიდან ნაკლებად, ან სულ არ იყო ცნობილი მისი მონაწილეობა რევოლუციამდელ რუსულ კინემატოგრაფიაში და ქართული ეროვნული კინოხელოვნებისათვის წრუნვა.

გიორგის იოლად არ მიუღწევია ამ დიდი გამარჯვებისათვის. მის მუშაობას სხვადასხვა დაბრკოლებებთან ერთად ისიც აფერხებდა, რომ ამ საკითხზე კონკრეტულად თითქმის არაფერი იყო არც თქმული და არც დაწერილი, გარდა ზოგაერთა ფერმკრთალი ჩანაწერისა.

გიორგი ხარატიშვილის მიკვლევული მასალებით დადგენილია, რომ ლადო მესხიშვილს 1915-1925 წლებში შეუსრულებია როგორც ეპიზოდური, ისე მთავარი როლები ფილმებში: „მამები და შვილები“, „შეშავის სკერცო“, „მედუნას ღიმილი“, „ივა“, „გაოგნებული მდგომარეობა“, „როდესაც იასმანი ჰყვავის“, „ის მესამეა“, „ოლიმპოს ვარსკვლავი“, „დიდება ძლიერებს, დაღუპვა სუსტებს“, „ცხოვრებაში ყველაფერი ხდება“, „დეკოკის მოხუცებულიობა“, „ცეკვა ვულკანზე“, „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, „ცხოვრების მუდმივი ზღაპარი“, „შურისმაძიებელი ღმერთი“, „სადამოს მსხვერპლი“, „მაგნებარე ვნებათა ადამიანები“, „ასე იყო, მაგრამ ეს არ განმეორდება“, „ისინი ძმები არიან“, „მბატებელი“, „ორლოვების სახლის სირცხვილი“ და სხვ.

რა დასანანია, რომ ამ ფილმებიდან მხოლოდ სამია შემონახული: „მამები და შვილები“, „შურისმაძიებელი ღმერთი“ და „ორლოვების სახლის სირცხვილი“.

მაგონდება ეს საღამო. გიორგი ხარატიშვილმა სამივე ეს ფილმი წარუდგინა მაყურებელს. ფილმის სიძველის გამო ყველაფერი არ იყო ნათელი, ამიტომ გოგის ხმა ავსებდა სიცილიელს. იგი არა მარტო როგორც ლექტორი და მკვლევარი, არამედ თითქოს როგორც ავტორიც იდგა და მჭევრმეტყველებდა: — ფილმში „მამები და შვილები“ ლადო ასრულებს ბაზაროვის მამის როლს, ფილმი ოთხნაწილიანია, დღეს სახეზეა ფილმის მხოლოდ მესამე ნაწილი და სამწუხაროდ დაკარგულია სწორედ ის ნაჭრები, სადაც ლადო მესხიშვილია გადაღებული. დაუზიანებელია „ორლოვების სახლის სირცხვილი“ და

„შურისმაძიებელი ღმერთი“. ამ ფილმებში ლადო მთავარ როლებს ასრულებს. ორივე ფილმი 1918 წელს გადაუღია კინოსაქციო საზოგადოებას. სცენარების ავტორია ცნობილი საბჭოთა მწერალი დ. ნიკოლინი.

კადრი კადრს მისდევს, კვლავ ისმის გოგის ხმა: — 1918 წელს კინომრეწვლობა ჯერ კიდევ კერძო პირთა ხელში იყო და ამიტომ არ არის მათში ასახული ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივი მოვლენები. ორივე ფილმი რუსული რევოლუციამდელი მხატვრული კინემატოგრაფიის ფსიქოლოგიურ დრამას მიეკუთვნება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ — მელოდრამაა.

აი, გამოჩნდა მეორე ფილმი „შურისმაძიებელი ღმერთი“, სადაც ლადო ასრულებს ხანდაზმული პროფესორის ვერხოვცევის როლს, „ორლოვების სახლის სირცხვილში“ კი ვადამდგარ, წარსულში სახელმწიფოებრივ გენერალ ორლოვს თამაშობს.

კვლავ ისმის გოგის შთაბეჭდილებით ხმა: — დღეს ამ ფილმებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კინემატოგრაფიამ შემოგვინახა სახე ერის საყვარელი ადამიანისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილმი „შურისმაძიებელი ღმერთი“, რადგანაც აქ ლადო მესხიშვილი პროფესორ ვერხოვცევის როლს

უგრიმოდ ასრულებს, ეკრანზე მოჩანს მისი ნამდვილი მომაჯადოებელი სახე და, როცა მართლა გამოჩნდა ლადოს კეთილშობილური სახე, ტაშმა იგრიალა.

გიორგიმ ილაპარაკა იმაზეც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლადო მესხიშვილი ქართული კინემატოგრაფიის შექმნასა და განვითარებას და როცა მოიყვანა ლადოსავე სიტყვები: „კინოს დიდი მნიშვნელობა აქვს დამეც მთავარ განზრახვად მაქვს დავაარსო ქართული კინო, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა უნდა მიეცესო“, — კვლავ იქუხა დარბაზმა.

გიორგი ხარატიშვილმა განათლებითა და პროფესიით იურისტმა-ადვოკატმა, სამეცნიერო ხარისხი დაიცვა ხელოვნებათმცოდნეობაში, დოცენტი გახდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს განაგებდა, ღირსეული დეკანი იყო, მეცნიერული, მჭერმეტყველური ლექციებით მომავალ კადრებს უზრდიდა სამშობლოს.

დიდია გიორგი ხარატიშვილის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, ასევე დიდა მისი დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი.

ნიკოლოზ კავლიშვილი

ცნობები ავტორთა შესახებ

გივი ივრამიას ძე შვანიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სამოცამდე შრომის, სამი მონოგრაფიისა და ორი მეცნიერულ-პოპულარული გამოცემის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ლავით გიორგის ძე სუბიტაშვილი — ადვოკატი, მესამედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ოთარ ალექსანდრეს ძე გვამელაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალექსანდრე ანდრიას ძე სოპოლაშვილი — ადვოკატი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, 18 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

მინდია გუბაშის ძე შვრახელიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 32 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ოთარ კალენიკას ძე გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცდათხუთმეტი შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

შოთა მარტინოს ძე გორგოძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გიორგი ნესტორის ძე ნაღარაიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 51 შრომისა და 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 6, 1978. (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

лр. 32/2



3560 50 335.

ИНДЕКС 70185